კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“ (ხელმოწერა)

# საქართველოს რესპუბლიკა

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

კვირა-ორშაბათი
27-28 აპრილი, 2003 წელი
№109-110
(4489)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს.
ფასი 50 თეთრი.


სულიერება

# ქრისტე აღსდგა

## უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II

ღვთისმშობლის წილხვედრი კურთხეული ივერიის ღვთისმოყვარე, მშვიდობისმოყვარე სამწყსოს: „თუკი ღმერთი ჩვენს მხარესაა, მაშ ვინღაა ჩვენს წინააღმდეგ“ (რომ. 8,31).

ყოვლადუსამღვდელოესნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო ღვთივდაცულნო შვილნო ივერიისა, საქართველოს მკვიდრნო და სამშობლოს საზღვრებს გარეთ დროებით მცხოვრებნო თანამემამულნო, ისმინეთ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სიტყვები და ღრმად აღიბეჭდეთ გულში: „ამას იტყვის წმიდაი იგი და ჭეშმარიტი, რომელსა აქუს კლიტე დავითისი, რომელი იგი განაღებს, და არავინ დაჰხშას, გარნა განმღებელმან მან, და არავინ განაღოს დახშული იგი. ვიცნი საქმენი შენნი. აჰა ესერა მიმიცემია წინაშე შენსა კარი განღებული, რომლისა დახშვად ვერვინ შემძლებელ არს“ (გამოცხ. 3, 7-8).

აი, ჩვენს წინაშეა გახსნილი კარი ცათა სასუფევლისა. ამ უნაპირო წყალობით მაცხოვარმა დაგვაჯილდოვა.

ქრისტე აღსდგა!

აღსდგა ღმერთი, „რომელიც მიცემულ იქნა ჩვენი ცოდვების გამო, და აღსდგა ჩვენს განსამართლებლად“ (რომ. 4, 25). გიხაროდეთ!

აღსდგა სიკვდილის დამთრგუნველი უფალი, წყარო სიცოცხლისა, მომნიჭებელი საყოველთაო აღდგომისა. გიხაროდეთ!

სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ, — აი, მთავარი არსი და მიზეზი პასექის ზეიმისა. მაშ, ფართოდ გაუხსენით გული და აღივსენით არამიწიერი სითბოთი და სიყვარულით, რომელიც ასე უხვად ეფინება დღეს თითოეულ ჩვენგანს.

ქრისტე აღსდგა!

იხ. მე-3-4 გვ.



აღსდგა სიკვდილის დამთრგუნველი უფალი, წყარო სიცოცხლისა!
მხატვარი გურამ გუნია.

მილოცვა

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II

თქვენო უწმინდესობავ,

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ თქვენ და თქვენს მრევლს, მრავალჭირნახულ საქართველოს შვილებს.

გილოცავთ იმ ღვთიურ სასწაულს, რომლითაც ცოდვილი კაცობრიობისათვის წამებული ქრისტე აღსდგა და ადამიანს ის რწმენა ჩაუნერგა, რომლის გარეშე სიცოცხლეს აზრი არა აქვს.

მეოცე საუკუნეში, თქვენ უდიდესი ღვაწლი დასდეთ რწმენადაკარგული და დაბნეული ქართველობის ღვთის წიაღში დაბრუნების წმინდა საქმეს და მე მჯერა, რომ თქვენი მწყემსმთავრობით საქართველო კვლავ გაბრწყინდება.

მწამს, რომ ყოველი ჩვენგანის სულში ისევ აღსდგება მაცხოვარი და ყოველი ჩვენგანი მისი ერთგულებითა და რწმენით ისევ აღივსება.

გმადლობთ, უფალო, ამ სასწაულისთვის...

პატივისცემით,

ედუარდ-გიორგი შევარდნაძე.

(ხელმოწერა)

ინფორმაცია

### ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ ცენტრში...

ახალგაზრდა პიანისტთა თბილისის პირველი საერთაშორისო კონკურსი 1-დან 8 მაისის ჩათვლით ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ ცენტრში მოეწყობა.

ეს პირველი საერთაშორისო კონკურსია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ 10-დან 18 წლამდე მუსიკოსები როგორც საქართველოდან, ასევე სხვადასხვა ქვეყნიდან.

### საპროტესტო აქცია შეწყვიტეს

ხონის კოლონიაში მოშიმშილე 43-მა ომის ვეტერანმა პატიმარმა საპროტესტო აქცია შეწყვიტა. ისინი შიმშილობას ისევ გააგრძელებენ, თუ 29 აპრილს მათი შეწყალების საკითხის განხილვა არ დაიწყება.

29 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი, საქართველოს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან ბერიძე და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გია ყარყარაშვილი ომის მონაწილე პატიმართა შეწყალების პროცედურებსა და პრინციპებზე შეთანხმების მიღწევას შეეცდებიან.

ისინი მათ პირად საქმეებს განიხილავენ და წაყენებული მუხლების მიხედვით პატიმართა ეტაპობრივი გათავისუფლების საკითხებზე იმუშავებენ.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

თვალსაჩინო

## თეზი, ჩვენი გრაჩოვი და ჩვენი ჰებელსი

თბილისის შარშანდელი მიწისძვრის შემდეგ ზუსტად ერთი წელიწადი გავიდა. მაგრამ კატაკლიზმი, რომელმაც ამდენი ნგრევა გამოიწვია, დღესაც გრძელდება, ოღონდ, არა მიწისქვეშა ბიძგების სახით, არამედ იმ რყევებით, რასაც თბილისის მერიასა და ხელისუფლების ორგანოებზე უსახლკაროდ დარჩენილი ხალხის ტალღის გამუდმებული დაჯახება იწვევს, თუ იმ მიახლოებით თანხას, რაც იავარქმნილის მეტნაკლებად აღდგენას სჭირდება — 250 მილიონს, იმასთან შევადარებთ, რის გამოყოფაც ბიუჯეტმა წლეულს შეძლო — 15 მილიონთან, თვალნათლივ დავრწმუნდებით, რომ დედაქალაქში ფეხქვეშ ნიადაგის ტორტმანი კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. ჯერ ერთი, ასე თხუთმეტ-თხუთმეტობით ორასორმოცდაათი როდის უნდა აათაონ, მეორეც, მაშინ დანგრეულს ყოველდღიურად ახალ-ახალის ნგრევა ემატება!

ისე რომ, ნამდვილად ვერ ინატრებ თბილისის მერის ვანო ზოდელავას ტყავში ყოფნას, რომელიც თანდათან, ჩვენს თვალწინ, ემსგავსება კაცს, რომელიც არ (ვერ) იცინის, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სასაცილოდ ნამდვილად არა აქვს საქმე და მეორეც, ერთი თუ შეატყო გაღიმების მსგავსი, საკრებულოს თავმჯდომარე მაშინვე გადმოუხტება საფრიდან, ქალაქი ინგრევა და შენ რა გაცინებსო.

იხ. მე-2 გვ.

ინტერპანორამა

რაკეტების აფეთქებათა შედეგად ბაღდადში 40 კაცი დაიღუპა. თვითმხილველებმა დაინახეს 4 რაკეტა (ერთი არ აფეთქდა), ზოგი მეტსაც ასახელებს. ყოველ შემთხვევაში, 4-5 მძლავრი აფეთქების ხმა აშკარად დაფიქსირდა.



დიდი ბრიტანეთი ერაყის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს თარიქ აზიზს პოლიტიკურ თავშესაფარს არ მისცემს, ეს განაცხადა ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა პრესაში გაჩენილი ცნობის პასუხად, თითქოს თარიქ აზიზმა თანხმობა განაცხადა ყველაფერი ეთქვა ჰუსეინის რეჟიმის შესახებ, თუ მას დიდ ბრიტანეთში პოლიტიკურ თავშესაფარს მისცემდნენ.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პრეზიდენტი

# საქართველო და ისრაელი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების ერთგული რჩებიან



**პარტია „ლიკუდის“ დელეგაციის სტუმრობა 26 აპრილს გამართულ შეხვედრაზე, რომელშიც პარტიის გენერალური მდივანი არიკ ბრამი და სხვა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.**

საქართველოს პრეზიდენტმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საქართველო და ისრაელი კვლავაც ინარჩუნებენ მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ტრადიციას და სანიმუშოდ თანამშრომლობენ. „ჩვენ ვამაყობთ ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობით და იმით, რომ მთელი ამ ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ჩვენს ხალხებს შორის არავითარი გაუგებრობა არ ყოფილა“, – განუცხადა სტუმრებს ედუარდ შევარდნაძემ. ამასთან, მან ისრაელის მმართველი პარტიის ხელმძღვანელებს გაუზიარა თავისი მოსაზრებანი თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით. საქართველოს პრეზიდენტის აზრით, ორ ქვეყანას საკმაოდ წარმატებული ურთიერთობა აქვს კულტურის სხვადასხვა დარგში, სამაგიეროდ არ არის სრულად რეალიზებული მათ შორის ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის პოტენციალი.

არიკ ბრამმა საქართველოს პრეზიდენტს გადასცა ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის პირადი მოკითხვა და მადლობა იმისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლება და ხალხი ისრაელისათვის ამ უმძიმეს დროს მეგობარი ებრაელი ხალხის გვერდით დგას.

**„საქართველოსა და ისრაელს შორის არსებობს არა მარტო მეგობრობისა და თანამშრომლობის მყარი ტრადიცია, არამედ სრულყოფილი სახელშეკრულებო ბაზაც, რომელიც ყველა სფეროს მოიცავს. ამიტომ ყოველი შეხვედრა და ყველა დონის ვიზიტი უაღრესად მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარებას“, – ასე შეაფასა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოში ისრაელის**

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.**

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 26 აპრილი ქ. თბილისი

### თემურ ძიძიგურისა და გია მისირელის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს შეიარაღებულ ბოროტმოქმედთა დაკავებისას გამოჩენილი ვაჟკაცობისა და თავდადებისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და მხედრული ვალის მოხდისათვის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს მესამე განყოფილების საგზაო პოლიციის უფროსი ინსპექტორები, პოლიციის უფროსი ლეიტენანტები **თემურ ძიძიგური** (სიკვდილის შემდეგ) და **გია მისირელი**.

**ედუარდ შევარდნაძე.**

გვილოცავენ

## სულ მხნედ და კეთილად გევლოთ, გფარავდეთ უფლის მადლი!..

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან სულითა და გულით უნდა მოგილოცოთ, ძვირფასო მეგობრებო, ქართველსა და საქართველოში მცხოვრებ ყველა ქრისტიანს, ყველა მართლმადიდებელს მთელი კაცობრიობისთვის ჯვარცმული უფლის იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან სულითა და გულით უნდა მოგილოცოთ, საქართველოს პრეზიდენტო, ბატონო ედუარდ შევარდნაძე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქო, უწმინდესო და უნეტარესო ილია II, ძვირფასო მეგობრებო, ქართველსა და საქართველოში მცხოვრებ ყველა ქრისტიანს, ყველა მართლმადიდებელს მთელი კაცობრიობისთვის ჯვარცმული უფლის იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული.

ჩვენ დიდად მოხარული ვართ, რომ სწორედ უძველეს ქრისტიანულ საქართველოში გვიხდება საგანმანათლებლო საქმიანობა. ქართველები ყოველთვის გამოირჩეოდნენ თავიანთი ღვთისმოსავი ბუნებით, ვაჟკაცობით, კეთილმეგობრობით, კეთილმეზობლობით და ყველა ეს თვისება დღეს უფრო ნიშანდობლივად ჩანს, რაც იმის უტყუარი საწინდარია, რომ საქართველო თავისი ფრიად გონიერი და შორსმჭვრეტელი პრეზიდენტის მეთაურობით მართლაც გაბრწყინდება, ხვალ და ზეგ კიდევ უფრო წარემატება ერთ-ერთი მდიდარი და ღონიერი, ანგარიშგასაწევი ქვეყანა გახდება მსოფლიო თანამეგობრობაში. ჩვენ მომავალს იმედის თვალით ვუყურებთ.

სულ მხნედ და კეთილად გევლოთ ჩვენო ქართველო მეგობრებო და მეზობლებო. გფარავდეთ უფლის მადლი...

**კეთილი სააღდგომო სურვილებით**

**მესუთ ბოზქირი,**
**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და საქართველოში ფირმა „ჩაღლარის“ არსებული სასწავლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.**

ვიზიტის წინ

## თბილისს ეწვევა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი



**29 აპრილს თბილისს ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ქამალ ხარაზი. ირანელი დიპლომატი საქართველოს დედაქალაქში ბაქოდან ჩამოვა.**

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ქამალ ხარაზის შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ირაკლი მენაღარიშვილთან, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანთან თედო ჯაფარიძესთან, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან გიგი წერეთელთან. დაგეგმილია შეხვედრა მასმედიის წარმომადგენლებთან.

იმავე დღეს ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ქამალ ხარაზი თბილისიდან ერევანს გაემგზავრება.

### ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ქამალ ხარაზის ბიოგრაფია

**ქამალ ხარაზი დაიბადა 1944 წელს ქალაქ თეირანში. 1969 წელს დაამთავრა თეირანის უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის ფაკულტეტი, 1972 წელს – იმავე უნივერსიტეტის მაგისტრატურა. 1976 წელს ქალაქ ჰიუსტონის უნივერსიტეტში მიიღო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი პედაგოგიკაში.**

**1972-78 წლებში იყო ამერიკის „მუსლიმ სტუდენტთა ასოციაციის“ აქტიური წევრი. 1978-1980 წლებში – ირანის ტელერადიომაუწყებლობის (IRIB) კომპანიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ბავშვთა და ახალგაზრდობის ინტელექტუალური განვითარების ცენტრის უფროსი.**

**1980 წლიდან 1988 წლამდე (ერაყ-ირანის ომის დასასრულამდე) ბატონი ხარაზი იყო თავდაცვის უმაღლესი საბჭოს წევრი და გენერალური შტაბის სამხედრო პროპაგანდის სამსახურის უფროსი.**

**იმავე წლებში იგი ხელმძღვანელობდა ისლამური რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტო IRNA-ს.**

**1989-97 წლებში ბატონი ხარაზი ირანის ისლამური რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელია გაეროში.**

**1997 წლის აგვისტოში იგი დაინიშნა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად.**

**ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.**

**საქინფორმი.**

თვალსაწიერი

# თეზი, ჩვენი გრაჩოვი და ჩვენი ჰებელსი

(პირველი გვერდიდან)

მაგრამ ამ ტექტონიკურ მოვლენებთან ერთად სხვა არანაკლებ საშიში ბიძგები და რყევებიც ხდება. პერმანენტულ პოლიტიკურ მიწისძვრაზე მოგახსენებ, ძვირფასო მკითხველო, ასე ბეჯითად რომ აზანზარებს ქვეყანას დღიან-ღამიანად.

მხოლოდ გასული კვირისა რომ დავთვალოთ რიხტერის შკალით, თბილისში ქვა ქვაზე არ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ როგორც ადამიანი ეჩვევა ყოველგვარ უბედურებას და სისაძაგლეს, ისე ალბათ – ქალაქ-ქვეყანაც. ჰოდა, უძლებს ჩვენი ნაგვემ-დაბზარული თბილისი ათასი ჯურის ანარქო-დემოკრატისა და ლიბერალ-რადიკალის გნიასს.

რაც თავისუფალი ეკონომიკური ზონის კანონპროექტის განხილვას მოჰყვა, ეს არ იყო ჩვეულებრივი საპარლამენტო პროცედურა.

ამ კანონპროექტის ავტორებმაც და განსახილველად შემომტანებმაც მშვენივრად იცოდნენ, რომ იგი ვერ გავიდოდა, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, რომელთა შესახებ ლაპარაკიც შორს წაგვიყვანს.

მხარი არ დაუჭირეს არა მხოლოდ „სახელისუფლებო“ ფრაქციებმა, არამედ ნაციონალებმაც და სხვებმაც, რომლებმაც იგი საქართველოს დაქუცმაცების წინაპირობად ჩათვალეს.

ახლა „აღორძინებაში“ თურმე მწიფდება უკეთური აზრი: რადგანაც პარლამენტმა თეზ-ი არ დაამტკიცა, ამ პარლამენტში ჩვენი ადგილი არ არისო. ეგ კი არა, თურმე იმაზეც ფიქრობენ სერიოზულად, მიიღონ თუ არა მონაწილეობა ნოემბერში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში.

არ ვიცი, „აღორძინება“ რატომ ანიჭებს ასეთ სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობას თავისუფალი ეკონომიკური ზონის კანონპროექტის მიუღებლობას, ბოლოს და ბოლოს, უმისოდ გვიცოცხლია და ალბათ კიდევ დიდხანს ვიცოცხლებთ!

მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ კანონპროექტის ქვეყნისთვის საჭიროება კი არ იდგა, არამედ მისი „გათრევა“ – აუცილებლად, ყოველ მიზეზს გარეშე, ნებისმიერ ფასად, რადაც უნდა დაჯდეს!..

ძალაუნებურად იფიქრებ, რომ ფრაქცია „აღორძინებას“ ზეგარდმო მიეცა დავალება პანფილოველებივით შევარდნოდნენ ტანკებს და „ბილი“ გაეტანათ!

ამას ბუნებრივი კითხვა მოსდევს: რატომ, რა იმალება, რა დგას ყოველივე ამის უკან?

აქ ჯემალ გოგიტიძის, სანდრო ბრეგაძის ან ცოტნე ბაკურიას საეჭვო ლოგიკა არ კმარა, ღრმად თხრაა საჭირო, მაგრამ ამ ღრმად თხრის დრო და ადგილი აქ ნამდვილად არ გვაქვს.

ერთი რამ კი აუცილებად მოგივა თავში: მთელი ამ ხნის განმავლობაში ფრაქცია „აღორძინების“ პარლამენტში ყოფნა თეზ-ის (სეზ-ის) როგორმე მიღებისთვის ხომ არ იყო ნავარაუდევი და ახლა, როცა ეს საქმე ჩავარდა, ის, ვინც ჯერ არს, ამ ფრაქციის იქ ყოფნას არავითარ მნიშვნელობას აღარ ანიჭებს (აღარ სჭირდება!).

პირდაპირ ქრესტომათიული მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება პირადულმა თუ ჯგუფურმა ინტერესებმა დაამცროს საქვეყნო, ეროვნული.

პოლიტიკური კატაკლიზმებიდან გასულ კვირაში საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის აჭარა-გურიის სამხარეო გაერთიანების კოორდინატორის ნატო იმნაძის ბინის კართან ყუმბარის აფეთქებაც მძლავრად გახმიანდა.

მაგრამ მთლად ზუსტი რომ ვიყო, ასე თქმა აჯობებს: ყუმბარის აფეთქებაზე უფრო, აღორძინების თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის ცოტნე ბაკურიას მოუზომავი განცხადება გახმიანდა: ეს აფეთქება ქრისტიან-დემოკრატებმა თვითონ მოუწყვეს საკუთარ თავს, რადგან მზად არიან ხელი მოაწერონ ათასგვარ სიბინძურეს, ათასგვარ ცილისწამებას, ოღონდ საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცნენო, აღორძინებას არასდროს არანაირი შეხება არ ჰქონია ძალადობასთანო.

ეს ამბავი იმას ჰგავს, რა ატამი, რი ატამიო. არავის ხომ არაფერი დაუბრალებია აღორძინებისთვის! თანაც, უმალვე გენერალ გრაჩოვის ცნობილ ვარიანტს რატომ სთავაზობს ბატონი ცოტნე საზოგადოებას, რა, უკვე ექსპერტიზა და გამოძიება ჩაატარა?

ამას იმიტომ ვამბობ, რომ როცა ოპოზიცია წუწუნებს, სახელისუფლებო ძალები ერთიანდებიან, ძლიერდებიან და კვლავ ხელისუფლებაში დასამკვიდრებლად ემზადებიანო, იქნებ თავის თავში მოიძიონ მიზეზი, თუ რატომ მუხრუჭდება ეს პროცესი ოპოზიციაში, რატომ ჭიანურდება მისი ერთ მუშტად შეკვრა?

ნაციონალები, ლეიბორისტები და ახლები ერთმანეთს ჭამენ და კრილოვის გედის, კირჩხიბისა და ქარიყლაპიას მსგავსად ურემს სხვადასხვა მხარეს ექაჩებიან.

კი ექაჩებიან, მაგრამ წინ ვერ მიჰყავთ.

ამასობაში სახელისუფლებო ურემმა უკვე აიღო სიჩქარე (წინ!).

მარტო ჯიბრით, ღვარძლითა და ლანძღვით ვერც შენსას დაძრავ და ვერც სხვისას დაეწევი.

აი, გადაწყდა, რომ საქართველოს ნაკრები 30 აპრილს ცარიელ სტადიონზე აღარ შეეჯიბრება რუსეთის გუნდს. უეფამ უპრეცედენტო, გაუგონარი გადაწყვეტილება მიიღო და გვიპატია!

თვითონ მიხეილ სააკაშვილმა აღიარა, ეს ხელისუფლებამ, ედუარდ შევარდნაძემ გააკეთაო, ქვეყანა შებრა და უეფა დაითანხმაო.

ოღონდ, სულგრძელობა ბოლომდე არ ეყო და მამლაყინწური აპლომბით გააგრძელა, ეს იმიტომ ქნა, რომ ჩვენს მიერ (ე. ი. ოპოზიციის მიერ!) დაგეგმილი სტადიონის გვერდით ქართველი ფეხბურთელების მხარდასაჭერად მრავალი ათასი ადამიანის შეკრებისა შეეშინდაო.

დაახლოებით იმას ჰგავს, ჰებელსი ბერლინელებს რომ ამხნევებდა 1945 წლის მაისის დასაწყისში, რუსები დაპანიკებულნი გვიტევენო.

ისეთი მასშტაბის პოლიტიკოსს (უფრო სწორად, რა მასშტაბის პოლიტიკოსადაც წარმოუდგენია და სხვებსაც აჩვენებს თავის თავს) ასეთი გულნამცეცობა პატივს ნამდვილად არ სდებს. რაც მთავარია, არც ხალხია ბრიყვი და მიუხვედრელი...

ყველაზე ნათელი მოვლენა განვლილ კვირაში უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული იყო.

გიხაროდეთ!

**ალეკო ასლანიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სულიერება

# საპასექო ეპისტოლე

## უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II

(პირველი გვერდიდან)

ისინი კი, ვინც უფლისმიერი სიხარულის ამ განცდას და სულიწმინდის მადლს განშორებულნია, უნდა ეცადონ, ეკლესიური ცხოვრებით როგორმე მოიპოვონ იგი; როგორც წერს წმ. ირინეოს ლიონელი, „სადაც ეკლესიაა, იქ სულიწმინდაცაა და სრული სისავსე მადლმოსილებისა. ეკლესიის გარეშე, სულიწმინდის გარეშე კი ნებისმიერი ადამიანი დაუცველია და დაღუპვისათვის განწირული“, რადგან ცხოვრების მღვრიე ტალღებს შეჯახებული სასოწარკვეთილებაში ადვილად ვარდება და დიდი ძალისხმევითღა თუ შეძლებს ბოროტის გავლენისაგან თავის დაღწევას. ბევრნი კი, სამწუხაროდ, თვითმკვლელობით ამთავრებენ სიცოცხლეს, რაც სულიწმინდის გმობაა და არ ეპატიება ამის ჩამდენს არც ამქვეყნად და არც იმქვეყნად.

ცხოვრება ფართო არჩევანს გვთავაზობს და ეშმაკი ყოველნაირად ცდილობს ცოდვებში ჩაგვითრიოს, რომ ღვთიურ მადლს განგვაშოროს და ამქვეყნიურ საცდურთა საშუალებით მარადიული სასუფეველი დაგვაკარგინოს. ან უნდა დავამარცხოთ ჩვენი თავი და ჩვენზედ გაბატონებული მიწიერი ვნებანი, ანდა უნდა ვიქცეთ ბიწიერებისა და ბოროტების მთესველად.

დიახ, თუ ჩვენს თავს ვერ მოვერევით, ვერ ვძლევთ ჩვენს სიამაყეს, მრისხანებას, შურს, დიდებისმოყვარებას, ხორციელ ვნებებს, მომხვეჭელობას, სიძულვილს, განკითხვას და სხვა მანკიერ თვისებებს, აუცილებლად ცოდვის ჭაობში დავინთქმევით. თუმცა, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ჩვენი მდგომარეობა, უნდა გვახსოვდეს, რომ დაცემას არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევეგუოთ. ახალი ცხოვრების დაწყება არასოდეს არ არის გვიან, გადარჩენის წყურვილმა უნდა სძლიოს ყველა სხვა ქვენა გრძნობასა და ინსტინქტს.

თითოეულ ჩვენგანს მძიმე, მაგრამ განმწმენდელი გზა გვაქვს გასავლელი. ეგვიპტიდან აღთქმული მიწისკენ მიმავალ ებრაელთა მსგავსად, ჩვენ „სულიერი იერუსალიმისაკენ“ უნდა ვისწრაფოთ. ასე რომ, „სინას უდაბნოს“ დაძლევა მოგვიწევს და გარკვეულ ხანს ფარაონიც მოინდომებს ჩვენს დევნას, მაგრამ თუ უფალი იქნა მწე ჩვენდა და მფარველ ჩვენდა, ვისა გვეშინოდეს?! (ფს.) მაშ, დავით მეფის სიტყვებით შევთხოვოთ ღმერთს: „შთამაცუ მე ძალი ბრძოლისა, შეაბრკოლენ ყოველნი, რომელნი აღდგომილ არიან ჩემ ზედა და ჩემ ქვეშე“ (ფს. 17, 39).

მაგრამ ამას რომ მივაღწიოთ, უნდა ვიყოთ უფალთან, ანუ უნდა ვიყოთ წევრნი ჩვენი წმიდა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისა, რომელმაც ოცი საუკუნის მანძილზე შეურყვნელად დაიცვა ქრისტეს ჭეშმარიტი სწავლება და შეგვანარჩუნებინა ჩვენი სული, ჩვენი მამული, ჩვენი საოცარი კულტურა.

წმიდა მამები ხშირად შეგვახსენებენ ეკლესიის მნიშვნელობაზე მორწმუნის ცხოვრებაში. როგორც ვთქვით, ადამიანი აქ, უპირველეს ყოვლისა, მოიპოვებს სულიწმინდის მადლს და ნამდვილ თავისუფლებას, ადვილად სძლევს სიძულვილის, უნდობლობისა და გაუტანლობის ატმოსფეროს, დაცულია სიმარტოვის მძიმე განცდისა და ყველანაირი მიწიერი შიშისაგან.



მოციქული პავლე ჩამოთვლის სულიწმინდის ნიჭთ, რომელსაც ადამიანი ეკლესიის მეოხებით ეზიარება: „სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება. სიტკბოება, სიკეთე, რწმენა, თვინიერება, თავშეკავება“ (გალატ. 5 22-23). აი, ამ საფუძველზე უნდა დააშენოს ნებისმიერმა კეთილმორწმუნემ თავისი განსჯა და ქმედებანი, თუ სურს გახდეს თანაზიარი ცათა სასუფევლისა.

რა თქმა უნდა, ყველას სურს მშვიდი და ბედნიერი ცხოვრება, მაგრამ პრობლემებს ვერავინ გაექცევა, რადგან ჩვენი დაცემული ბუნება თვითონ შობს მათ.

არც ეკლესიის წიაღში ყოფნა ნიშნავს უზრუნველ ყოფას; პირიქით, სწორედ ესაა ის არეალი, სადაც ბოროტება დაუცხრომელად ებრძვის სიკეთეს. ოღონდ აქ აუცილებლად გამარჯვებას მიაღწევს ყველა, ვინც უფლისმიერი ვიწრო, ეკლიანი, მაგრამ ერთადერთი და გადამრჩენელი გზით ივლის.

სწორედ ბოროტთან ხილული თუ უხილავი ბრძოლით და მასზე გამარჯვებით მოიპოვებთ სულიწმინდას, რომელიც შინაგანი სიმშვიდით, არამიწიერი სიყვარულითა და სიხარულით აღავსებს თქვენს შინაგან სამყაროს. ასე რომ, ნუ შეგაშინებთ პრობლემები; საცდური და განსაცდელი თვით უფალსაც ქონდა უდაბნოში ყოფნის დროს და პირველ რიგში იქ განცხადდა მისი ძალა, სიბრძნე და მადლმოსილება.

ესეც იცოდეთ, თუ მიუკერძოებლად ჩაუღრმავდებით განვლილ ცხოვრებას, აღმოაჩენთ, რომ ჩვენზედ მოწევნული მწუხარებისა და განსაცდელის მთავარი მიზეზი ჩვენშივეა და ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ჩვენი აღქმა ჩვენი შინაგანი და გარე სამყაროსი, როგორია ჩვენი დამოკიდებულება ღმერთისადმი და მარადიული ღირებულებებისადმი. ამავე დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გულისა და გონების სისუფთავეს. ამიტომაც ცდილობდნენ ღირსი მამები ლოცვას, მარხვასა და სულიერ ღვაწლთან ერთად განეწმინდათ გონება, რათა უბიწო ყოფილიყო მათი ფიქრი და ღრმა — აზროვნება (ეს კი უფლისადმი შიშიდან მომდინარეობს და არა განსწავლულობიდან, როგორც ზოგიერთს ჰგონია).

ყოველივე ზემოთქმულის შესახებ საოცარი მსჯელობები აქვს იმპერატორ ნერონის დროს, I საუკუნეში რომში მცხოვრებ დიდ მოაზროვნესა და ფილოსოფოსს ეპიკტეტს (60-138 წწ.), რომელიც სოციალური მდგომარეობით მონა იყო, მაგრამ ყველას თავისუფალ პიროვნებად მიაჩნდა. მან მშვენივრად უწყოდა და სხვათაც უხსნიდა, თუ ბატონს მონად როგორ აქცევს მისი მიწიერი ვნებანი და პირიქით, თვით ყველაზე მძიმე მონობისა და ტყვეობისაგან როგორ ათავისუფლებს ადამიანს შინაგანი კავშირი ღმერთთან.

იგი ამბობდა: საგნები და მოვლენები კი არ ანიჭებენ კაცს ბედნიერებას, არამედ ჩვენი დამოკიდებულება მათდამი, ამიტომაც ბედნიერება ჩვენს ხელშიაო. „იყავი მართალი და შენ იქნები თავისუფალიც და ბედნიერიც. ყველას, ვისაც სურს მოიპოვოს თავისუფლება, შეუძლია ეზიაროს მას, ოღონდ ამისთვის აუცილებელია განთავისუფლდეს ცოდვისა და ყოველგვარი სიბილწისაგან“.

„გაბატონდი შენს ვნებებზე, თორემ ისინი დაგიმორჩილებენ შენ; თუ ცუდი აზრი მოგივა, ეცადე შეაჩერო იგი და თავიდანვე გააანალიზო ყველა ის შედეგი, რაც მას მოჰყვება. ამასთან, მოუხმე მის საწინააღმდეგო კეთილ ფიქრებს, შეაჯერე ისინი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღე გადაწყვეტილება. იცოდე ესეც, თუ გსურს იყო მართალი, კარგად უნდა დარწმუნდე, რომ შინაგანად დაცემული ხარ“.

თითქოს საუკუნეებს გადასძახისო ეს დიადი მონა, როცა ამბობს: „მიჩვენეთ თუნდაც ერთი მაგალითი, ერთი საშუალება გამდიდრებისა ისეთი, რომელიც არ წაბილწავს სულს და მეც მივბაძავ თქვენს რჩევას“.

მეტად საინტერესოა ბრძენი ლაო-ძის დარიგებაც: „ძლიერია, ვინც სიყვარულითაა სავსე; გულუხვია, ვინც ზომიერად გასცემს, მეფობს, ვისაც მორჩილება შეუძლია.

ვინც ძლიერია და არა აქვს სიყვარული, — გაუბედურდება, ვინც გულუხვია, მაგრამ არ იცავს ზომიერებას, — გაღატაკდება, ვინც ბატონობს, მაგრამ არ იცის მორჩილება, — დაიღუპება“.

ღმერთს ყველაზე მეტად ამპარტავანი არ მოსწონს და ყველაზე მეტად აფასებს თავმდაბლობას. ამიტომაც, შინაგანი თვითკმაყოფილების გაჩენისთანავე (რაც ამპარტავნების უპირველესი ნიშანია) მსწრაფლად სწვრთნის მას, ვინც უყვარს.

უდაბნოში ერთი ბერი მოღვაწეობდა და დაუცხრომელ ლოცვასა და მარხვაში იყო. ამპარტავნების ბოროტმა ნელ-ნელა იწყო მისი სულის დაპყრობა და თანდათან უნერგავდა აზრს თავისი განსაკუთრებულობის შესახებ. როცა ასეთმა ფიქრებმა სერიოზულად შეაწუხა, მას ეყო სიბრძნე, მიატოვა უდაბნო, მონასტერში დაბრუნდა და თავისი მდგომარეობის შესახებ წინამძღვარს უამბო. მან მაშინვე იგრძნო საფრთხე და უბრძანა, ჯოხი აეღო და ღორები ემწყემსა. ბერმა დაუჯერა. მისი საქციელი ბევრს გაუკვირდა და დაცინვა დაუწყეს, მაგრამ მეუდაბნოემ მორჩილება აჯობინა მათ კეთილგანწყობას. თავის ასეთი დამცირებით იგი გადარჩა და შემდეგ ცნობილი მამა გახდა.

დღეს, როგორც არასდროს, ჩვენში დაჩლუნგებულია სულიერი ხედვის უნარი; იშვიათად თუ ვინმეს აქვს სურვილი, საწყის ეტაპზევე გააცნობიეროს ის საფრთხე, რასაც მასში თვითკმაყოფილება უკაფავს გზას და დროზე ალაგმოს ეს დამღუპველი გრძნობა. ამიტომაცაა ყველაზე მეტად ფესვგადგმული უდიდესი ცოდვა — ამპარტავნება.

ამპარტავნებას სხვა და სხვა სახის გამოვლინებანი აქვს. მისი ერთ-ერთი მძიმე ფორმაა სიმდაბლით ამპარტავნება. როგორც ამბობენ, ეს „თავმდაბლობა“ უარესია ამპარტავნებაზე. ვინც ამ ცოდვაშია, თავის თავს ხშირად ამცირებს სიტყვით და აღიარებს, რომ სუსტია და მრავალი მანკიერი თვისება აქვს, მაგრამ საკმარისია ვინმესგან შენიშვნა მიიღოს, რომ მსწრაფლ განრისხდება, განაწყენდება და უჭირს პატიება. თუ ასეთ ადამიანებს მართლაც სურთ თავმდაბლობის მოპოვება, უნდა მიეჩვიონ წყენის უდრტვინველად გადატანას; ეს აუცილებელი პირობაა.

ამპარტავნებიდანვე მომდინარეობს სხვათა განსჯის სურვილი და ვერ დანახვა საკუთარ უძლურებათა.

იხ. მე-4 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სულიერება

# სააღდგომო ეპისტოლე

(მესამე გვერდიდან)

ერთხელ ერთი ბერი რაღაც ცოდვაში ჩავარდა, რის გამოც სულიერმა ძმებმა განკითხვა დაუწყეს. ის კი თავს არ იმართლებდა, თავისთვის ლოცულობდა, ტიროდა და მწარედ ნანობდა ჩადენილს. მონასტრის წევრებმა გადაწყვიტეს, სასჯელი დაედოთ მისთვის და ამ მიზნით მოიწვიეს მეუდაბნოე, ცნობილი სულიერი მოძღვარი. იგი თავდაპირველ კრებაზე არ მოვიდა, მერე კი გამოცხადდა ზურგზე ძველი დიდი ტომრით, საიდანაც სილა იყრებოდა. ბერებმა ჰკითხეს, თუ რას ნიშნავდა ამ სახით მისი მოსვლა. მოძღვარმა კი უპასუხა: „სილა — ეს ჩემი ცოდვებია, მაგრამ მე მოვედი ჩემი ძმის დასასჯელადო.“ ამით მან მიანიშნა, რომ ისინი, ვინც დამნაშავის განსჯას მოითხოვდნენ, თვითონაც ცოდვილნი იყვნენ და ამდენად არ ჰქონდათ მორალური უფლება სხვისი დამცირებისა. მონასტრის ძმებმა გულისხმაყვეს რომ არასწორად მოიქცნენ, შეინანეს დანაშაული და სიყვარულით მიიღეს შეცდომილი ბერი.

ეს მაგალითები, მართალია, სასულიერო პირთა ცხოვრებიდანაა, მაგრამ იგივე და უფრო მძიმე სიტუაციაა ერში. ერის ადამიანებს უფრო უჭირთ გააცნობიერონ, რომ თვითონ სხვაზე არანაკლებად დაცემულნი არიან, რომ განკითხვა აჭუჭყიანებს სულს და მათ ისედაც ცოდვით სავსე ცხოვრებას ახალ სიმძიმეს მატებს და რომ ყველამ გამოსწორება სხვისგან კი არა, საკუთარი თავიდან უნდა დაიწყოს.

მინდა შევჩერდე თანამედროვე ჩვენი ყოფისათვის დამახასიათებელ ერთ მოვლენაზეც: მეტად სასიხარულოა, რომ, მიუხედავად საყოველთაო გაჭირვებისა, მთელს საქართველოში შენდება ეკლესია-მონასტრები. ალბათ, ასე მოკლე დროში ჩვენთან ამდენი ტაძარი არც არასდროს აგებულა. ეს ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ მოსწყურდა 70-წლიანი ათეისტური რეჟიმით დათრგუნულ ხალხს ღმერთი და როგორ ილტვიან მისკენ მდიდარნიც და ღარიბნიც, მართალნიც და ცოდვილნიც, ასაკოვანნიც და უასაკონიც, მეცნიერნიც და უბირნიც.

ახალი ტაძრების მშენებლობა ღვთისთვის მართლაც სათნოა, მაგრამ ხშირად ავიწყდებათ, რომ კიდევ უფრო დიდი მადლია დაზიანებული ეკლესიების რესტავრაცია, ძველი ტაძრებისა და მათი ნანგრევების აღდგენა. ვინც ამას აკეთებს, უფლის წინაშე დიდ კეთილ საქმეს იქმს; ამასთან, ეს ნაბიჯი უფრო მოკრძალებულია და ამბიციურობისაგან თავისუფალი, ხოლო უფლისმიერი შეწევნა — გაცილებით დიდი, რადგან ასეთ ადამიანს და მის ოჯახს ამ ძველ ნალოც ადგილზე მოღვაწე საერო და სასულიერო პირთა მეოხება არ მოაკლდება. ეს წინაპართა პატივისცემისა და სამშობლოს სიყვარულის უფრო დიდი გამოვლინებაა.

საერთოდ კი ძნელია გამოთქვა, ჩვენი გრძნობა სამშობლოსადმი. თუ ვიტყვით, რომ იგი გვიყვარს, — ეს არაფრისმთქმელი ფრაზაა. არც დედამიწის ულამაზეს გარკვეულ გეოგრაფიულ სივრცედ მისი აღქმა ნიშნავს რამეს. ჩვენ სისხლხორცეული ნაწილი ვართ ჩვენი მამულისა, იგი საუნჯეა ჩვენი. ჭირს გარჩევა, ჩვენ ვცხოვრობთ მასში, თუ ის სახლობს ჩვენს გულში. სამშობლო, ესაა ენა ქართული, ესაა სული ჩვენი დიდებული წინაპრებისა, ათასობით წმინდა მოწამისა, მეფეთა, კათოლიკოს-პატრიარქთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა და დედათა, ესაა ჩვენი უთვალავი ტაძრები და მონასტრები, ჩვენი სიწმინდენი, ხელოვნება. არქიტექტურა, მწერლობა, ესაა ჩვენი ხასიათი და აზროვნების წესი; ესაა ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი. სამშობლო ჩვენი დიდი იმედია. მისდამი გრძნობა იმდენად ამაღლებული და სათუთია, როგორც სიყვარული ღვთისადმი. ამიტომაც ამბობს ქართველი:

„როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მომივლია და მამულის ასეთი მტკივნეული განცდა სხვაგან არსად მინახავს. ეს გრძნობა განსაკუთრებით უნდა შეინარჩუნონ უცხოეთში მყოფმა ჩვენმა თანამემამულეებმა და ყველაფერი გააკეთონ, რომ დაბრუნდნენ სამშობლოში, რადგან დიდხანს ფესვებს მოწყვეტილი ადამიანი კარგავს ეროვნულ თვითშეგნებას.

მახარებს, რომ საქართველოში მცხოვრები სხვა ერის შვილებიც დიდი სიყვარულით არიან განმსჭვალულნი ჩვენი მიწა-წყლისა და ხალხისადმი, თუმცა ქვეყნისადმი დამოკიდებულება ყველამ საქმით უნდა აჩვენოს. ეს, პირველ რიგში, ეხებათ პოლიტიკოსებს და საზოგადო მოღვაწეებს, რადგან მათ ქვეყნის მართვის სადავეები უპყრიათ.

ჩვენ ვცხოვრობთ თავისუალი, ჰუმანური და დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის პერიოდში. ერთი რამ ცხადია, თუ მართლაც თავისუფალ სახელმწიფოს ვაშენებთ, ეს პროცესი არ მიგვიყვანს ფსევდოთავისუფლებამდე, ქაოსსა და ნგრევამდე, რადგან ჭეშმარიტი თავისუფლებით ნაკარნახევი ჩვენი აზრები და ქმედებანი არ დაარღვევს ზნეობისა და ეთიკის ნორმებს. ეს განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს ახლა, როცა გვიახლოვდება საპარლამენტო არჩევნები.

არჩევნებთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო პოლიტიკურ მოღვაწეთაც და სასულიერო პირებსაც, რომ ეკლესია არის ერთადერთი ძალა, რომელმაც უნდა გააერთიანოს ერი და, ამდენად, მისი გამოყენება ვიწრო პარტიული ინტერესებისათვის ყოვლად დაუშვებელია. სასულიერო პირებს, წმ. სინოდის დადგენილებით, აკრძალული აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უშუალოდ მიღება და ამა თუ იმ პოლიტიკური ბლოკის, პარტიისა თუ ცალკეული პიროვნებისადმი საჯარო მხარდაჭერა. რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უმთავრეს საკითხებში ჩვენს ჩაურევლობას (როგორიცაა მაგ: ტერიტორიული მთლიანობა, დამოუკიდებლობა, ეროვნული ეკონომიკის აღორძინება, სოციალური პრობლემები და სხვა).

ეკლესია სულის საკურნებელი ადგილია და იგი ყველა მართლმორწმუნეს თანაბრად ეკუთვნის; ტაძარი სახლია უფლისა, ხოლო „მიკერძოება უცხოა ღმრთისათვის“ (რომ. 2,11). როგორც ჩანს, დღესაც ხშირად უნდა გავუმეოროთ ყველას პავლე მოციქულის სიტყვები, რომ დიდი შეცდომაა ასეთი დამოკიდებულება: „მე პავლესი ვარ, მე აპოლოსი, მე კეფასი, მე კიდევ ქრისტესი. ნუთუ გაიყო ქრისტე?“ (კორ. 1, 12-13).

არ შემიძლია არ აღვნიშნო ისიც, რომ ხშირად ჩვენს ირგვლივ არსებულ სიტუაციას იმასთან შედარებით უფრო მკვეთრად უარყოფითად აღიქვამენ, ვიდრე ეს რეალობაშია. მართალია, მუდმივად გვაქვს დენის და გაზის პრობლემა, დაბალია საპენსიო და სახელფასო ანაზღაურება, მცირეა სამუშაო ადგილები, მაგრამ ეს მაინც არ არის გამოუვალი მდგომარეობა. სხვადასხვა სახის პრობლემები ყოველთვის იყო; ამაზე მძიმე დროც გვქონია, მაგრამ დღეს სიტუაციას ამძაფრებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მოვლენათა დრამატიზირება და ამასთან ზნეობრივი თავაშვებულობის პროპაგანდა; ასევე ჩვენი დიდი ნაკლია დაყოფა და ურთიერთდაპირისპირება, რაც დრომაც მოიტანა.

მიუხედავად ყველაფრისა, მდგომარეობა გამოსწორებადია. მშვენივრად წერს ბრძენი: „ო, უბედურებავ, შენ ხარ სათავე ბედნიერებისა; ო, ბედნიერებავ, შენ ხარ ძირი უბედურებისა.“ ამიტომაც მჯერა, ადრე თუ გვიან ხალხი ალღოს აუღებს შემოთავაზებულ სიახლეებს, შეძლებს ავისა და კარგის გარჩევას, მოიკრებს ძალას მანკიერ თვისებათა დასაძლევად, ეკონომიკური სიტუაციის გამოსასწორებლად და ერთობისაკენ ჩვენი სწრაფვაც რეალობად იქცევა.

ამ ეპისტოლეს მინდა ვუწოდო „იმედი, — შიშისა და სასოწარკვეთილების ნაცვლად“ და პავლე მოციქულის სიტყვებით დაგლოცოთ: „დაე, მოგეცეთ იმის ნიჭი, რომ ერთმანეთს შორის თანამოაზრენი იყოთ ქრისტე იესოს მიერ, რათა ერთსულოვნად ადიდებდეთ ღმერთს ... შეიწყნარეთ ერთმანეთი, როგორც ქრისტემ შეგიწყნარათ თქვენ (რომ. 15, 5-7).

მაშ, მიენდეთ უფალს და მისი შეწევნით ისწავლეთ პრობლემების დაძლევა.

ცხადია, თითოეულ ჩვენგანს, ჩვენს მომავალ თაობას და ზოგადად ჩვენს ქვეყანას რთული გზა აქვს გასავლელი. გეოპოლიტიკური მდებარეობა საქართველოსთვის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. აქ კვეთს ერთმანეთს ჩრდილოეთსა და სამხრეთს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი გზები. აქ გადიოდა და კვლავაც იწყებს ფუნქციონირებას დიდი აბრეშუმის გზა. ამ მიწასთან არის დაკავშირებული მრავალი დიდი და პატარა ქვეყნის ინტერესი. ამიტომაც მუდმივად ვიდექით არჩევნის წინაშე და გადარჩენისა და განვითარებისთვის ვეძებდით საშუალებებს. ჩვენი კულტურა ევროპისა და აზიის კულტურული მემკვიდრეობის ჩვენეული აღქმაა და არა მექანიკურად გამეორება სხვათა ნააზრევისა. ამიტომაცაა იგი ძვირფასი. ამიტომაც შევიტანეთ ჩვენ ღირსეული წვლილი მსოფლიოს კულტურულ საგანძურში. მრავალფეროვნება ჩვენს თვისებად იქცა; ცალმხრივობა არც დღეს გამოგვადგება. ჩვენთვის ახლობელი უნდა იყოს ყველა; ზომიერება ჩვენი არსებობის აუცილებელი პირობაა, — ასეთია ღვთის განგებულება.

ეპისტოლე ათონელი თანამედროვე დიდი მოძღვრის, მამა გიორგის სიტყვებით მინდა დავამთავრო: „რწმენა თეორია კი არ არის, არამედ ცოცხალი განცდაა მისი. ღვთისმოყვარე გული ისე აირეკლავს უფალს, როგორც წყალი — მზეს. ჩვენ ძენი ვართ აღდგომისა. აღდგომის სიხარულის გარეშე შეუძლებელია სიცოცხლე, შეუძლებელია გადარჩენა“.

მაშ, სიხარულითა დიდითა განიხარეთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მცხოვრებნო ძმანო და დანო, ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და მის ფარგლებს გარეთ მყოფო თანამემამულენო, რამეთუ „სიკვდილითა სიკვდილისა შემუსვრასა ჯოჯოხეთისასა დღეს ვდღესასწაულობთ, დასაბამსა და მიზეზსა ახლისა ცხოვრებისასა ვუგალობთ“ (VII საგალობელი) და სასოებით ვუგალობთ სიკვდილის დამთრგუნველს.

ქრისტე აღსდგა!

ჭეშმარიტად აღსდგა!

ilia II,
sruliad saqarTvelos
kaTolikos-patriarqi.
პასექი ქრისტესი, თბილისი, 2003 წელი.

## დაიწყო სააღდგომო ღვთისმსახურება

დღეს 27 აპრილს, მართლმადიდებლური სამყარო ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავს. შაბათს, 23 საათიდან საქართველოს ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში სააღდგომო ღვთისმსახურება დაიწყო, რომელმაც დილამდე გასტანა. სიონის საკათედრო ტაძარში ლიტურგიას სამღვდელოებასთან ერთად უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე შეასრულებს.

„ქრისტეს ჯვარცმულმა სიკვდილმა აღასრულა ჩვენი გამოსყიდვა, მისი აღდგომით კი მარადიული ცხოვრება მოგვენიჭა. ეს უპირველესი და ყველაზე დიდებული ჭეშმარიტებაა, რომელიც მოციქულებმა გვახარეს, ამიტომ ამ დღესასწაულის ღვთისმსახურება არაჩვეულებრივი საზეიმო განწყობით გამოირჩევა“, — აღნიშნეს საქართველოს საპატრიარქოში.

## სადღესასწაულო საჩუქრები - მსჯავრდებულთ

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმარ ქალებს და მსჯავრდებულ არასრულწლოვან მოზარდებს პასკებსა და ტკბილეულს გადასცემენ.

როგორც „ინტერ-პრესს“ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში განუცხადეს, ავჭალის ქალთა და ბავშვთა კოლონიებში, აგრეთვე თბილისის მე-5 საპყრობილეში მყოფი ბრალდებული არასრულწოლვანები დღეს აღდგომის დღესასწაულის აღსანიშნავად სხვადასხვა სახის საჩუქრებს მიიღებენ.



## აღინიშნება „ბრწყინვალე შვიდეული“

ორშაბათიდან მართლმადიებლურ სამყაროში „ბრწყინვალე შვიდეული“ აღინიშნება. მთელი კვირის განმავლობაში მართლმადიდებელი ქრისტიანები ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას ზეიმობენ. როგორც „ინტერ-პრესს“ საქართველოს საპატრიარქოში განუცხადეს, „ბრწყინვალე შვიდეულის“ კვირაში მართლმადიდებლურ ეკლესიაში აღსავლის კარი მთელი შვიდი დღის განმავლობაში ღიაა. იგი მღვდელთმსახურთა ზიარების დროსაც კი არ იხურება. ამასთან, აღდგომის დღესასწაულთან დაწყებული სულთმოფენამდე, მუხლის მოდრეკა და მეტანია არ აღესრულება.

„ბრწყინვალე შვიდეულში“ ყოველდღიურად, ერთი და იგივე მსახურება შესრულდება და მღვდელთმსახურები „მეუფეო ზეცათაოს“ ნაცვლად, სამჯერ წაიკითხავენ „ქრისტე ადგა“.

„ბრწყინვალე შვიდეულის“ დასრულების შემდეგ, მართლმადიდებლური ეკლესია აგრძელებს აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნას, ოღონდ ოდნავ ნაკლები საზეიმო განწყობით. იგი კიდევ 32 დღე იზეიმება — მაცხოვრის ამაღლებამდე — აღნიშნეს საპატიარქოში.

ბრწყინვალე შვილდეულის სამშაბათს, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ხსენების დღესასწაულზე, ვაზისუბანში, მახათას მთაზე, იმ ადგილას, სადაც ამ ხატის სახელობის მამათა მონასტერი უნდა აშენდეს, წირვას აღავლენს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი).

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

დოკუმენტი

# საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

2003 წლის 21 აპრილი ქ. თბილისი

## საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოების, თანამდებობრივი სარგოს დანამატების განსაზღვრისა და საცხოვრებელი ბინის დაქირავების ხარჯების შესახებ

1. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

ა) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე – 630 ლარი;

ბ) საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე – 610 ლარი;

გ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე – 585 ლარი;

დ) საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე – 575 ლარი;

ე) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის (პალატის) თავმჯდომარე – 560 ლარი;

ვ) საოლქო სასამართლოს კოლეგიის (პალატის თავმჯდომარე) – 550 ლარი;

ზ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე – 535 ლარი;

თ) საოლქო სასამართლოს მოსამართლე – 525 ლარი;

ი) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე – 525 ლარი;

კ) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე – 500 ლარი.

2. მოსამართლეებს, რომლებიც სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებენ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 852 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე და ჩაბარებული აქვთ მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, თანამდებობრივი სარგო განესაზღვროთ ამ ბრძანებულების პირველი პუნქტის შესაბამისად, ხოლო მოსამართლეებს, რომლებიც სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებენ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 852 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე და ჩაბარებული არა აქვთ მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, თანამდებობრივი სარგო განესაზღვროთ 250 ლარის რაოდენობით.

3. თანამდებობრივი სარგოს დანამატი მოსამართლედ ნამსახურობის წლებისათვის განისაზღვროს თანამდებობრივი სარგოს შემდეგი რაოდენობით:

ა) 5-დან 10 წლამდე – 5 პროცენტი;
ბ) 10-დან 15 წლამდე – 10 პროცენტი;
გ) 15-დან 20 წლამდე – 15 პროცენტი;
დ) 20–დან 25 წლამდე – 20 პროცენტი;
ე) 25–დან 30 წლამდე – 25 პროცენტი;
ვ) 30–დან 35 წლამდე – 32 პროცენტი;
ზ) 35–დან 40 წლამდე – 40 პროცენტი.

4. სასამართლო უფლებამოსილების განხორციელების ადგილის მიხედვით თანამდებობრივი სარგოს დანამატი განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

ადიგენის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ყაზბეგის, ქედის, ხულოს, მესტიის, ლენტეხის, წალკის, შუახევის რაიონებში – 10 პროცენტი.

5. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს დადგენილი წესით, საქართველოს იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად მიეცეთ თანამდებობრივი სარგოს დანამატი არა უმეტეს თანამდებობრივი სარგოს ერთმაგი რაოდენობისა.

6. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს შვებულებაში გასვლისას მიეცეთ საშვებულებო დახმარება ორი თვის თანამდებობრივი სარგოს რაოდენობით.

7. საერთო სასამართლოების მოსამართლეებს, რომელთაც შესაბამის ქალაქში ან რაიონში არა აქვთ საცხოვრებელი ბინა, საქართველოს იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებით საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის გამოეყოთ შემდეგი რაოდენობის თანხა:

ა) ქ. თბილისში ბინის დაქირავებისათვის – 250 ლარამდე;

ბ) საქართველოს სხვა რაიონებსა და ქალაქებში – 150 ლარამდე.

8. ამ ბრძანებულებით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოები და დანამატები ანაზღაურდეს საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში.

9. ამ ბრძანებულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოების, თანამდებობრივ სარგოზე დანამატების განსაზღვრისა და საცხოვრებელი ბინის დაქირავების ხარჯების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 8 აპრილის № 158 ბრძანებულება.

ედუარდ შევარდნაძე.

კვირა

## რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი

**– რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? – „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს კარლო ფაჩულია.**



### ქვეყნისთვის

– აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე მნიშვნელოვანი რა უნდა იყოს საქართველოსთვის?! ბავშვობიდანვე განსაკუთრებულად მიყვარდა ორი დღესასწაული – ახალი წელი და აღდგომა. მეხსიერებაში სამუდამოდ ჩამებეჭდა ის ასოციაციები, რომლებიც იმ პერიოდში უკავშირდებოდა ჩემთვის აღდგომას – მოგეხსენებათ, მაშინ კომუნისტური რეჟიმისას, „აკრძალული ხილი“ იყო კვერცხის შეღებვა. მე და ჩემი ძმა მაინც ვახერხებდით ხოლმე, მეზობლის დახმარებით, სააღდგომო კვერცხების არა მხოლოდ შეღებვას, არამედ მის გამოჩენასაც კი ჩვენს ტოლ-ამხანაგებში. ეს ბავშვობიდან გამოყოლილი შთაბეჭდილებაა. დღეს კი, ცხადია, გაცნობიერებულად ვამბობ, რომ ქართველი ქრისტიანებისთვის არათუ ერთი კვირის, არამედ მთელი ცხოვრებისთვის გამორჩეულია აღდგომის დღესასწაული.

ვისარგებლებ შემთხვევით და „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან ყველა მართლმადიდებელს მივულოცავ ამ დიდ დღეს.

### ჩემთვის პირადად

– რამდენიმე თვის მანძილზე ვემზადებოდით იმ გამოფენისთვის, რომელიც 24 აპრილს გაიმართა ჟურნალ „ომეგას“ გალერეაში. გამოფენამ, რომელზეც წარმოდგენილი იყო 13 მხატვრის, მათ შორის, ჩემი ნამუშევრებიც – ილუსტრაციები ოთარ ჩხეიძის რომანისთვის „2001 წელი“, ვფიქრობ, დააინტერესა საზოგადოებრიობა. მიხარია, რომ ჩვენი გამოფენები, მათ შორის, ბოლოც, შედეგს ყოველთვის აღწევს და დამთვალიერებელთა, სახვითი ხელოვნების დამფასებელთა მოწონებას იმსახურებს.

საბადო

# დიდი და გარანტირებული პერსპექტივა

## ნინოწმინდის ერთი ჭაბურღილიდან დღიურად ადრინდელი 6,3 ტონის ნაცვლად 170 ტონა ნედლეულს იღებენ



**ამ დღეებში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში ქებით მოიხსენია ნავთობის ეროვნული კომპანიის და მისი თავკაცის რევაზ თევზაძის მუშაობის მდიდარი გამოცდილება, რაც ბოლო წლებში „ საქნავთობის“ უცხოურ ნავთობკომპანიებთან ნაყოფიერი პარტნიორული თანამშრომლობის შედეგია.**

**ქვეყნის ნავთობის საბადოებით საზღვარგარეთელი ინვესტორების დაინტერესება ახალი ხილი არ გახლავთ. აგერ უკვე რამდენიმე წელია, 7-8 ძლიერი უცხოური კომპანია ჩვენს კურთხეულ მიწას იკვლევს, ეძიებს, ბურღავს, მოიპოვებს... მაგრამ რას და რამდენს? – სწორედ ამის თაობაზე სასაუბროდ ვეწვიე ბატონ რევაზ თევზაძეს.**

***– უპირველესად ნავთობკომპანია „ანადარკოს“ შესახებ მინდა გკითხოთ. როგორც ამბობენ, მან შავი ზღვის შელფში ნავთობის დიდ მადანს მიაგნო...***

– ჰო, „ანადარკო“ მიგნების მართლაც დიდოსტატია. ეს არც არის გასაკვირი, რადგან დაზვერვა და მოპოვება მისი ერთადერთი ბიზნესია. მას, სხვებისგან განსხვავებით, არც ნავთობგადამმუშავებელი ქარხნები აქვს და არც ბენზინგასამართი სადგურები.

***– ასე ძალიან ძუნწად? ნუთუ მისი რეიტინგის ასაწევად მეტს არაფერს გაიმეტებთ?***

– მის რეიტინგს წამატება არ სჭირდება. იგი ერთ-ერთი უმსხვილესი დამოუკიდებელი ნავთობმომპოვებელი კომპანიაა მთელ მსოფლიოში, რომელიც ხასიათდება ღვედური მოქნილობით, ფინანსური, ტექნიკური და ოპერატიული სიძლიერით. კორპორაცია ძირითადად მუშაობს აშშ-ში, კანადასა და ალჟირში, აგრეთვე, ათ სხვა ქვეყანაში, რომელთა სივრცე გადაჭიმულია ახლო აღმოსავლეთიდან, ცენტრალური აზიიდან და წყნარი ოკეანის აუზიდან ჩრდილოეთ ატლანტიკამდე, არქტიკამდე და ლათინურ ამერიკამდე. მისი სამრეწველო მარაგები 2002 წლისათვის შეადგენდა 2,3 მილიარდ ბარელზე მეტს.

კიდევ დავამატებ: „ანადარკო“ მსოფლიოს უმსხვილეს ნავთობკომპანიათა შორის მეათეა, რომლის აქციები საჯაროდაა კოტირებული საფონდო ბირჟაზე. მისი აქტივები 17 მილიარდი აშშ დოლარის ტოლია. ჟურნალმა „ფორტუნ მაგაზინმა“ იგი „ყველაზე ღირსეულ და აღტაცების გამომწვევ“ კომპანიად დაასახელა.

***– ეს მისი დღემდე მოპოვებული აქციებია, მაგრამ საინტერესოა, იგი რის გაკეთებას აპირებს ჩვენთან?***

– ბევრი რამის. შარშან ივნისში მისმა შვილობილმა კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება „საქნავთობთან“, რომლის მიხედვითაც „ანადარკოს“ უფლება აქვს შავი ზღვის ოფშორულ ბლოკებზე 4 წლის განმავლობაში აწარმოოს ნახშირწყალბადების ძიება და დამუშავება. მან დაასრულა პირველადი მონაცემების ინტერპრეტაცია და შეასრულა პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებები 2002 წლის ჩათვლით.

ბლოკებს, რომლებშიც „ანადარკოს“ ასპროცენტიანი დაინტერესება აქვს, დაახლოებით 2 მილიონი აკრი ფართობი უკავია. მისი სადაზვერვო საქმიანობა ძირითადად კონცენტრირებულია ბლოკის სამხრეთ ნაწილში, სადაც კომპანიამ (დაახლოებით 1 მილიონ აკრ ფართობზე) აღმოაჩინა რამდენიმე მსხვილი, ოთხივე მხრივ შეკრული, პერსპექტიული საბადო, თითოეული 70 მილიონიდან 1,3 მილიარდამდე ბარელის ოდენობის ნაკლებსარისკო მარაგით.

***– ეს იძლევა თუ არა იმის გარანტიას, რომ იქ დაიწყოს ბურღვითი სამუშაოები?***

– რა თქმა უნდა, იძლევა. ეს საბადოები, მართალია, ზღვაშია, მაგრამ თანამედროვე პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენებით იქ ნავთობის მოპოვება შესაძლებელია. თუმცა ყოველივე ეს დაკავშირებულია უზარმაზარ კაპიტალურ დაბანდებებთან და ძალზე დიდ რისკთან. სწორედ ამ რისკის გადანაწილების მიზნით, განხორციელებული კვლევითი სამუშაოების შედეგების ანგარიში გაეგზავნა საზღვარგარეთის რამდენიმე საიმედო კომპანიას.

„ანადარკოს“ დელეგაცია ამას წინათ შეხვდა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და წარუდგინა ორი წლის მანძილზე საქართველოს შავი ზღვის შელფურ ნაწილში ჩატარებული სეისმური კვლევის ბრწყინვალე შედეგები. ზღვაში ბურღვის დაწყების თაობაზე პრეზიდენტს დამატებით მოახსენებენ ზაფხულის ბოლოს, როცა ცნობილი გახდება რისკის ფაქტორში მონაწილე ახალი ინვესტორის ვინაობა.

***– ბატონო რევაზ, ამ ბოლო ხანს საინტერესო ცნობები მოდის ნინოწმინდის საბადოდან, სადაც ნავთობს მოიპოვებს ქართულ-ბრიტანული კომპანია, „GBOC-ნინოწმინდა“. როგორც ჩემთვის ცნობილია, იქ ნავთობს იღებენ ახალი მეთოდით და არნახულ შედეგებს აღწევენ. რას გვეტყოდით ამის თაობაზე?***

– ნინოწმინდის საბადო ჯერ კიდევ 1997 წელს გავხსენით. იქიდან მოყოლებული დღემდე ამ საბადოდან სულ ამოღებულია 1,35 მილიონი ტონა ნავთობი. 1996 წლიდან აქ მუშაობა დაიწყო „კანარგომ“ და 450 ათას ტონამდე ნავთობი და 136 მილიონი კუბმეტრი გაზი მოიპოვა. ბუნებრივია, ასეთი მაჩვენებელი არც ჩვენ გვაკმაყოფილებდა და არც ინვესტორს. ნავთობის მოპოვების გაზრდის მიზნით ჯერ კიდევ 2000 წელს გაიბურღა მთელ საქართველოში პირველი ჰორიზონტალური ჭაბურღილი (მანამდე მხოლოდ ვერტიკალური ბურღვა წარმოებდა), რამაც დამაიმედებელი შედეგი მოგვცა – ნავთობის დღიური დებიტი 15 ტონიდან 30 ტონამდე გაიზარდა. გადაწყდა მეორე ასეთი ჭაბურღილის გაბურღვაც, მაგრამ არა ახლის, არამედ ძველის (ვერტიკალურის) გამოყენება, რამაც მნიშვნელოვნად დაზოგა ხარჯებიც და დროც.

გასაბურღად შეირჩა №4 ვერტიკალური ჭაბურღილი, სადაც აღინიშნებოდა ნავთობის მოპოვების დებიტის ინტენსიური კლება (2001 წლის საშუალო დღიურმა დებიტმა შეადგინა 9,4 ტონა, ხოლო 2002 წელს – 6,3 ტონა). ჰორიზონტალური ბურღვის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – მისი სადღეღამისო დებიტი 170 ტონამდე გაიზარდა, რაც პრაქტიკულად საქართველოში დანარჩენი ჭაბურღილების მიერ მოპოვებული ნავთობის ტოლფასია.

ცხადია, ასეთი შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა იმ დასავლური პროგრესული მეთოდების და ტექნოლოგიების დანერგვით, რომლებსაც ქართველ სპეციალისტებთან ერთად ინტენსიურად იყენებენ და ახორციელებენ უცხოელი ინვესტორები. საქმე ამით არ დამთავრებულა. წელს ნინოწმინდის საბადოზე გათვალისწინებულია ანალოგიური ორი ახალი ჭაბურღილის გაბურღვა. ეს მეთოდი მომავალში წარმატებით გამოიყენება ყველა იმ ძველი ნავთობის საბადოზე, რომლებიც დღეისათვის დამუშავების ბოლო სტადიაში არიან. ასეთი საბადოები კი საქართველოში თექვსმეტია.

***– კერძოდ, რომელ საბადოებზეა ორიენტაცია აღებული?***

– პირველ რიგში სამგორი-პატარძეულის საბადოზე, თელეთისა და სამგორის სამხრეთის თაღზე. ახალი მეთოდი ასევე წარმატებით შეიძლება დაინერგოს მირზაანის, პატარა შირაქისა და ტარიბანის პირობებში, იგი შეიძლება გამოიცადოს და დაინერგოს დასავლეთ საქართველოშიც.

***– და ამ წარმატების ფონზე რით შეიძლება აიხსნას „საქნავთობის“ იმ საწარმოთა სიაში მოქცევა, რომელთაც ბიუჯეტს ვალი დროულად არ გადაუხადეს?***

– თქვენ რომც არ გეკითხათ, მინდოდა მეთქვა, რომ მოხდა გაუგებრობა, უფრო სწორად, ტექნიკური შეცდომა. არც „საქნავთობს“ და არც ნავთობგადამმუშავებელ საწარმო „გაორს“ ბიუჯეტის ვალი არა აქვთ და არც არასდროს ჰქონიათ. პირიქით, ყოველთვის წინმსწრები ტემპით ვიხდიდით და ვიხდით ყველა სახის გადასახადს. შეცდომა უკვე გაასწორეს და „შავი სიიდან“ ამოგვიღეს.

**კარგია, რომ ყველაფერი „მშვიდობიანად“ დამთავრდა, ვანუგეშე ბატონი რეზო. ეს ხუმრობით, რეალობა კი ის გახლავთ, რომ ქართული ნავთობის მოპოვების ისტორიაში ახალი ერა იწყება (იგულისხმება ჰორიზონტალური მეთოდით ბურღვა). ამას თუ დავამატებთ შავი ზღვის შელფური ნაწილის სეისმური კვლევების ბრწყინვალე შედეგებს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნავთობის მრეწველობას დიდი და გარანტირებული პერსპექტივა აქვს.**

ოთარ ხუციშვილი.


გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 109-110, კვირა-ორშაბათი, 27-28 აპრილი, 2003 წელი.

## სასულიერო აღმართიდან

**დღეს ჩვენს საზოგადოებას, როგორც არასდროს, ისე სწყურია პირუთვნელი, გაბედული სიტყვა თანამედროვე ცხოვრებაზე, ყოფაზე, რომელსაც ახლავს ნაკლოვანებები, დასჩემდა ზნეობრივი ღირებულებების უარყოფა. ის, რაც დღემდე კარგი შემოგვრჩა ტრადიციებიდან, ისევ ქართულმა კულტურამ, უპირველესად, მწერლობამ შემოგვინახა. ახლაც შემოქმედებითი ამქრის წარმომადგენლებმა უნდა გამოიღონ ხელი და სააშკარაოზე გამოიტანონ ყველა ის მანკიერება, რაც ასე სტკივა და აღელვებს ერს.**

**მწერლის სიტყვას დღეს სულ სხვა ფასი და წონა აქვს. ის ხმალამოღებული უნდა იდგეს სიცოცხლის სადარაჯოზე. მუდამ იღვწოდა მწერალი თავისი ხალხის გადასარჩენად, ერის ენით საუბრობდა. გავიხსენოთ მეფეთა ისტორიები, კარის მგოსნები, რომლებსაც სინათლე შეჰქონდათ ერის ცნობიერებაში.**

**თანამედროვე ახალგაზრდებს, გარდა უმცირესობისა, წინაპართაგან გადმოცემული ქება-დიდება, ზღაპარ-საგალობლები, მოთხრობები, ვეღარ აღაფრთოვანებთ, ვეღარ ამხნევებთ, რადგან, რა დასამალია და, ბევრ მათგანს ისტორიისთვის ზურგი შეუქცევია, — ერის დღეგრძელობას კი ისტორიის არდავიწყება ასულდგმულებდა მუდამ.**

**„სახსოვარნი, ისტორიის დავიწყების გამო, მართალს აღარა ჰგვანან და უაზრო და უსაგნო ზღაპრადღა გარდაიქცევიან როგორც მთქმელის, აგრეთვე გამგონის თვალშიაც. ამის გამო ამ სახსოვრებში ის ცეცხლმოსაკიდებელი ღონე აღარ არის, რომელიც კაცს ააფეთქებს ხოლმე მოქმედებისა და გარჯისათვის. და რაკი ეს არ არის, ყოველი ეს განძი და საუნჯეც კი, წარსულისაგან გადმოლოცვილი, ამაო და ფუჭია ერის გამხნევებისათვის, ერის დღეგრძელობისათვის“, — ამბობდა ილია.**

**ქართველი მწერლების საუბრები საზოგადოებისათვის აქტუალურ თემებზე აუცილებელია ისევ და ისევ ერის გამხნევებისა და დღეგრძელობისათვის, მისი სულიერი სიმტკიცისა და გადარჩენისათვის.**

**ბოლოსდაბოლოს, ისევ ქართულის — ლაზარეს ენის — აღდგომისათვის.**

# ...ეკლესია, უკაროდ რომ იყოს, კარად შევებმები, — მოყვარეს გაველებინები, მტერს დავეკეტინები

მოდით, დღეს მერაბ ელიოზიშვილს მოვუსმინოთ: „ბებერი მეზურნების“, „თეთრი ქარავანის“, „დიდი მწვანე ველის“, „დიდედების და შვილიშვილების“ და სხვა შთამბეჭდავ ნაწარმოებთა ავტორს. შემოქმედს, რომელსაც არანაკლები პოპულარობა მოუტანა კინოში განსახიერებულმა, დაუვიწყარმა სახეებმა. მწყემსი ბალთა — „თეთრი ქარავნიდან“, ტრიფონია — „შერეკილებიდან“...

მწერალი სასულიერო აღმართზეა შემდგარი. აი, რას ამბობს მის შესახებ ბოდბელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი: „მამა ელიოზი — კაცი მართალი, სიყვარულის მქადაგებელი, ქართული სიტყვის მისხალ-მისხალ შემგროვებელი და ერთ ლამაზ თაიგულად შემკვრელი;

მამა ელიოზი — გამთლიანება ჩატეხილი ხიდისა ერსა და ეკლესიას შორის;

მამა ელიოზი — ლამაზ ქართულ სიტყვაზე ამხედრებული უებრო მხედარი.

მოდის მამა ელიოზი და ჯიუტად გაურბის თოხარიკზე გადამჯდარ ზურგიდან მოპარულ სიბერეს“.

თითქოს მეტს ვეღარაფერს დაუმატებ ამ სიტყვებს, მაგრამ არანაკლებ საინტერესო და ძარღვიანია ის საუბარი, რომელსაც მოუღალავად, გულიანად იმეტებს თვითონ მწერალი:

— თოთხმეტი წელია საქართველოს ვეძებ საქართველოში... იქნებ, სამზე მეტი მწერალი არც სჭირდება ქვეყანას — კაცი არ მოგიკითხავს, რა გიხარია, რა გილხინსო. აქედან, ჩემი კორპუსის ეზოდან, ორმოცდაათ მანქანამდე მაინც გადის ყოველდღიურად. მე კი გრძელი, შავი ანაფორით ვდგავარ „მარშრუტკის“ გაჩერებაზე და ისე აგიქროლ-ჩამოგიქროლებენ ეს დალოცვილები, თითქოს ვერც გამჩნევდნენ, ვერც გხედავდნენ. იქნებ არც მცნობენ, მაგრამ, მგონი, იციან, აქაური რომ ვარ, მათი მეზობელი. ყოველდღე ველოდები, იქნებ ერთხელ გამიჩერონ მანქანა, მითხრან — მეზობელო, მოდი, ეკლესიამდე მიგიყვანოო...

სიტყვა იყო უფალთან და უფალი იყო სიტყვა. უფლის სიტყვაზე დგომა კეთილშობილებაა და ღმერთიც შენთან არის, როცა ენდობი.

იმდენი ვირბინეთ წინ და უკან ქართველებმა, რომ უნდა გვეყოს.

ფილისტინელების სახრე, იქით რომ ტყეპავდა ყველას, იქნებ, ერთი ჩვენც გადმოვირტყათ ზურგზე, რომ სხვანაირად გაცოცხლდეს ცხოვრება.

როცა საქართველომ დაიძახა თავისუფლება, — განაგრძობს იგი, — ეს სასწაული გამოღვიძება იყო ერისა. მე ადრეც და ახლაც პატივს ვცემდი და ვცემ ჩემი ხალხის რჩეულთ.

ყველას უნდა ახსოვდეს, რომ მთავარი განძი საქართველოსი არის ქართველი. გეოლოგი ხომ ჭრილში შეისწავლის მიწის ქერქის აგებულებას — სად კირქვაა, თიხაა, კვარცია... მე ერთ-ერთი ის მწერალი ვარ, რომელსაც მისხალ-მისხალ შემისწავლია და შემიმეცნია ჩემი ფესვი და ტოტი, ქართველი ვარ და სხვა ამბიცია არა მაქვს. ახლა უკვე მეცხრე წელია, დიაკონად ვარ ეკლესიაში.

... ეკლესია, უკაროდ რომ იყოს, კარად შევებმები, — მოყვარეს გაველებინები, მტერს დავეკეტინები.

წმინდა ნინოს გზაზე მიმავალმა, უთვალავი ეკლესია ვნახე დაკეტილი. 420 კილომეტრი გზა გავიარე ფეხით, ჩვეულებრივი, ქალაქური ფეხსაცმელებით, 35 მოზარდს წინ მღვდელი, მამა პავლე (ფაჩუაშვილი) მიუძღოდა, უკან მივდევდი მეხრესავით, ღვარად ჩამოდენილი ოფლისაგან დასველებულ ხელსახოცს ვწურავდი გზადაგზა... ეს იყო გზა აღმოჩენების, სულის განმკურნველი.

არც ერთი ახალგაზრდა მღვდელი არ უნდა იკურთხოს თბილისში, სანამ საჯავახოს არ მოივლის.

***— თქვენ, როგორც მწერალმა, ძალზე ტკივილიანად განიცადეთ ის ავადმოსაგონარი წლები, რომლებშიც ჩვენი ქვეყნის ბედი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა. როგორც შემოქმედს, არ შეიძლება რაიმე არ დაგეწერათ იმ ტკივილის, ძმათა დაპირისპირების შესახებ. როგორ ლექსობდა მაშინ „დიდი ლექსი“ და როგორ „წკრიალებდა თქვენი სულის“ ზარი?***

— ჰო, რა თქმა უნდა. მაგაზე დაწერილი სცენარიც მზად მაქვს. გაზეთშიც დავბეჭდე, გადასაღებად სახსრები კი არ არის. რადგან ქართულ კინოს ეკონომიკურად ძალიან უჭირს.

***— ახლა თვალდათვალ, ყოველდღიურად იცვლება მოვლენები მსოფლიოში, საქართველოც ახალი ცხოვრებისაკენ დგამს ფეხს. როგორც***



მერაბ ელიოზიშვილი შვილიშვილებთან ერთად.

***მწერალი, რას იტყვით ჩვენი ქვეყნის შიდა თუ გარე მდგომარეობაზე?***

— წარსულს გავიხსენებ: გიორგი სააკაძე ლომი იყო, მუზარადახდილი იბრძოდა მარაბდაში და როცა ლუარსაბ მეფემ უთხრა: აქ, მაღლა რას ვუცდით, დაბლა ჩავიდეთ და იქ ვეომოთ თურქებსო, დიდმოურავმა უპასუხა: — მთიდან დაგორებული ქვა უფრო ძლიერია, აქ დავუცადოთო...

თავისი ახლანდელი ნაბიჯით ედუარდ შევარდნაძემ თავიც გადაირჩინა და გადაარჩინა, მგონი, ქვეყანაც.

საქართველოში, სადაც წმინდა, ანკარა ფშანის წყლებით სარდაფები ივსება, მეტი ფასი უნდა დაედოს ნიჭიერ ადამიანებს, იმათ, ვისაც უგროვდებათ სათქმელი სატკივარით პირსავსე გზაზე, დაწყებული საკუთარიდან, საერთო-ქართული საწუხარით დამთავრებული.

... ერთხელ, ადრე, ახალგორში წავედით დეპუტატის (გვარი აღარ მახსოვს) არჩევნებზე. თეთრი ქარავანის გზებით ავედით სოფლებში. შემოდგომის ტალახსა და სიცივეში თბილ ბუხართან ვსაუბრობდით სამშობლოზე, ვიხსენებდით დიდ მეცხვარეებს. ფილმები ჩავიტანეთ. სიყვარულის ცრემლი ერეოდათ თვალზე ფილმის ჩვენების დროს მამაჩემის მეგობარძმადნაფიცების, თავჩობნების გიორგი ბაშარულის და თედო ახლოურის, უკანამხარის კოლმეურნეობის თავკაცის სანდრო ჩიტიშვილის შთამომავლებს... სიყვარული უნდა ათბობდეს ადამიანის სულს. სიყვარულით უნდა ვეჭიდებოდეთ ყოველ საქმეს, მომავალ არჩევნებშიც ნიჭიერ ქართველებს უნდა მივცეთ ასპარეზი.

***— ჩვენი ცხოვრების ამ ორომტრიალში, დასანანია, რომ მიდიან თაობები... ახლებიც მოდიან, ახალგაზრდები, რომლებმაც საუღლე ქედი უნდა შეაგებონ წინაპართა ტრადიციებს, უნდა იტვირთონ საკუთარი ჯვარი. ბატონო მერაბ, როგორ ფიქრობთ, გაუძლებენ?***

— უსულიეროდ გაავებული მგელია ადამიანი, გააფთრებული აფთარი, ყველა მხეცზე უფრო მხეცია, თუ სულიერება არა დგას მასში.

ვიდრე პირველ ნაბიჯს არ გადადგამ, სკოლიდანვე, ღვთისაკენ, მანამდე დაბარბაცებ ამ ქვეყანაზე. ვიმეორებ, საქართველოში ყველაზე დიდი განძი არის ქართველი და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა მან ყმაწვილობიდანვე შეისისხლხორცოს ქრისტეს მცნებანი, უფროსისადმი მოწიწება და პატივისცემა. ენები შეისწავლოს, ცოდნა გაიღრმავოს.

***— თქვენ ცხინვალელი კაცი ხართ, გენატრებათ მამული?***

— ჩვენს შორიახლოს იყო ხერხეულიძეანთ მამულები, მარაბდელთა ერთი შტოს ბაღ-ვენახები... ახლა იქ, ცხინვალში, მხოლოდ ჩვენი წინაპრების საფლავებილაა აჩეხილი, უპატრონო ვაზის ცრემლით დატირებული.

მათი სახელების ჩემეულ ნუსხას მთავარანგელოზის ტაძარში ვკითხულობ, მრევლის შემოვედრებულ ბარათებთან ერთად.

არ დავივიწყოთ, რომ ჩვენც არ დაგვივიწყონ.

კარგია, ეკლესიები რომ შენდება საქართველოში, აბა, აქედან გახედეთ, ყელს რომ იღერებს, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის გუმბათია, ქართლის ცხოვრების დაწნეხილ საძვლეზე შემდგარი. ქართველი კაცის შინაგან არსში შეუცნობლად დევს და სუნთქავს გულისა და სულის გახსნის დაუოკებელი წყურვილი, რომელიც დღევანდელი ჩვენი სულიერი შიმშილისას, ეკლესიათა კარგახსნილობისა და მოღვაწე მამათა პატიოსანი, მხურვალე მოწოდების ჟამს, ერის გამთლიანებისა და აღორძინების ერთადერთსა და ჭეშმარიტ გზას ანათებს.

მოსანანიებელი და აღსავლენი კი, იცოცხლეთ, ბევრი გვაქვს...

იესო იგავებით ესაუბრებოდა თავის მოწაფეებს, სედრაქი და რუქაც იგავებით ელაპარაკებოდნენ მეფეს, რადგან პირდაპირ ნათქვამს ბევრად სჯობს იგავი — ალეგორიით, ხატოვანი სახეებით და სიბრძნით შეზავებული. ის ფიქრისა და განსჯისკენ მოუხმობს გონებას...

* * *

საუბარი მწერლის მეუღლემ, ქალბატონმა ნათელამ შეგვაწყვეტინა. ბოდიში მოიხადა და მერაბს წამლის დალევის დრო შეახსენა, მაგიდაზე დახვავებული წამლებიდან წნევისა ამოურჩია და მიაწოდა...

**ჭერს ავხედე. წყალი ჩამოსულიყო და ერთიანად ჩამოეყარა შემოსასვლელის ბათქაში. სხვენში, თურმე, ყოველი წვიმის შემდეგ ნახევარ ტონამდე წყალი გროვდება და ქალბატონი ნათელა ხელით აქცევს დიდი წვალებით. ვის არ მივმართეთ, მაგრამ არავინ მოგვხმარებიაო, მითხრეს.**

**— ასე შევრჩი და ალბათ, ზედაც შევახმებოდი მეცხრე სართულის ჭერს, ქაჯეთის ციხის ბაღლინჯოსავით, სულიერების ახალ გრიგალებს რომ არ შეესხათ ჩემთვის ფრთები და ეკლესიას თავისკენ რომ არ დავეძახე, — თქვა მწერალმა.**

**ეს ინტერვიუ მასთან სახელდახელოდ ჩავიწერე. ვიცოდი, ვნების კვირაში მწერალს სასაუბროდ აღარ ეცლებოდა, რადგან დიაკვნის გონება საკუთრივ ღვთისკენ და ლოცვისკენაა მიმართული.**

**...აცვია დიაკვნის კოჭებს ჩაცილებული ანაფორა. გამოდის აღსავლის კარებწინ მრევლისაკენ ზურგშექცეული და, როგორც კი მგალობლები საგალობელს შეწყვეტენ, მაცხოვრის ხატს, ხმამაღლა მგრგვინავი ბანით აველრებს: „ღვთივდაცული ერი ჩვენი და მეუფება მისი მოიხსენიოს უფალმან ღმერთმან ჩვენმან სასუფეველსა თვისსა ყოვლადვე. აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“.**

**მერე მოწიწებით, ფრთხილზე ფრთხილად შედის აღსავლის კარში, სადიაკვნო ადგილზე დგება და მეუფის შემოსვლას ელოდება...**

**ლია ჭიღლაძე.**

„ფოთის ნავსადგურში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურების სატარიფო განაკვეთების შესახებ“ ფოთის ნავსადგურის უფროსის 1999 წლის 19 მაისის № 84/ს ბრძანებაში ცვლილება-დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ტრანსპორტის მინისტრის 1999 წლის 26 მარტის № 20 ბრძანების საფუძველზე გამოცემული „ფოთის ნავსადგურში დატვირთვა-გადმოტვირთვის სა-

## ფოთის საზღვაო ნავსადგური
## ბრძანება

მუშაოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურების სატარიფო განაკვეთების შესახებ“ ფოთის ნავსადგურის უფროსის 1999 წლის 19 მაისის № 84/ს ბრძანებაში ცვლილება-დამატებების შეტანასთან დაკავშირებით:

ვბრძანებ:

1. ფოთის ნავსადგურში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურების სატარიფო განაკვეთების მე-4 მუხლს დაემატოს „გ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

ალუმინის სხმულები ცალობით ან პალეტიზირებული (შეკვრებში)

(ტვირთის კოდი — 7601)

ნავმისადგომი-გემი ან გემი-ნავმისადგომი — 3,0 აშშ დოლარი ერთი ტონა.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს მისი ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებისთანავე.

**ნავსადგურის უფროსი**

**ჯ. ინაიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## თანამემამულე

# ყველგან საქართველოს კეთილდღეობისთვის იღვწის...

**...ერთხელ გიორგი გიგინეიშვილს ჰკითხეს, თუ იცით, რა არის ბედნიერებაო? მან, თურმე, გაიღიმა და ასე უპასუხა: „მე გავიმეორებდი ერთი დიდი რეჟისორის აზრს – ბედნიერებაა, როცა 9 წლის ხარ, მამა ლექსებს კითხულობს და დედა ბაღის სიღრმეში აყვავებულ თეთრ ვარდსა ჰგავს. მერე მიდიხარ ბაღის სიღრმეში და პოულობ სწორედ ისეთ ვარდს, როგორიც მამის ლექსებშია აღწერილი. როცა ადარებ ცოცხალ ყვავილს იმას, რაც წიგნში ამოიკითხე, აი, ეს არის ბედნიერებაო“.**

როგორც ამბობენ, ბატონი გიორგის დედა, ქალბატონი ფატმან თავამაიშვილი, მართლაც ჰგავდა თეთრ ვარდს, ხოლო მამა პოეზიის უდიდესი თაყვანისმცემელი გახლდათ. ამ პოეტური წყვილის ცხოვრების წესი ყოფილა მოყვასის დახმარება და თანაგრძნობა, უშურველად სიკეთის კეთება და არც არის გასაკვირი, რომ მათ შვილს თავი გამოეჩინა, როგორც ქველმოქმედს...

გიორგი გიგინეიშვილი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, მილანის უნივერსიტეტის პროფესორი, იტალიის გულმოწყალების საზოგადოების „მიზერეკორდიას“ დესპანი რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, იტალია-საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების ხელმძღვანელი და ევროპული კონფედერაციის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელია რუსეთსა და დსთ-ს სხვა ქვეყნებში...

ამ იშვიათი ბიოგრაფიის მქონე ადამიანის მოღვაწეობა იმდენად მრავალმხრივია, რომ შეუძლებელია ერთ წერილში მის ყველა დამსახურებაზე საუბარი. თუმცა, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იყოს იგი, ყველგან საქართველოს კეთილდღეობისთვის იღვწის...

გიორგი გიგინეიშვილი ერთ-ერთი ინიციატორი იყო გულმოწყალების 1 მსოფლიო კონგრესისა – „იყავით სიყვარულის ცივილიზაციის გამტარებლები და შემოქმედნი“, რომელიც 1992 წელს ფლორენციაში გაიმართა და მისივე დამსახურებით, პირველად საერთაშორისო ფორუმების ისტორიაში, ერთ-ერთ სამუშაო ენად ქართული ენაც გამოცხადდა...

ბატონ გიორგი გიგინეიშვილის ძალისხმევით სათავე დაედო იაპონიაში კურორტოლოგიისა და რეაბილიტაციის სიმპოზიუმის ჩატარებას, რომელიც პერიოდულად ხან საქართველოში, ხანაც იაპონიაში იმართება. იგი ცდილობს მჭიდრო კონტაქტების დამყარებას ფრანგ და ამერიკელ კოლეგებთანაც.

1992 წლიდან საერთაშორისო სპორტულ კლუბ „პანათლონის“ კოორდინატორია რუსეთსა და დსთ-ს ქვეყნებში, 1994 წლიდან რუსეთ-საქართველოს კულტურული, სამეცნიერო და საქმიანი თანამეგობრობის



აში ჩაეყარა. დღეს ეს მოძრაობა ევროპაში ასეულობით ათას წევრს აერთიანებს: „გულმოწყალების მოძრაობის მიზანი მარტო გაჭირვებულის დახმარება როდია, – ამბობს ბატონი გიორგი, – მისი მასშტაბები უფრო ფართოა. ამ მოძრაობის



ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტია.

თუმცა, უმთავრესი მოღვაწეობა მაინც იტალიას უკავშირდება. მან წლები შეალია საქართველო-იტალიას შორის კონტაქტების გაფართოებას.

რაც შეეხება თვით მოძრაობა „მიზერეკორდიას“ (მიზერეკორდია იტალიურად გულმოწყალებას ნიშნავს), რომლის დესპანიც გახლავთ, საფუძველი ფლორენცი-

ერთ-ერთი მიზანი მსოფლიოში მშვიდობის დამყარება და ომების თავიდან აცილებაა. მთავარია არა დაჭრილის განკურნება, არამედ იმ წინამძღვრების მოსპობა, რაც ომებს იწვევს“. თუმცა, უმთავრესი მიზანი ამ საძმოსი საუკუნეთა მანძილზე უცვლელია და ეს დევიზი ამგვარად ჟღერს: „პატივის მიგება უფლისათვის მოყვასისადმი გულმოწყალებით“...

გიორგი გიგინეიშვილს ამ დღეებში 60 წელი უსრულდება. ბოლო ათი წლის მანძილზე მისი ნამუშევრების გამოფენები გაიმართა ბრიუსელში, ვენეციაში, ფლორენციასა და ევროპის მრავალ ქალაქში. ყველაფერი კი, აი როგორ დაიწყო: შემოქმედებითი შთაგონება მას რომის პაპთან შეხვედრის შემდეგ ეწვია და ამ დროიდან მოყოლებული, ხატვა ყოველდღიურ მოთხოვნილებად ექცა. ბატონი გიორგის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევენ როგორც იტალიელი, ასევე რუსი და ქართველი პროფესიონალი მხატვრები. მისი ტალანტის დიდ აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1994 წელს ქართველი ექიმი იუნესკოსთან არსებული მხატვართა საერთაშორისო ფედერაციის წევრი ხდება.

მართალია, ისე მოხდა, რომ რომის პაპთან შეხვედრის შემდეგ გაეხსნა ახალი ხედვა, მაგრამ ეს შემთხვევითი ნამდვილად არ ყოფილა, რადგანაც იგი უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით არის ხელდასხმული. ეამაყება ისიც, რომ უწმიდესმა და უნეტარესმა დედამისს უსახსოვრა ბიბლია ავტოგრაფით: „როგორც ჭეშმარიტ მართლმადიდებელს“... აღსანიშნავია ისიც, რომ დედის მხრიდან ორივე დიდი პაპა სასულიერო პირები ჰყოლია... ალბათ, სიმბოლურია ის ფაქტი, რომ მის დაბადების დღესთან, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოფენა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს დაემთხვა.

**დალი ოსეფაშვილი.**

## მოვიდიან, გაჰკვირდიან...

# ტურისტებს ზეზვა და მზია უმასპინძლებენ

**მილიონ რვაასი ათასი წლის ზეზვა – რაინდული შემართების, ქველი და მოჭირნახულე ქართველი და მისი მეწყვილე ქალი, ფრიად მშვენიერი ქალბატონი მზია უმასპინძლებენ ამიერიდან მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან დმანისისკენ დაძრულ ტურისტებს.**

1999 წელს ქართველ არქეოლოგთა დმანისის უნიკალურმა აღმოჩენებმა მსოფლიო გააოცა. დადასტურდა, რომ დმანისელი ჰომინიდი ამ ტერიტორიაზე ძალზე შორეულ ეპოქაში მოსახლეობდა. ქართველ მეცნიერთა აღმოჩენამ თავდაყირა დააყენა ადამიანის განსახლების მანამდე არსებული თეორია და ერთხელ და სამუდამოდ დაადგინა, რომ ადამიანი ჯერ ცენტრალური აფრიკიდან მოდის და შემდგომ აქედან აზიასა და ევროპაში ვრცელდება. ამასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა: „ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენა მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად იქცა და მთლიანად შეცვალა მეცნიერული წარმოდგენები ევრაზიაში ანთროპოგენეზის პროცესებზე“.

საუკუნის ამ უდიდესმა აღმოჩენამ ბიძგი მისცა დიდ ეროვნულ საქმეს – დმანისსა და მთლიანად ქვემო ქართლში ფართოდ განვითარდეს შემეცნებითი ტურიზმი. რეგიონის ხელმძღვანელობამ კიდევაც განახორციელა სხვადასხვა ქმედითი ღონისძიება, მხარის ადმინისტრაციასთან შეიქმნა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სააგენტო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ენერგიული ახალგაზრდა, პროფესიონალი, მეცნიერებათა კანდიდატი დავით მალაზონია.

– გარდა იმისა, რომ დმანისი პირველყოფილი ადამიანის სამკვიდროა და აქ აღმოჩნდა მათი ნაშთები, უძველესი ნაქალაქარი თავისთავად უნიკალური ძეგლიცაა – მის ტერიტორიაზე გამოვლინდა ჩვენი ქვეყნის წინარე ისტორიის ყველა პერიოდის არქეოლოგიური მასალები, – ამბობს დავით მალაზონია, – ამავდროულად აქ არის მრავალმხრივ მიმზიდველი გარემო. დმანისი გამოირჩევა ბუნებრივი სიმდიდრით და სილამაზით, სამხრეთ საქართველოს ვულკანური წარმოშობის მთები და ლანდშაფტები შესანიშნავადაა შერწყმული ვრცელ ველებთან და ტყეებთან, სუბალპურ ზონასთან. ამასთან ერთად, თბილისი-მარნეული-ბოლნისი-დმანისის მარშრუტის გასწვრივ თავმოყრილი არქიტექტურულად და ისტორიულად მნიშვნელოვანი ძეგლები – ეკლესიები და ციხე-კოშკები ტურიზმისათვის მიმზიდველ გარემოს ქმნიან. ამასთან ერთად, მარშრუტის დედაქალაქთან და რუსთავთან სიახლოვე განაპირობებს მის გამორჩევით პოპულარობას ადგილობრივი ტურისტებისათვის.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ჩვენ შევიმუშავეთ პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ქვემო ქართლის მხარეში თბილისი-მარნეული-ბოლნისი-დმანისის ტურისტული მარშრუტის ინფრასტრუქტურის განვითარებას.

– ჩვენმა ცდამ სასურველი შედეგი გამოიღო, – დასძენს ბატონი დავითი, – მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბატონმა ფრანჩესკო ფრანჯიალიმ საქართველოს პრეზიდენტისადმი 2003 წლის 23 იანვარს გამოგზავნილ წერილში აღნიშნა, რომ თბილისი-მარნეული-ბოლნისი-დმანისის ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნის გეგმა „არის კარგი ინიციატივა ადგილობრივ დონეზე მნიშვნელოვანი ტურისტული პოტენციალის მქონე ქვეყნის – საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი რეგიონის კულტურული, არქეოლოგიური და ბუნებრივი ტურიზმის განვითარებისათვის“.

**გივი ჯახუა.**



დმანისის ნაქალაქარი.



ზეზვა და მზია.

## ქართველები იტალიაში

# მოვინახულოთ პოეზიის და სიმღერის ქვეყანა...





ნუნუ გელაძე იტალიურად კითხულობს ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსს.

**თბილისელი ნუნუ გელაძე ორი წელიწადია, რაც იტალიაში ცხოვრობს. იტალიური ენისა და ლიტერატურის მცოდნემ, მთარგმნელმა, ბედიც იქაურ კაცს – ეჯიდიო ფუსკოს დაუკავშირა.**

ამ დროის განმავლობაში ქართველი ქალი დროს უქმად არ კარგავს და პოპულარობას უწევს ქართულ კულტურას.

ახლახან, იტალიაში, ჩრდილოეთის ულამაზესი ტბის ორტას გარშემო მდებარე ქალაქ ორტა სან ჯულიოში იუნესკოს მიერ დამკვიდრებულ მსოფლიო პოეზიის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქალაქის მერიისა და ინგლისის საკონსულოს ხელშეწყობით, პოეტთა საერთაშორისო კომიტეტისა და მისი თავმჯდომარის გაბრიელ გრიფინის გადაწყვეტილებით, მშვიდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ოთხი საათის განმავლობაში უსმენდნენ იტალიელები „თავისუფლების“ თემაზე შერჩეულ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული პოეტების ლექსებს ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე.

იტალიაში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ, მთარგმნელმა ნუნუ გელაძემ წარმოადგინა პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსი „თავისუფლება“, მოკლედ ისაუბრა ავტორის შესახებ და ლექსი ჯერ ქართულად წაიკითხა, შემდეგ კი – იტალიურად.

დასასრულ ქალაქის მერმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ქართული კულტურის „შემოჭრას“ ჩრდილოეთ იტალიაში, შესანიშნავი ქართული ლექსებითა და თბილისის იტალიური სკოლა „ცისკრის“ მოსწავლეთა ქართული ფოლკლორული ანსამბლის კონცერტებით. საქართველო მართლაც პოეზიისა და სიმღერის ქვეყანაა, ჩვენ უნდა ჩავიდეთ იქ და გავიცნოთ ეს ნიჭიერი ხალხი, – თქვა მან...

სიამოვნებით გელოდებით, იტალიელო მეგობრებო!

**იზა ჯაჭვაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

შემოქმედი


რეზო ჩხეიძე.

# „იმულებითი“ შესვენება დამთავრდა

**პაუზა ხნის „იძულებითი“ შესვენების შემდეგ ისევ დადგა კინოკამერასთან თვალსაჩინო ქართველი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე და, ფაქტობრივად, დაიწყო გადაღება სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისა – „იყავნ ნება შენი“...**

– ჩვენმა სცენარმა გაიმარჯვა საერთაშორისო კონკურსში, რომელიც მოსკოვში გაიმართა, – მიამბობს ბატონი რეზო, – შემდეგ რუსებმა შემომთავაზეს ერთობლივად გადაგვეღო ფილმი და 300 ათასი დოლარიც გამოგვიყვეს.

***– ეს ფული იკმარებს?!***

– ცხადია, არ გვეყოფა. გვაფინანსებს ბატონი ბადრი პატარკაციშვილიც (ოღონდ, თანხას ვერ გაგიმხელთ), გვეხმარება მთავრობა...

***– კარგია, რომ ქართველ მსახიობებს, ოპერატორებს, მხატვრებს მიეცათ სამუშაო...***

– რა თქმა უნდა... მთავარ როლებს ჩემი სტუდენტები – თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის დიპლომანტები შეასრულებენ. ეს მათ სადიპლომო ნამუშევრადაც ჩაეთვლებათ.

ეკრანზე ცნობილ ქართველ მსახიობებსაც ნახავს მაყურებელი.

***– რუსები მარტო ფულის „წილში“ არიან?***

– ერთი გაქართველებული რუსი ქალის როლიც გვაქვს. იგი, ფილმის მიხედვით, ქართულ ეკლესიაში რესტავრატორად მუშაობს.

***– რაზე მოგვითხრობს თქვენი ფილმი?***

– ფილმის დედააზრია სიყვარული, რწმენა, პატრიოტიზმი... ახალგაზრდა ქართველი კაცი, მრავალი ფათერაკისა და წვალების ფასად, ქრისტეს საფლავზე დანთებულ სანთელს როგორც რწმენისა და ამაღლების სიმბოლოს, საქართველოში ჩამოიტანს...

***– უკვე დაიწყეთ ფილმის გადაღება?***

– თითქმის... გარდა საქართველოსა, გადაღებები გვექნება უცხოეთშიც – ვეწვევით იერუსალიმს, კაბადოკიას...

– ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

**ახლა კი, ბატონ რეზო ჩხეიძის ნებართვით, გთავაზობთ ნაწყვეტებს მომავალი ფილმის ლიტერატურული სცენარიდან „იყავნ ნება შენი“...**

**სულიკო ჟღენტი, ანზორ ჯუღელი, რეზო ჩხეიძე**

## «იყავნ ნება შენი...»

ლუკა ფესტივალის რამდენიმე მონაწილესთან ერთად გოლგოთის გზას, „ვია დოლოროსას“ მიუყვება.

ჯგუფს ჩვენი ნაცნობი ხუტანიანი კაცი მიუძღვის. იგი წყნარად, შეკავებული მღელვარებით განმარტავს გოლგოთის გზის ყოველი ადგილის მნიშვნელობას. ფაქტობრივად, იგი იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელ ეპიზოდს უამბობს ექსკურსიის მონაწილეებს.

აი, ჰეროდე დიდის სასახლის ნაშთი. აქ თითქმის ორი ათასი წლის წინ პილატეს სამჯავროს წინაშე დგას მაცხოვარი. მთხრობელის გულში ჩამწვდომი სიტყვები, სახარების ციტატები საოცარ გავლენას ახდენენ ლუკაზე. გიდის ნათქვამი თითქოს ცოცხლდება და ლუკას თვალწინ წამიერად გაიელვებს ხოლმე ტრაგიკული მისტერიის ცალკეული კადრები...

...აზვირთებული ხალხის წინაშე დგას პილატე პონტოელი, ცხოვრების სიამეთა მიმდევარი, სიმსუქნეში წასული კაცი.

— ვინ გაგითავისუფლოთ: იესო, ქრისტედ წოდებული თუ ბარაბა ავაზაკი? მიჰმართავს ის ხალხს.

— ბარაბა! ბარაბა! — ღრიალებს ხალხი.

— იესოს რაღა ვუყო, ქრისტედ წოდებულს?

— ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი!

...ლუკა და მისი ჯგუფი იერუსალიმის ვიწრო ქუჩას მიუყვება. ირგვლივ სალხმრავლობაა. მოვაჭრეები, ხელოსნები ენერგიულად ცდილობენ ყურადღების მიპყრობას, თავიანთი საქონლის გასაღებას.

ლუკა ათვალიერებს ირგვლივ მოჯარულ შენობებს, რომელთა შორის, აქა-იქა, ორი ათასი წლის წინანდელი ფრაგმენტებია შემორჩენილი. ზოგჯერ ქუჩის ფილაქანშიც გამოერევა იმდროინდელი ქვაფენილის ნარჩენები. ლუკას ეჩვენება, რომ მათ კიდევ ატყვია ტანჯვით მიმავალი მაცხოვრის ნატერფალები...

...აი, იესოს ღვთისმშობელი ხვდება და ცხარე ცრემლით ეხვევა...

...აი, იესოსთან ატირებული წმინდა ვერონიკა მიდის. ქსოვილის ნაჭრით პირზე ოფლს მოსწმენდს უფალს. ნაჭერს გაშლის და მასზე მაცხოვრის ხელთუქმნელი გამოსახულება აღმოჩნდება აღბეჭდილი...

...მძიმე ჯვრის ქვეშ გადრეკილი მაცხოვარი წაიფორთხილებს და დაეცემა. რომაელი ჯარისკაცები მისცვივდებიან. დასცინიან, ლერწმის ჯოხებით სცემენ...

....გოლგოთა. ჯვარზე გაკრული იესოს თვალით ვხედავთ მოჯარულ ხალხს... ჯვრის ძირში ღვთისმშობელი, მარია მაგდალელი და იოანე მახარობელი დგანან. ისმის იესოს ხმა:

— მამაო, მიუტევა ამათ, რამეთუ არ იციან, რასა იქმან!

...ლუკა და მისი ჯგუფი „ანგელოზის სამლოცველოსთან“ დგანან. გიდი უჩვენებს კედელში კლდის პატარა ქიმს. აღდგომის ერთ შაბათ დღეს იესოს აკლდამასთან მისულ მენელსაცხებლე დედებს სწორედ ამ კლდეზე ჩამომჯდარი დახვდათ ანგელოზი. ლუკას თითქოს ყურში ჩაესმის ანგელოზის ხმა:

— რას ემებთ ცოცხალს მკვდრებს შორის? არ არის აქ, არამედ აღდგა!

...უფლის აკლდამის ვიწრო შესასვლელთან ფესტივალის მონაწილეები დგანან. ექსკურსიის წინამძღოლი ჟესტით უჩვენებს ლუკას, რომ მას შეუძლია, სხვებზე ადრე შევიდეს მღვიმეში. სხვებიც გზას უთმობენ. გახარებული, გაამაყებული ლუკა უფლის აკლდამაში შედის.

სანთლებით განათებული ეს მცირე ოთახი არის ქრისტეს უკანასკნელი წერტილი გოლგოთის გზაზე. აქ დასრულდა ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ისტორია მკვდრეთით აღდგომამდე.

ლუკა მუხლებზე დაეცემა მაცხოვრის საფლავის ქვის წინ. ლოცულობს, პირჯვარს იწერს...

საფლავზე ვერცხლის სასანთლეები ანთია. ლუკა მოწიწებით კოცნის ქრისტეს საფლავის ქვას. შემდეგ გულის ჯიბიდან კელაპტარს იღებს და ქრისტეს საფლავზე ანთებული სანთლიდან თავის კელაპტარს აანთებს.

* * *

შუაღამეა... — ფანჯარაში გაიხედავს გულნარა. — ეცადეთ, დაიძინოთ.

— არ მეძინება.

— მაშ, მოდი ზღაპრები მოვყვეთ... ესე ამბავი გურჯი ლუკასი და მისი სანთლისა... იყო და არა იყო რა, იყო მსახიობი ლუკა გურჯისტანელი... სხვათა შორის, მე მეტი არაფერი ვიცი. თუ საიდუმლო არ არის, თქვენ განაგრძეთ...

— საიდუმლო არ არის, მაგრამ... ლუკა თითქოს ყოყმანობს, თუ სათქმელს ვერ უგრის თავს. — მოდი შუქი ჩავაქროთ, ზღაპრის მოსმენა ბნელში სჯობია...

— კარგით... — გულნარა შუქს გამორთავს. პალატის მხოლოდ ერთ კუთხეს ანთებს სანთლის მკრთალი შუქი. სიჩუმე ჩამოვარდება. ჩანს ლუკასა და გულნარას სილუეტები.

— სანთელი იერუსალიმიდან მომაქვს. — წყნარი ხმით იწყებს ლუკა. — უფრო სწორედ. ცეცხლი, რომელიც ქრისტეს საფლავზე ავანთე, არ ჩამიქრია...

— ეგ მაშინვე მითხარით, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, თქვენს ავადმყოფობას მივაწერე, მაღალ ტემპერატურას... არ ჩაგქრობიათ?

— არც ერთხელ.

— როგორ შემელით... ეს სასწაულია!

— ამ სანთლის ალმა გარდამქმნა. მე ვხვდები, რომ სულ სხვა კაცად მაქცია.

— მერე, სად უნდა ჩაიტანოთ სანთელი?

— ჩემს სამშობლოში...

— გურჯისტანში? საოცარია!... რისთვის?

— ჩემს სამშობლოს ახლა მალიან უჭირს. ქრისტეს საფლავზე ანთებული სანთელი მადლს მოუტანს ქვეყანას, ხალხს რწმენას შთაჰბერავს...

— თქვენ ეს ნამდვილად გჯერათ?

— მჯერა. თანაც დარწმუნებული ვარ. ანაც გაისარებს, ყველაფერს შემინდობს...

გულნარა გატაცებული, შთაგონებული სახით უცქერის.

— ...ისიც კი მგონია, ამდენი ხანი იმიტომ არ იწყება მესამე მსოფლიოომის საშინელება, რომ ათონის მთაზე ბერები დღე და ღამ ლოცულობენ, მე კი ამ სანთელს ვდარაჯობ და ჩაქრობისაგან ვიცავ...

— საოცარია, რა საოცრად მსჯელობთ...

— ახლა ხომ მიხვდი, რატომ გთხოვეთ შუქის ჩაქრობა... უფრო თამამად ვთქვი ყველაფერი...

გულნარა ლუკას ნათქვამს ჩაუფიქრდება.

— თუ ასეა. — ამბობს იმ პაუზის შემდეგ. — ისიც მითხარით, ანამ რა უნდა შეგინდოთ თქვენ?

ლუკა პასუხს დაუგვიანებს. გულნარა უხმაუროდ წამოდგება და ლუკას დახედას. ლუკას მოულოდნელად მორევია ძილი... ჯანსაღი, უშფოთველი ძილით სძინავს. გულნარა დიდხანს უყურებს. მერე თავის საჩვენებელ და შუა თითს ტუჩთან მიიტანს, აკოცებს და ლუკას ფრთხილად შუბლზე დაადებს.

* * *

ღვთისმშობლის მონასტრის ზარები საზეიმო რეკვას იწყებენ... მონასტრის ვრცელ ეზოს, გალავნის შემოგარენს ზარების მძლავრი გუგუნი ედება... შორს წვდება ეს ხმები...

ზამთრის პირის სევდით მოსილი ბუნება თითქოს ცოცხლდება, სალისდება...

...მოწმენდილ, გამჭვირვალე ცაში მორიალე ფრინველებს თითქოს თავიანთი ღონიერი ფრთებითაც მიაქვს შორს ზარების ხმების ყველაზე ახლო მდებარე, მაღალაანთკარის, ეკლესიამდე აღწევს... ეკლესიის მომღვარი მიაყურადებს. დარწმუნდება საიდანაც მოდის, პირჯვარს იწერს... ამ კლესიის ზარებიც იწყებენ საპასუხო რეკას...

მტკვრისა და არაგვის შესართავში, მაღალი მთის წვერზე მდგარი მცხეთის ჯვარი ააჟღერებს ზარებს...

...დაბლიდან სვეტიცხოვლის საპატრიარქო კათედრალის დედათა ზარი აგუგუნდება და მას ოქროს სირმასავით სამთავროს მონასტრის ზარების წკრიალი მოედება...

...თბილისის ყველაზე ძველ ტაძრის — ანჩისხატის არქაული ბაზილიკის ზარების მორიდებული ხმები სიონის კათედრალამდე აღწევას... სიონის ზარების გუგუნს ქაშუეთისა და მეტეხის ეკლესიები აჰყვებიან... ძველი თბილისის უამრავი დიდი და პატარა ეკლესია ერთმანეთს ეხმიანება... მათ ქალაქის ახალ უბნებში სულ ბოლო დროს აგებული საყდრებიც უერთდებიან...

კახეთის დიდი სალოცავები იღვიძებენ:

...გარეჯის გრანდიოზული სამონასტრო კომპლექსი...

...ალავერდის დიდებული, თეთრი ტაძარი...

...იყალთო...

...ძველი და ახალი შუამთა...

...კავკასიონის სამხრეთ ფერდობიდან განცალკევებით მდგარი ნეკრესის მონასტრის ზარები აღწევს...

...მას ქურუმის წმინდა გიორგი უბამს მხარს...

...ზარების ხმა მთელ საქართველოს ედება...

...დასავლეთი კიდედან ბიჭვინთისა და ლისნის, ბედიისა და ილორის ეკლესიები რეკენ საზეიმო ზარებს...

...რეკავს ზარი მარტვილის უძველესი სამრეკლოდან...

...მათ გელათის მონასტრის მძლავრი გუგუნი ერთვის...

...მღერის ბაგრატის ტაძრის სამრეკლო...

...რაჭიდან ნიკორწმინდის და მრავალძალის ეკლესიები აწვდიან ხმას...

...სვანეთიდან იაფარისა და ცხუმერის, სხვა საყდრის ზარები ჟღერენ...

...გურიიდან შემოქმედის ეკლესიის რეკვა ისმის...

...აჭარიდან ბათუმისა და ტბეთის უძველესი ტაძრის ჟღერა...

ეს ხმები თითქოს სამხრეთიდან შემოუფრენს საქართველოს და კვლავ სამცხისა და ჯავახეთის დიდებული ტაძრები ახმიანდებიან:

...რეკავს ზარები ზარზმის უძველესი სამრეკლოდან...

...ზარების ხმებით ივსება კუმურდოს სასწაულად ფეხზე მდგარი კედლები...

...საფარის მონასტრის ზარები..

...ვარძიის კედელში ნაკვეთი ქალაქის სამლოცველოები...

...ბოლნისის სიონის მეხუთე საუკუნის ტაძრის სამრეკლო...

...ფიტარეთის ქათქათა ტაძარი...

...გუდარეხის უღრან ტყეში მიკარგული სამონასტრო კომპლექსი...

...წუღრუღაშენის ყელმაღალი ეკლესია...

...და ისევ, ქართლის და საქართველოს მთიანეთის დიდი სალოცავები...

...სამთავისი...

...ერთაწმინდა...

...წილკანი...

...ბოდრინის არქაული კომპლექსი გადლეგილის სვეტით...

...ანანურის ციხე-სიმაგრის ეკლესია...

...მთიელთა მოკრძალებული ზომისა და მორთულობის, სასწაულმოქმედი ხატები:

...გუდანი...

...ლაშარი...

...ლომისი...

...სახმატი...

...შენაქო...

ზარების საზეიმო რეკვა ზამთრის მოლოდინში გარინდებულ საქართველოს მკერდზე გადაუვლის და თითქოს აცოცხლებს მას, იესო ქრისტეს წარუვალი მადლის იმედს ავრცელებს და ადამიანთა თვალებში სიხარულის ნაპერწკალს ანთებს...

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# დნმ: რევოლუციის 50 წლისთავი

**ზუსტად 50 წლის წინათ, 1953 წლის 26 აპრილს, აღმოაჩინეს დეზოქსირიბონუკლეინმჟავის (დნმ) სტრუქტურა, რაც იქცა ძირითად მომენტად როგორც დნმ-ის კვლევით ისტორიაში, ისე მთლიანად მეცნიერებაში.**

დნმ მნიშვნელოვანწილად ჩვენი ეპოქის სიმბოლოა. ათწლეულების განმავლობაში ეს მოლეკულა აჯადოებდა მეცნიერებს, რომლებიც ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ მისი კონსტრუქციის ცალკეული ნაწილების მნიშვნელობას, ახალი ნაწარმოებების შექმნას შთააგონებდა ხელოვანთ და სულ ახალ-ახალ თავსატეხებს უჩენდა საზოგადოებრიობას.

50 წლის წინათ ჯეიმს უოტსონმა და ფრენსის კრიკმა ჟურნალ „ნეიჩურში" დაბეჭდილ სტატიაში აღნიშნეს, რომ მოლეკულა ორმაგ სპირალს წარმოადგენს, რითაც მოახდინეს რევოლუცია მეცნიერებაში.

იმის დასამტკიცებლად, რომ დნმ ნამდვილად ემსახურება მემკვიდრეობითი ინფორმაციის გადაცემას, საჭირო იყო ეჩვენებინათ, თუ როგორ შეუძლია მას კოპირება, გადაეცეს ერთი თაობიდან მეორეს.

უოტსონისა და კრიკის მიერ შექმნილი მოდელი ამ კითხვას სცემდა პასუხს: ყოველი სპირალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც შაბლონი მეორის შესაქმნელად.

რამდენიმე წლის შემდეგ ეს იდეა დადასტურდა არტურ კრონბერგისა და მისი კოლეგების გამოკვლევების წყალობით. მათ შეძლეს დნმ-ს მაკოპირებელი ენზიმის იზოლირება, რომელიც ცნობილია როგორც პოლიმერაზის დნმ. ეს ენზიმი მოგვიანებით მრავალ ბიოტექნოლოგიებში გამოიყენეს.

უოტსონისა და კრიკის თანამედროვეთათვის მეორე ამოცანა იყო ის, თუ როგორ შეიძლებოდა ოთხნიშნაკოდიანი დნმ-დან ცილის 20 სახეობის სტრუქტურული ბლოკების მიღება, რომლებსაც ამინომჟავები ეწოდება.

გენეტიკური კოდი გაიშიფრა 60-იან წლებში, როცა მარშალ ნირენბერგმა, ჰარ ჰორანმა და სევერო ოჩოამ აღმოაჩინეს, რომ თითოეული ამინომჟავის შიფრი სამი ნიშნისაგან შედგება. ოთხი ნიშნის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება საკმარისზე მეტი რაოდენობის სამნიშნა სიტყვის შექმნა, რომლებიც საჭიროა 20 ამინომჟავის აღსანიშნად.

ნამდვილი პროგრესი ბიოტექნოლოგიაში 70-იან წლებზე მოდის, როცა ფარდა ახადეს ამჟამად ცნობილ დნმ-ს მანიპულაციის მრავალ რთულ ხერხს.

პაულ ბერგმა და ჰერბერტ ბოიერმა შეძლეს ნაწილ-ნაწილ „დაეჭრათ" დნმ, შემდეგ კი ეს ნაწილები შეერთებინათ.

ბოიერმა სტენლი კოენთან ერთად შეძლო დაედგინა, თუ როგორ ხდება დნმ-ს კლონირება იმ ბაქტერიათა მეშვეობით, რომელთაც შეუძლიათ ბიოლოგიური სფეროს როლის შესრულება.

1983 წელს კერი მალისმა შეძლო სინჯარაში ჩაეშვა დნმ-ს ფრაგმენტების მილიონობით ასლი იმ პროცესის მეშვეობით, რომელსაც ახლა პოლიმერული ჯაჭვური რეაქციის სახელით ვიცნობთ. ყველა ამ ტექნოლოგიას ამჟამად იყენებს თანამედროვე გენური ინჟინერია. თუ დნმ-ს აღმოჩენას ჯერჯერობით არ გამოუწვევია რევოლუციური გარდაქმნები მედიცინაში და აქ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ადამიანის ინსულინის შექმნა 1977 წელს, მან სამაგიეროდ ყველაფერი თავდაყირა დააყენა კრიმინალისტიკაში. ახლა, დნმ გახდა უმთავრესი „მოწმე" მრავალი სასამართლო პროცესის დროს.



# „სოიუზი" გეზს საერთაშორისო კოსმოსური სადგურისაკენ იღებს





**შაბათ დილით რუსეთის კოსმოსურმა ხომალდმა „სოიუზმა" „ბაიკონურის" კოსმოდრომიდან წარმატებით აიღო სტარტი საერთაშორისო კოსმოსური სადგურისაკენ. ხომალდში ორი კოსმონავტია — რუსი და ამერიკელი.**

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ არსებობდა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში გამგზავრების ორი ხერხი — ან რუსული კოსმოსური ხომალდის „სოიუზის", ანაც ამერიკული მრავალჯერადი გამოყენების საფრენოსნო აპარატის მეშვეობით. მაგრამ მას შემდეგ, რაც „კოლუმბია" ნაწილ-ნაწილ დაიშალა ტეხასის შტატის თავზე, შატლების მთელი პარტია დროებით დაიხურა" და ახლა კოსმონავტთა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში მიყვანის ერთადერთ საშუალებად „სოიუზი" დარჩა. ხომალდის გაფრენა გახდა პირველი პილოტირებული მისია ამ კატასტროფის შემდეგ.

ორბიტაზე გაფრინდნენ რუსი კოსმონავტები იური მალენჩენკო და ამერიკელი ასტრონავტი ედვარდ ლუ. ისინი შეცვლიან სამი კაცისაგან შემდგარ ეკიპაჟს, რომელიც ნოემბრიდან მუშაობს საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში.

„სოიუზი" უფრო მომცრო ზომისაა, ვიდრე ამერიკული მრავალჯერადი გამოყენების ხომალდი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სადგურში გასაგზავნი მოწყობილობისა და სურსათის საკმაო ნაწილი დედამიწაზე დარჩება.

ეჭვქვეშ დადგა, აგრეთვე, კოსმოსში ფასიანი მგზავრების, ანუ როგორც მათ უწოდებენ, კოსმოსური ტურისტების გაგზავნის თაობაზე რუსეთში შემუშავებული გეგმების განხორციელებას. ამჟამად ხომალდში მათი ადგილი, უბრალოდ, აღარ არის, და, რა თქმა უნდა, რუსეთი ამის გამო იზარალებს. იმის მიუხედავად, რომ რუსეთი დათანხმდა კოსმოსში გაეყვანა ნასა-ს ასტრონავტები, ამერიკის მხარემ უარი განაცხადა გადაეხადა ფული „სოიუზის" დამატებითი ფრენისათვის. ეს ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის ერთ-ერთ წყაროდ რჩება.

რუსეთის კოსმოსური კვლევის დარგის ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის მოხელემ ბი-ბი-სისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთმა მომავალ წელს, შესაძლოა საერთოდ უარი თქვას „სოიუზის" ამერიკელი ასტრონავტების კოსმოსში გაფრენაზე.

საერთაშორისო კოსმოსური სადგურის პროექტის რუსეთის განყოფილების ხელმძღვანელმა ვალერი რიუგინმა აღნიშნა, რომ მალე ამოიწურა მოსკოვსა და ნასა-ს შორის დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რომელიც ითვალისწინებს „სოიუზის" გამოყენებას, თუმცა, ამერიკის მხარე ჯერჯერობით არ ჩქარობს ამ დოკუმენტის მოქმედების ვადის გახანგრძლივებას.

# ახალი თაობა არაყს ირჩევს

**მთელი მსოფლიო დარწმუნებულია, რომ რუსები არაყს ეტანებიან. რა სასმელი უყვართ ბრიტანეთის კუნძულებზე? ვისკი? ჯინი? ბრენდი? უკუვაგდოთ სტერეოტიპები — იქაურ ბარებსა და მხიარულ კომპანიებში არაყმა ყველა ეს სასმელი გამოდევნა. უფრო სწორად, მარტო ისინი კი არა, არამედ კიდევ ერთი „უცხოელიც" — 90-იან წლებში ძალზე პოპულარული მექსიკური ტეკილა.**

ამას მოწმობს სამომხმარებლო ბაზრის შემსწავლელი ორგანიზაციის მოხსენებაში მოყვანილი მონაცემები. არყის პოპულარობის ზრდა, ძირითადად, უკავშირდება არყის საფუძველზე დამზადებულ მცირეალკოჰოლიან სასმელებს, რომლებიც ძალზე პოპულარული გახდა ახალგაზრდებს შორის.

ვისკი კვლავ რჩება ბრიტანელთა ყველაზე საყვარელ სასმელად, თუმცა, მისი ბაზრის მოცულობა 1997 წლის 3,3 მილიარდი გირვანქა სტერლინგიდან (დაახლოებით 5,3 მილიარდი დოლარი) 2002 წელს 2,9 მილიარდამდე შემცირდა. არყის ბაზარი კი 1,5 მილიარდიდან 1,7 მილიარდ გირვანქა სტერლინგამდე გაიზარდა.

მოხსენების ავტორის ჯონ ბანდის აზრით, „არაყი იდეალური სასმელია საღამოს წვეულებებისთვის". იგი ყველაზე უკეთ ზავდება სხვა სითხეებში, მიიღება ჩინებული კოქტეილი. ვისკის მრავალი მოყვარული ალბათ, საკუთარ ყურებს არ დაუჯერებდა, ვინმე თუ შესთავაზებდა მათ ვისკის გაზავებას „კოკა-კოლაში". ვისკიან კოქტეილებს ძლიერი თავისებური გემო აქვს, რის გამოც ამ სასმელის ჩამომსხმელთა მცდელობა, შეექმნათ მცირეალკოჰოლიანი ნაზავი ვისკის საფუძველზე, სრული კრახით დასრულდა. არაყი კი ჩინებულ გემოს ინარჩუნებს სხვადასხვა უალკოჰოლო სასმელებთან შეხამებისას.

ამჟამად დიდ ბრიტანეთში მრავლად შეხვდებით საბჭოურ თუ რუსული სახელწოდების მქონე კაფეებს — „რევოლუცია" ან „ბაბუშკა" (ბებია). მათი დარბაზები მორთულია მეოცე საუკუნის დამდეგის სტალინური ავანგარდისტული პლაკატებით და იქ სრულიად განსხვავებული მარკის არაყს შემოგთავაზებენ.

„დიდ ბრიტანეთში ვხვდებით იმის საპირისპიროს, რაც რუსეთში შეინიშნება, სადაც იზრდება ლუდის მოხმარება. თუ რუსებს მიაჩნიათ, რომ ლუდი მარგებელია, ჩვენში — პირიქით, ფიქრობენ, რომ ლუდი არაყზე უფრო მავნებელია ჯანმრთელობისთვის, იგი სიმსუქნესაც იწვევს და უფრო ათრობს კიდეც", — განაცხადა ჯონ ბანდმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისში სუფთა ორმოცგრადუსიან არაყს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიირთმევენ, თუ იგი ძვირფასი და ხარისხიანია. ჩვეულებრივ კი, არაყი ინგლისელებისთვის ძალზე მაგარია. იგი, თურმე, ყველაზე უკეთ ზავდება ბავშვობიდან ჩვენთვის კარგად ცნობილ ლიმონათში. ალბათ, გამაგრილებელი სასმელების მწარმოებლებიც ახალგაზრდებს შორის სწორედ ამიტომ უწევენ ასეთ თავგამოდებით რეკლამას ერთი შეხედვით უვნებელ კოქტეილებს, ეგრეთ წოდებულ „ალკოჰოლიან გაზიან სასმელს", რომელიც ხუთ პროცენტ არაყს შეიცავს.



## ატიპური ვირუსი კოსმოსიდან მოვიდა?

**მრავალი მეცნიერი, ისევე როგორც მედიკოსები, ცდილობს ჩაწვდეს ატიპური პნევმონიის ვირუსის არსს, რომელიც აზიის ქვეყნებს მოედო. ორმა ბრიტანელმა მეცნიერმა ერთ-ერთ გაზეთში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც წერენ, რომ ატიპური პნევმონიის ვირუსი შესაძლოა იყოს კოსმოსური ორგანიზმი, რომელიც დედამიწაზე შემოიტანეს ჰიმალაის რაიონში. ერთი ამ მეცნიერთაგანი — შანდრა უიქსემახინგჰე მუშაობს უელსის კარდიფის უნივერსიტეტის ასტრობიოლოგიურ ცენტრში. იგი ასე განმარტავს ამ თეორიის საფუძველს: „მეცნიერების რამდენიმე სფეროში განხორციელებული უკანასკნელი გამოკვლევების შედეგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ცხოვრება დედამიწაზე ჩაისახა 4 მილიონი წლის წინათ, როცა დედამიწას შეეჯახა კომეტა".**

**თეორია, რომელსაც ახლა სულ უფრო მეტი მეცნიერი ემხრობა, ვარაუდობს იმას, რომ ცოცხალი მიკროორგანიზმები კომეტასთან ერთად დედამიწაზე მოხვდნენ 4 მილიარდი წლის წინათ. თუ ეს ასეა, განმარტავს მეცნიერი, მაშინ სიცოცხლე კი არ გაჩნდა დედამიწაზე, არამედ აქ მოიტანეს კოსმოსიდან.**

# შეეძლებათ თუ არა ევროკავშირის წევრებს კავშირიდან გამოსვლა?

**ევროპის მომავალი კონსტიტუცია, ალბათ, შეიცავს ისეთ ნორმას, რომლის თანახმადაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეეძლებათ კავშირის რიგებიდან გამოსვლა.**

ასეთი პროცედურის მარეგლამენტირებელი დებულების შემოღებას მხარი დაუჭირა ევროპის კონვენციის დელეგატთა უმრავლესობამ, რომელიც გაიმართა ბრიუსელში.

ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები მორიგ შეკრებაზე, რომელიც მაისისთვისაა დანიშნული, განიხილავენ კონსტიტუციას. ძირითადი კანონის პროექტი უკვე ივნისში უნდა წარადგინონ ევროპის ქვეყნების ლიდერთა სამიტზე.

ამჟამად ევროკავშირში მოქმედი შეთანხმებები არ ითვალისწინებს იმას, რომ რომელიმე ქვეყანამ შეძლოს კავშირის დატოვება. დელეგატთა უმრავლესობას კი მიაჩნია, რომ ევროპის გაერთიანების დემოკრატიული პრინციპებით დასაშვები უნდა იყოს ცივილიზებული „გაყრის" შესაძლებლობა.

ევროკავშირიდან გამოსვლის შეთავაზებული პროცედურა საკმაოდ რთულია, როგორც პოლიტიკური, ისე იურიდიული თვალსაზრისით: იგი სულ ცოტა ორ წელიწადს მაინც უნდა გაგრძელდეს.

ევროკავშირის „კარის გახსნას" მხარი დაუჭირეს იმ ქვეყნებმა, რომლებშიც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ევროპის გაერთიანებამ — ისეთებმა, როგორიც არის დიდი ბრიტანეთი და დანია. ამ სახელმწიფოების წარმომადგენელთა აზრით, ეს დებულება გაუქარწყლებს არგუმენტებს იმათ, ვისაც მიაჩნია ევროკავშირში წევრობა შეუქცევადია.

გაერთიანებული ევროპის შემადგენლობიდან გამოსვლის პროცედურის შემოღების წინააღმდეგ გაილაშქრეს გერმანიისა და ნიდერლანდის დელეგატებმა. როგორც მათ განაცხადეს, ასეთი ნორმა შეიძლება გამოიყენონ პოლიტიკური შანტაჟის სახით რთული მოლაპარაკებების დროს. ერთ-ერთმა დელეგატმა ისიც აღნიშნა, რომ, ამან, შესაძლოა, დაუკარგოს ნდობა ერთიან ევროპულ ვალუტას.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**

**ზაზა ბეჟანიძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ახალი მოსაზრება

**ქართველურენოვანი ეთნოსის წარმომავლობის გარკვევა უძველესი და მუდამ ყურადღების ცენტრში მდგარი პრობლემაა ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის. ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში დასვა იგი ლეონტი მროველმა. იქედან მოყოლებული დღევანდლამდე არაერთი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და ლინგვისტი შეეხო ამ საკითხს, პრობლემის არსისა და მიმართულების გარკვევაში თავის დროზე უდიდესი წვლილი შეიტანა ივანე ჯავახიშვილმა. უაღრესად ფასეულია სიმონ ჯანაშიასა და გიორგი მელიქიშვილის ნააზრევი ამ დარგში. ბოლო დროს კიდევ ერთხელ, სრულიად ახლებური მიდგომით გაანალიზდა ქართული ეთნოგენეზის საკითხი, რის საუკეთესო ილუსტრაციასაც წარმოადგენს გასულ წელს გამოსული წიგნი სახელწოდებით: „უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა“, რომლის ავტორია ძველაღმოსავლური ცივილიზაციების ცნობილი მკვლევარი, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი, აკადემიკოსი გრიგოლ გიორგაძე.**

# ქართველთა წარმომავლობის პრობლემა

ქართველთა წინაპარი ტომების ენობრივ-ისტორიული ფესვების ძიებისას ავტორს შევყავართ წინა აზიად წოდებულ უზარმაზარ გეოგრაფიულ სივრცეში, რომელიც მოიცავს კასპიის, შავი, ხმელთაშუა ზღვებისა და ინდოეთის ოკეანეს შორის გადაშლილ ტერიტორიას. აქ ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულიდან დაწყებული ერთმანეთზე მიყოლებით აღმოცენდნენ უადრესი და ხშირად მიუწვდომლობის ნიშნით აღბეჭდილი ბრწყინვალე ცივილიზაციები, რომელთა შემოქმედნიც იყვნენ შუამდინარეთელი შუმერები თუ სემიტური მოდგმის ასურელ-ბაბილონელები, მცირე აზიაში დამკვიდრებული ინდოევროპული ხეთები, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში განსახლებული ხურიტები და ურარტელები... ამ ხალხებმა დაუდეს სათავე ცივილიზაციის ისტორიას. მათ პირველებმა შექმნეს კაცობრიობის ორი უპირველესი კულტურული მიღწევა — სახელმწიფოებრიობა და დამწერლობა.

ქართველურ ენათა ჩამოყალიბების პირველხანებიდანვე ამ კულტურულ გარემოსთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ჩვენი უძველესი წინაპრები. ხანგრძლივი კავშირურთიერთობის პროცესის ცალკეული ეპიზოდები საკმაოდ რელიეფურად დაუფიქსირებია ქართველურ ენებს — ქართულს, მეგრულ-ლაზურსა (კოლხურს) და სვანურს. ეს, უპირველეს ყოვლისა, დასტურდება ქართველურენოვან გარემოში დღემდე თავშემონახული ძველაღმოსავლური ენებიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულების სახით. ამასთან ერთად ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს ძველაღმოსავლურ და ქართველურ ენებს შორის მსგავსი სტრუქტურული თავისებურებების არსებობას, რაც ამ ორი ენობრივი სამყაროს მჭიდრო და ხანგრძლივი ურთიერთობის კიდევ ერთ უეჭველ მოწმობას წარმოადგენს.

ამ გარემოებებზე დაყრდნობით ქართული ეთნოგენეზის საკითხების კვლევა ჩვენს პირობებში განსაკუთრებულ სიახლეს წარმოადგენს, საერთოდ კი იგი ერთობ პერსპექტიული, ნაცადი მეთოდია და დიდი იმედების მომცემიც. გ. გიორგაძის მიერ ქართველთა წარმომავლობის პრობლემის აღნიშნულ ჭრილში განხილვამ უკვე მოგვცა მნიშვნელოვანი შედეგები, რაც გ. გიორგაძის წიგნში წარმოდგენილია კიდეც, კერძოდ, გაირკვა ისტორიულ პროცესებში ქართველურენოვანი ეთნოსის ჩართვის დაახლოებითი ქრონოლოგიური ჩარჩოები და გარკვეულწილად შემოიხაზა წინა აზიის გეოგრაფიულ არეალში მისი განსახლების საზღვრების კონტურებიც.




ერთობ საყურადღებოა და მიმზიდველიც მკვლევარის მოსაზრება შუმერულ გარემოსთან ქართველური ენობრივი სამყაროს ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით. ცნობილი გარემოებაა, რომ ქართველურ ენებში დღეისათვის საკმაოდ დიდი რაოდენობით, სულ ორასამდე ერთეულით, დასტურდება შუმერული ენის ლექსიკის არსებობა. ეს იმის უტყუარი მოწმობაა, რომ ამ ენების მატარებელი ეთნოსები ხანგრძლივი დროის მანძილზე მჭიდრო ურთიერთობაში ყოფილან. შუმერულ-ქართველური კონტაქტების განხორციელებას გ. გიორგაძე შესაძლებლად მიიჩნევს კავკასიის რეგიონში, საიდანაც, როგორც მ. წერეთელი ვარაუდობს, შუმერები შუამდინარეთში გადასახლდნენ ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულის შუა ხანებში. თუ კი დადასტურდება კავკასიიდან შუმერების მიგრაციის ჰიპოთეზა, მაშინ უეჭველი გახდება ის ფაქტიც, რომ წინარექართველურენოვან ეთნოსს მეზობლური ურთიერთობა შუმერებთან ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე ათასწლეულში ჰქონია.

ქართველურ ენებში ნასესხობის დონეზე დადასტურებულია, აგრეთვე, წინარესემიტური ენების ლექსიკური ფონდის მასალაც, კერძოდ, რიცხვითი სახელები და ზოგიერთი არსებითი სახელიც. გ. გიორგაძე სავსებით სწორად მიიჩნევს სემიტური ლექსიკის ქართველურში მოხვედრას ძვ.წ. მე-4-3 ათასწლეულების მანძილზე აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში დამკვიდრებული სემიტური მოდგმის ხალხების ენიდან. იგულისხმება, რომ ეს სესხება განხორციელდებოდა სემიტებთან ქართველურენოვანი ეთნოსის უშუალო მეზობლური შეხების პირობებში. ამგვარი შეხება კი, გ. გიორგაძის მოსაზრებით, მიმდინარეობდა წინა აზიაში სემიტების განსახლების ჩრდილოეთ პერიფერიებში, კერძოდ, მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილსა და ჩრდილოეთ შუამდინარეთის მიმდებარე რაიონებში, რომელიც, იგულისხმება, რომ აღნიშნულ ათასწლეულებში და მოგვიანებითაც ქართველურენოვანი ეთნოსის გავრცელების გეოგრაფიული არეალი უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება ქართველურში საკმაოდ დიდი რაოდენობით დადასტურებულ ინდოევროპული წარმომავლობის ლექსიკას, იგი, მკვლევარის მიხედვით, წინარექართველურ ენას მიღებული უნდა ჰქონდეს ხანგრძლივი კონტაქტების შედეგად ან მცირე აზიაში მცხოვრები ინდოევროპელი ხეთების ენიდან ძვ. წ. მე-20-13 ს.ს-ში, ანდა წინარეანატოლიურ (ასევე ინდოევროპულ) ენაზე მოლაპარაკე ეთნოსისაგან ძვ.წ. მე-3 ათასწლეულში. კონტაქტების ადგილად კი მკვლევარი მიიჩნევს მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის უფრო ჩრდილოეთით მდებარე რაიონებს. ამგვარი დასკვნა ლოგიკურად გამომდინარეობს სწორი და ასევე ლოგიკურად დასაბუთებული წანამძღვრებიდან.

საზიარო ენობრივი მასალის არსებობის საფუძველზე უეჭველი ხდება ქართველურენოვანი ეთნოსის ხანგრძლივი, თითქმის ათასწლოვანი კონტაქტი მე-3 ათასწლეულის შუა ხანებიდან ჩრდილოეთ მესოპოტამიაში დამკვიდრებულ ხურიტებთანაც. რამდენადაც ხური ტომების განსახლების არეალი დღეისათვის კარგადაა ცნობილი, შეიძლება გ. გიორგაძის კვალდაკვალ დაბეჯითებით განვაცხადოთ, რომ ხურიტებთან ქართველური ეთნოსის თანამეზობლობა უნდა შემდგარიყო ჩრდილოეთ მესოპოტამიის ჩრდილოეთით მოსაზღვრე რაიონში.

საკმაოდ საფუძვლიანია მკვლევარის მტკიცება (სხვა მკვლევართა მიერ მიღებული შედეგების გათვალისწინებითაც) იმის შესახებ, რომ ქართველურენოვან ეთნოსს, ასევე კონტაქტები ჰქონია მე-3 ათასწლეულის მთელს მანძილზე ცენტრალური მცირე აზიის რაიონებში, კერძოდ, გვიანდელი კაპადოკიისა და პონტოს ტერიტორიებზე მცხოვრებ არაინდოევროპული მოდგმის ხათებთანაც (პროტოხეთებთან). ამ კონტაქტებზე მეტყველებს არა ერთი ხათური ლექსების არსებობა ქართველურში.

ყოველივე ეს მკვლევარს აძლევს საშუალებას დაასკვნას, რომ ათასწლეულების სიღრმეში საკმაოდ გამოკვეთილად წარმოჩინებული ქართველური ეთნოსი ჯერ კიდევ ძვ. წ. მე-4-3 ათასწლეულებში ხასიათდებოდა დამოუკიდებელი და მყარად ჩამოყალიბებული ეთნიკურ-ენობრივი ერთობითა და დამოუკიდებელი კულტურულ-ისტორიული ტერიტორიით, რომლის საზღვრები სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით პონტო-კაპადოკიის აღმოსავლეთ რაიონებამდე აღწევდა. სამხრეთის მიმართულებით ჩვენი წინაპრების განფენის არეალი მიდიოდა აღმოსავლეთ ანატოლიის ჩრდილოეთ რაიონებამდე და ჩრდილოეთ მესოპოტამიის ჩრდილოეთით მდებარე ოლქებამდე. ქართველურ ტომთა საცხოვრისის ჩრდილოეთი საზღვარი კი კავკასიურ სამყაროს უკავშირდებოდა, რაზედაც მეტყველებს საერთო ქართველური ფუძე ენის ქრონოლოგიურ დონეზე გამოვლენილი ლექსიკური პარალელების არსებობა ნახურ-დაღესტნურ და აფხაზურ-ადიღეურ ფუძე ენებთან. პროქართველური ენის მატარებელი ეთნოსის ურთიერთობა აქვე ნახსენებ ჩრდილოკავკასიურ ენებთან უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ და მხოლოდ კავკასიონის ქედის განედზე.

გარდა აღნიშნულისა, გ. გიორგაძის წიგნში არაერთი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული ქართველური ეთნოსის განფენის ვრცელ არეალში განსახლებული და უეჭველად ქართველური სამყაროსადმი კუთვნილი ცალკეული ტომების შესახებაც. ასეთთა რიგში, ავტორის საფუძვლიანი გამოკვლევების წყალობით, ამიერიდან საკმაოდ დამაჯერებლად ჩაირიცხებიან ისტორიულ პონტოში და აღმოსავლეთიდან მის მიმდებარე ტერიტრიებზე მეორე ათასწლეულში მცხოვრები ქასქები (ქაშქები), რომლებსაც მკვლევარი სავსებით დასაბუთებულად მიიჩნევს სამხრეთ კოლხური წარმომავლობის ტომად. ასევე კოლხურ მეგრულ-ლაზურულ ტომებად წარმოგვიდგებიან ასურულ ლურსმულ წყაროებში ქასქებთან ერთად მოხსენებული აბეშლაელებიც. აღარაფერს ვამბობთ მე-12 საუკუნის დროინდელი ასურული წყაროებით ერთობ გახმაურებული მუშქების (მესხებისა და დაიანელების), დიაოხელების (ტაოხელების) შესახებ, რომელთა ქართველური წარმომავლობის სასარგებლოდ არა ერთი დამატებითი მახვილგონივრული საბუთი მოაქვს მკვლევარს.

ამასთან ერთად, ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს ეთნოპოლიტიკურ სიტუაციას ხეთების აღმოსავლეთ პერიფერიაზე (თავი მესამე). ნაშრომის ბოლო თავში კი შეჯამებული სახით წარმოდგენილია ქართველთა წარმომავლობის პრობლემის ცალკეული საკითხები.

დასასრულს საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ გრიგოლ გიორგაძის წიგნი „უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა“ ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი საუკეთესო შენაძენია. მასში ქართული ეთნოგენეზის პრობლემის კვლევა სრულიად ახლებური მიდგომითა და მიმართულებითაა განვითარებული. ამით აღნიშნული პრობლემის დამუშავება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფეხურით ამაღლდა, რის შედეგადაც მივიღეთ ნათელი და დამაჯერებელი სურათი ქართველური ტომების უადრესი ისტორიის შესახებ. მომავალში წარმოებული კვლევა-ძიება, უეჭველია, გააფართოებს ჩვენი თვალთახედვის არეალს, რომლის შემოქმედი მკვლევარებისათვის გ. გიორგაძის ეს წიგნი მუდამ დარჩება საიმედო საყრდენად და ახალი მიმართულების განმსაზღვრელ ნაშრომად.

**ჯემალ შარაშენიძე,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

## მოამაგენი

# ნუმც მოჰკლებოდეს სამშობლოს ცეკვა-სიმღერა მესხური!..

**მესხეთის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა არაერთი თაობა უშვია. ეს არცაა გასაკვირი, ვინც ახლოს იცნობს საქართველოს ამ ძირძველ მხარეს, მის ისტორიას, განუმეორებელ ხალხს, უმშვენიერეს ბუნებას, ზვიად მთებს, ისტორიულ ძეგლებს, არ შეიძლება კულტურისა და ხელოვნების ტრფიალი, დიდი დამფასებელი და მოამაგე არ იყოს.**

**ამ წერილში გვინდა მოგითხროთ მესხეთის კულტურული ცხოვრების ყველაზე კოლორიტულ ფიგურებზე, პროფესიასა და მესხეთზე უსაზღვროდ შეყვარებულ წყვილზე, ცოლ-ქმარ ნათელა იაძესა და ვახტანგ კვესელაძეზე, რომლებიც, მოყოლებული გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე, უშურველად ემსახურებიან მესხურ ხელოვნებას.**

* * *

საოცარი ანდამატი და ხიბლი აქვს მესხეთს. ძალიან ბევრი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და თვით დედაქალაქიდან, ვითომდა დროებით სამუშაოდ ჩამოსული, ისე გამესხელებულა და დამკვიდრებულა ადგილზე, რომ მკვიდრ მესხებში ველარც კი გამოარჩევ. ასე დაემართა ვახტანგ კვესელაძესაც. იგი თბილისთან ახლოს სოფ. კიკეთში დაიბადა და აქვე დაამთავრა სკოლა. შემდეგ კი ქართული ცეკვების ჯადოქრის ილიკო სუხიშვილის ანსამბლის მოსამზადებელ ჯგუფში დაიწყო მეცადინეობა. 1963 წელს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ქეთევან ღოღობერიძეს, რომელიც იმჟამად ლოტბარად მუშაობდა ახალციხეში, ორ კონცერტში მონაწილეობის მისაღებად ჩამოჰყავს ილიკო სუხიშვილის ახალგაზრდა მოცეკვავე. იმ დღიდან მოყოლებული ვახტანგ კვესელაძე ახალციხეშია და მის კულტურულ ცხოვრებას ემსახურება.

თავდაპირველად ვახტანგ კვესელაძემ მუშაობა ახალციხის კულტურის სახლის აგიტმხატვრულ ბრიგადაში დაიწყო და მალე დამხვდურთა ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი გახდა. აქვე გაიცნო მან მესხური სახასიათო სიმღერებისა და ცეკვების უბადლო შემსრულებელი, შემდგომში მისი პარტნიორი სცენასა და ცხოვრებაში — ნათელა იაძე.

1967 წელს ვახტანგ კვესელაძე დაინიშნა ახალციხის კულტურის სახლის დირექტორად. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე იგი კულტურის სახლის უცვლელი დირექტორია. 1971 წლიდან სამხატვრო ხელმძღვანელად ნათელა იაძე ინიშნება. მანამდე კულტურის სახლის სცენაზე უმეტესწილად სპექტაკლები იდგმებოდა, ნათელა და ვახტანგ კვესელაძეების დროს კი კულტურის სახლმა თავისი პროფილით — ხალხურობის კუთხით გააძლიერა მუშაობა.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ახალციხის სარაიონო კულტურის სახლი სისხლსავსე, მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობდა. გარდა იმისა, რომ კულტურის სახლთან ჩამოყალიბებული იყო ქორეოგრაფიის, სიმღერის, ძერწვის, მუსიკის, ხალხური საკრავების წრეები და უამრავი სცენის მოყვარულთა გაერთიანება, სისტემატური გასვლები და კონცერტები ჰქონდათ რაიონის ყველა სოფელში, დადიოდნენ ფერმებში — იალაღებზე, ჯარის ნაწილებში. გასტროლებით მოიარეს საქართველოს ყველა კუთხე, მაგრამ აქ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მეზობელ აჭარის მხარესთან ურთიერთობა. პირველად 1967 წელს გადაიარეს გოდერძის უღელტეხილი და მას შემდეგ გაცვლითი კონცერტებით, შეხვედრებით სულ ერთად არიან ჭირსა და ლხინში.



არ დაჰკლებიათ აღიარება და რეგალიები, მათ ხელოვნებას იცნობენ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ქვეყნებში, არიან საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატები, საკავშირო მთავრობის ორდენოსნები — „წარჩინებული კულტურის მუშაკები“ და რაც მთავარია, ქართული კულტურის განვითარებაში, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ნათელა იაძე და ვახტანგ კვესელაძე 1999 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

აქვე არ შეიძლება ხელოვნებისა და კულტურის მოტრფიალე ამ კაცთმოყვარე და დიდსულოვანი ოჯახის ერთ მისაბაძ მაგალითზე არა ვთქვა ორიოდ სიტყვა: ორი ქალიშვილის მშობლებმა შეიკედლეს და საკუთარი შვილივით აღზარდეს 7 წლის ობოლი გოგონა, რომელიც ახლა ქმარ-შვილიანი ქალია.

ცხოვრებაში სულ საცეკვაოდ და სასიმღეროდ არ ჰქონიათ საქმე, განგებამ არც ტრაგიკული წუთები დააკლო მათ — აფხაზეთის ომში დაეღუპათ ერთ-ერთი ქალიშვილის ქმარი. ახალციხის რაიონის კულტურული ცხოვრება და კულტურის განყოფილება მათ გარეშე წარმოუდგენელია, ამიტომ 1994 წელს ნათელა იაძე რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ გადაჰყავთ, ხოლო ვახტანგ კვესელაძეს კულტურის სახლის დირექტორობასთან ერთად სამხატვრო ხელმძღვანელობასაც უთავსებენ.

ბევრი რომ აღარ გამიგრძელდეს, ბოლოს, ერთი მინდა დასკვნის მაგიერ ვთქვა: ნათელა იაძისა და ვახტანგ კვესელაძის შემოქმედებას დღემდე არ დაუკარგავს რაიონის მოსახლეობის სიყვარული, დაფასება და აღიარება.

**ვერიკო მოდებაძე,**
„სრ“ საკ. კორ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# სპორტი

SIC!

## თვითრეკლამის კანონებით



**ქართველ გულშემატკივარს, მთლიანად საფეხბურთო სამყაროს, ვულოცავთ — 30 აპრილს „ლოკომოტივის“ სტადიონზე ისევ აგუგუნდება ტრიბუნები.** ასეთია უეფას უკანასკნელი გადაწყვეტილება — ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის ძალისხმევით, მისივე უზარმაზარი საერთაშორისო ავტორიტეტის გათვალისწინებით, ყველაზე კონსერვატორულმა სპორტულმა ორგანიზაციამ უკან დაიხია და მეზობელ სახელმწიფოთა ეროვნული ნაკრები გუნდების ერთხელ უკვე ჩაშლილი მატჩის გადათამაშება ისევ ქომაგთა თანხლებით დანიშნა, ოღონდ არსებითი პირობით — შეხვედრას მხოლოდ ჩვენი ის ბედნიერი თანამემამულენი დაესწრებიან, ვისაც 12 ოქტომბერს შეწყვეტილი თამაშის ბილეთი შემორჩა.

ბლატერის უწყების სააღდგომო საჩუქარი ყველამ როდი აღიქვა ზოგადქართული პოზიციიდან. ასე რომ მომხდარიყო, მაშინ უარი უნდა ეთქვათ თავიანთ ჭეშმარიტ სახეზე, გნებავთ — დაუკმაყოფილებელ პოლიტიკურ ამბიციებზე, „მისი უდიდებულესობა“ წინასაარჩევნო ქულების დაწერაზე და ა. შ. მიხვდით, ალბათ, ეს უპირველესად დედაქალაქის საკრებულოს „ნაციონალ“ თავკაცს მიხეილ სააკაშვილს ეხება, რომელმაც ყველაფერი საკუთარ დამსახურებად მიიჩნია და თავს იმის უფლებაც კი მისცა, დაეტრაბახა — ვაკის პარკში უზარმაზარი მონიტორების დამონტაჟების განზრახვითა და ობივატელის გულის მოსაგებად გამიზნული ვითომდა „საბალელშჩიკო“ კოლექტიური აქციის განხორციელების პროექტით მთავრობა დავაშინეთო.

ძვირფას „გოროდოვოის“ ერთადერთ კითხვას შევკადრებთ: იქნებ, უეფამ, ბატონ პრეზიდენტს თავი რომ დავანებოთ, მთლიანად ქართულ ფეხბურთს, ან თუნდაც სფფ ამჟამინდელ მესვეურთა პრესტიჟს გაუწია ანგარიში? დაგვეთანხმებით, არც რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვალერი გაზაევის მოსაზრებაა გამოსარიცხი — უმაყურებლო სტადიონზე დიდი პრობლემები შეგვექმნებაო — ვის ვის და ჩრდილოელებს თავიანთი გავლენიანი ჩინოვნიკების (სამაგალითოდ მხოლოდ ვიაჩესლავ კოლოსკოვს დავასახელებ) დახმარებით ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანოს შესაბამისი კომიტეტის წევრებზე ზემოქმედება ნამდვილად არ გაუჭირდებოდა.

გგონიათ, თვითონ ვერ ხვდება ამას მიხეილ ნიკოლოზის ძე? მშვენივრადაც ხვდება, მაგრამ ეს რომ საჯაროდ აღიაროს, მაშინ სხვისი ნამოღვაწარი როგორღა უნდა მიითვისოს და გაასაღოს საკუთრად?

**გია პლატონიშვილი.**

ჭადრაკი

## საგზურები თორმეტწლიანებშიც განაწილდა

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 12 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელიც შესარჩევი ტურნირიც იყო.**

გოგონებში კარგად იასპარეზა თბილისის 47-ე სკოლის მეექვსეკლასელმა სალომე ხაჟომიამ (მწვრთნელი ემილ მიქაელიანი), რომელმაც ბოლო ტურში სალომე სირაძეს სძლია და 7,5 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი გახდა. ტურნირის ოთხმა მონაწილემ — სოფიკო გურამიშვილმა, თინათინ ბერიძემ, სალომე სირაძემ და ქეთი წაწალაშვილმა 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს. უკეთესი კოეფიციენტით, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები თბილისის 51-ე სკოლის მეექვსეკლასელმა გურამიშვილმა (მწვრთნელები — გოგი მაჭარაშვილი და აკაკი იაშვილი) და ბათუმის სკოლა — ლიცეუმ „ნერგების“ მეექვსეკლასელმა თინათინ ბერიძემ (ნუგზარ რიჟამაძე) გაინაწილეს.

ვაჟებში ბოლო ტურის წინ ერთბაშად ექვს მონაწილეს ჰქონდა ჩემპიონობის შანსი. გადამწყვეტი პარტიები მოიგეს და 7,5-7,5 ქულით, მაგრამ კოეფიციენტის მიხედვით, შესაბამისად პირველ-მესამე ადგილებზე გავიდნენ საქართველოს ორგზის ჩემპიონი და ევროპის პირველობის მეორე პრიზიორი, ქუთაისის სპორტული ლიცეუმის აღსაზრდელი დავით ბენიძე (მწვრთნელი გია მენაბდე), თბილისელი მოსწავლეები — დავით ლომსაძე (ავთანდილ მეშველიანი) და ლევან ბრეგაძე (ალექსანდრე ყაშაშვილი).

საქართველოს ჩემპიონები — ხაჟომია და ბენიძე წლეულს მსოფლიო პირველობაზე ითამაშებენ, ხოლო გურამიშვილი და ლომსაძე ევროპელ თანატოლებს შეეჯიბრებიან.

**გიორგი ქობალავა.**

**სურათზე: მარცხნიდან — სოფიკო გურამიშვილი, ლევან ბრეგაძე, თინათინ ბერიძე, დავით ბენიძე, სალომე ხაჟომია და დავით ლომსაძე.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**



წყალხტომა

## ბალა ბელას თასი — ქართველებს





**უკვე გაუწყეთ, რომ უნგრეთის ქალაქ სზოლნოკში გამართულ ამ ქვეყნის წყალხტომის ფუძემდებლის ბალა ბელას მემორიალზე საქართველოს სპორტსმენებმა 9 ოქროს, 3 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.**

სამ ასაკობრივ ჯგუფში გამოდიოდა ჩვენი 8 წყალმხტომელი — 4 გოგონა და 4 ვაჟი. საქართველოს სპორტულ დელეგაციას პირველი ოქროს მედალი გუნდის დებიუტანტმა 169-ე სკოლის მეხუთეკლასელმა რევაზ მოდებაძემ მოუტანა. მან ჯერ სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა მოიგო, შემდეგ კი ხუთმეტრიანი კოშკურიდან ხტომაშიც აჯობა მეტოქეებს. ამ სახეობაში ოქროს მედალი მოიპოვა 47-ე სკოლის მეხუთეკლასელმა ჯესიკა მელიქოვამ.

თოთხმეტწლიანთა ასპარეზობაში ტოლი არ ჰყავდა 51-ე საშუალო სკოლის მოსწავლეს სალომე ჯუღელს, რომელიც სამჯერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მართალია, სალომესთვის ეს პირველი საერთაშორისო შეჯიბრება არ ყოფილა, მაგრამ ამჯერად შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საგულისხმოა ისიც, რომ მას ბალა ბელას თასიც გადაეცა (ვაჟებში ეს ჯილდო უნგრელმა დაკაიმ დაიმსახურა). ერთი საგულისხმო ფაქტიც: ევროპის ჩემპიონატის წლევანდელი გამარჯვებული უნგრელი ნორა ვარტა ბალა ბელას თასის პირველი მფლობელია. იგი ერთი დღით ესტუმრა სზოლნოკს. საქართველოს დელეგაციამ მიულოცა მას ჩემპიონობა, თავის მხრივ, ვარტამაც წარმატება უსურვა ქართველ წყალმხტომელებს...

თოთხმეტწლიანებში წარმატებით იასპარეზეს 165-ე სკოლის მეექვსეკლასელმა ნინო ყვავაძემ და „ქართული სასწავლებლის“ მეშვიდეკლასელმა სოფიკო ხუციშვილმა. ნინომ ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო სამმეტრიანი ტრამპლინიდან მესამე იყო. ამავე დისციპლინაში „ვერცხლი“ ხუციშვილს ერგო.

თექვსმეტწლიანებში მხოლოდ ვაჟები გამოდიოდნენ. 54-ე სკოლის მერვეკლასელმა ჭოლა ჭანტურიამ 2 ოქროს (სამმეტრიანი ტრამპლინი და ხუთმეტრიანი კოშკურა) და 1 ბრინჯაოს (ერთმეტრიანი ტრამპლინი) მედალი მოიპოვა, ხოლო 165-ე სკოლის მეცხრეკლასელმა დავით ყვავაძემ თითო „ოქრო“ და „ვერცხლი“ (შესაბამისად, ერთმეტრიანი და სამმეტრიანი ტრამპლინი) დაიმსახურა.

— უმედლოდ მხოლოდ შოთა კორახაშვილი დაგვრჩა, — მითხრა ნაკრების მწვრთნელმა **ირაკლი ბარათაიამ,** — ისიც იმიტომ, რომ ორი წლით უფროსებს ეჯიბრებოდა, თან მსაჯებმაც გამოიჩინეს მიკერძოება. ამის მიუხედავად, შოთამ სამჯერ დაიკავა მეოთხე ადგილი.

საგულისხმოა, რომ უნგრეთში ჩემი, თარჯიმნისა და ორი სპორტსმენის გამგზავრება საქართველოს წყალჯომარდობის ფედერაციის პრეზიდენტმა ბატონმა ვლადიმერ გოიაშვილმა შეძლო ნასესხები ფულით, სალომე ჯუღელი დიღმის ოლიმპიური მომზადების ცენტრმა (დირექ-ტორი გიორგი უდესიანი) დააფინანსა, დანარჩენები კი საკუთარი ხარჯებით წამოვიდნენ შეჯიბრებაზე. არ ვიცი, სანამ ეყოფათ მშობლებს მატერიალური შესაძლებლობა შვილების საასპარეზოდ გასაგზავნად. არადა, შესანიშნავი წყალმხტომელები გვყავს. უნგრეთში 8 ქვეყნის 250-მდე სპორტსმენი გამოდიოდა და ოქროს მედლების ნახევარი ჩვენ მოვიპოვეთ. თან მთავარი პრიზი — ბალა ბელას თასიც დავისაკუთრეთ. ეს მაშინ, როცა ქართველ წყალმხტომელებს განსაკუთრებით ზამთარში დიდი საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის მოსამზადებლად ელემენტარული პირობებიც არა აქვთ. ვინ იცის, რამდენჯერ ითქვა და დაიწერა. მაგრამ დღემდე საშველი არ დაადგა ვაკის დახურულ საცურაო აუზს, რომელიც დიდი ხანია, აუზი აღარ არის. კიდევ კარგი, რომ ბოლო დროს დიღმის ოლიმპიური მომზადების ცენტრი შეგვეხიდა.

წლეულს, 29 ივლისს ედინბურგში ევროპის პირველობა დაიწყება. ჭოლა ჭანტურია და დავით ყვავაძე რეიტინგით პირველ შვიდეულში შედიან. მათ შოტლანდიაშიც შეუძლიათ თავის გამოჩენა, მაგრამ გამგზავრება ძვირი ჯდება — თითოეული სპორტსმენისთვის დაახლოებით 1200 დოლარი. ფედერაციას, ფაქტობრივად, ფული არა აქვს, მშობლებს — მით უმეტეს. ამიტომ უსახსრობის გამო როგორც ახენის, პალმა დე მალიორკისა და გრაცის საერთაშორისო ტურნირებზე, ისე ევროპის პირველობაზე გამგზავრებაც სათუოა, რაც არა გვგონია, ქართულ წყალხტომას წაადგეს.

**ვაჟა დანელია.**



**სურათებზე: კვარცხლბეკზე — რევაზ მოდებაძე და ჯესიკა მელიქოვა; სოფიკო ხუციშვილი, სალომე ჯუღელი და ნინო ყვავაძე; შეჯიბრების ორგანიზატორები აჯილდოებენ ჭოლა ჭანტურიას (უკანა პლანზე — დავით ყვავაძე).**

**ქრისტინა ღოღელიანის ფოტო.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ადამიანი დროში

# მუდამ კალათბურთთან ერთად

**ეს იყო ზღაპრული სანახაობა, რომლის მსგავსი იშვიათად თუ უნახავთ მსოფლიოში კალათბურთის გულშემატკივრებს: 1959 წლის აგვისტოს ერთ თბილ საღამოს ლუჟნიკების სტადიონზე საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის ნახევარფინალურ მატჩში საქართველოს სამკაციანმა ნაკრებმა (!) ლატვიის ეროვნულ გუნდს სძლია და ფინალში გავიდა. ამ დაუვიწყარი ორთაბრძოლის ერთ-ერთი გმირი გახლდათ ვალერი ალთაბაევი, რომელმაც გამარჯვების მომტანი ბურთი მოათავსა ბალტიისპირელთა კალათში.**



### სადარბაზო ბარათი

*დაიბადა 1940 წლის 23 მაისს ბაქოში. მამამისი სამხედრო მოსამსახურე გახლდათ და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბათუმში გადმოიყვანეს სამუშაოდ ოჯახთან ერთად.*

*ვალერი ალთაბაევი მე-8 კლასში იყო, სერიოზულად რომ დაიწყო ვარჯიში კალათბურთში. 1957 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა. ერთი წლის შემდეგ თბილისის „დინამოში“ ჩაირიცხა. 1959 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორია, 1968 წელს სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, სამჯერ მეორე ადგილი (1960, 1961, 1969 წ.წ.) და ერთხელ მესამე (1965 წ.) ერგო. ასევე მესამე იყო 1967 წელს სსრკ ქალაქების პირველობაზე, რომელიც კიევში გაიმართა, 1969 წლის საკავშირო თასის მფლობელია. 1962 წელს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა, ხოლო 1969 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასზე მე-2 ადგილი დაიკავა.*



– სკოლაში რომ შევედი, მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო – იგონებს ბატონი ვალერი, – ამიტომ სასწავლებლებში უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ სამხედრო ფიზიკურ მომზადებას. ტანი რომ ავიყარე, კალათბურთმა დამაინტერესა. თანაც იმ დროს ბათუმში საწვრთნელ შეკრებაზე ჩამოვიდა თბილისის „დინამო“. ყოველდღე ვესწრებოდი მათს ვარჯიშებს. მერე მეზობელს ძველისძველი ფეხბურთის ბურთი ვთხოვე, შევკერე-შევალამაზე და გვიან საღამომდე ვისროდი კალათში. დასვენების პარკთან ახლოს ვცხოვრობდი და კალათბურთის მოედანიც იქვე იყო. მოგვიანებით სპორტსკოლაში დავიწყე ვარჯიში. ჩემი მწვრთნელი იყო ტატიანა სერგიაშვილი. ისე კარგად მოვემზადეთ, რომ 1957 წელს ბათუმში საქართველოს პირველობაზე ფინალური ორთაბრძოლა მოვუგეთ თბილისის განათლების განყოფილების გუნდს, რომელსაც ბატონი მიხეილ კეკელიძე ავარჯიშებდა. დედაქალაქელთა ღირსებას იცავდნენ უგრეხელიძე, მოსეშვილი, ომიაძე და შემდეგში სხვა ცნობილი კალათბურთელები.

**– თბილისის „დინამოში“ როდის ითამაშეთ პირველად?**

– გიორგი ავალიშვილმა გუნდში 1958 წელს მიმიწვია. მაშინ მეთერთმეტე კლასში ვიყავი. „დინამოს“ სტადიონის საერთო საცხოვრებელში გამომიყვეს ერთი პატარა კუთხე. იმავე წელს ლენინგრადში რამდენიმე წუთი ვითამაშე პირველად ცსკას წინააღმდეგ.

**– თქვენი სპორტული კარიერის განმავლობაში რომელი მატჩი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?**

– ასეთი რამდენიმე იყო, მაგრამ განსაკუთრებით ორი მინდა გამოვყო. პირველი, ცხადია, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ნახევარფინალური ორთაბრძოლაა ლატვიელებთან. ბალტიისპირელები მაშინ ჩემპიონთა თასის მფლობელები იყვნენ და მათს შემადგენლობაში თამაშობდა სამი მსოფლიო კლასის ვარსკვლავი – პასებისა და დრიბლინგების დიდოსტატი ვალდმანისი, უშიშარი სნაიპერი მუიჟნიეკსი და საბჭოთა კავშირში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი, 214 სანტიმეტრი სიმაღლის გიგანტი კრუმინში, რომლებიც საბჭოთა ნაკრების ძირითადი ხუთეულის მოთამაშეები იყვნენ.

მატჩის ბოლო ხუთწუთიან მონაკვეთში საქართველოს ნაკრებში სამნი დავრჩით: მე, „აპოლონი“ – გურამ აბაშიძე და „ცუნცულა“ – თამაზ კაკაურიძე. გომელსკისა და მის შეგირდებს ეგონათ, რომ ორთაბრძოლას უეჭველად მოიგებდნენ, მაგრამ მწარედ შეცდნენ – საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე ჩემი ტყორცნა ზუსტი აღმოჩნდა, მეტოქის ცდა კი – ამაო. ფარიდან ასხლეტილ ბურთს „აპოლონი“ დაეუფლა და ასე ჩახუტებულს საფინალო სასტვენმაც მოუსწრო – გავიმარჯვეთ – 88:86, თუმცა, გადამწყვეტ შეხვედრაში მოსკოვის გუნდთან დავმარცხდით – 53:63.

მეორე დაუვიწყარი მატჩი ჟენევაში გვქონდა. როგორც იცით, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში მადრიდის „რეალს“ მოვუგეთ 90:83. არადა, პირენეელები მოედანზე გამოსვლამდე იყვნენ წარმატებაში დარწმუნებულნი. შესანიშნავად ითამაშა ჩვენმა გუნდმა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო „დინამოს“ მაშინდელი კაპიტანი გურამ მინაშვილი – მსგავსი გამთამაშებელი საქართველოს კალათბურთს არ ჰყოლია. მართალია, მწვრთნელისგან გარკვეული ტაქტიკური დავალება გვქონდა, მაგრამ გურამი იმპროვიზაციულად იმ კალათბურთელზე აგებდა თამაშს, ვისაც იმ დღეს მოედანზე ყველაფერი გამოსდიოდა. ამიტომაც არ იყო ჩვენი მატჩები დაშტამპული. მეტოქეს უჭირდა მისი „წაკითხვა“. ერთიც მინდა დავძინო: 1959 წელს ჩვენს გუნდს შესანიშნავი მწვრთნელი და პიროვნება გიორგი ავალიშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო ევროპის თასი მეტად ავტორიტეტული პიროვნების ოთარ ქორქიას თავკაცობით მოვიპოვეთ.

**– კი მაგრამ, ჟენევაში როგორ წახვედით, თქვენ ხომ უცხოეთში გამგზავრება აკრძალული გქონდათ...**

– კაცი პროვოკაციას არ უნდა წამოეგოს... 1961 წელს მიმიწვიეს საბჭოთა კავშირის ნაკრებში, რომელიც ამერიკაში მიდიოდა საერთაშორისო ამხანაგური მატჩების გასამართავად. ეტყობა, გუნდში ვიღაცისთვის ადგილი იყო საჭირო და რუსებმა ხელი გამომტყუეს. ერთ კალათბურთელს მოვადე გემოზე. ამის გამო საბჭოთა კავშირიდან გასვლა ამიკრძალეს. მაშინდელმა საქართველოს ცეკას პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ მოსკოვში დარეკა ჩემს შესახებ. მეც გამომიძახეს საბჭოთა დედაქალაქში, იქაური ცეკას რომელიღაც ინსტრუქტორმა თუ განყოფილების გამგემ, თავისი ჭკუით ვითომ შემაფუცხუნა, ასეთი რამ აღარ გაიმეორო და უცხოეთში წასვლის ნებაც დამრთეს.

**– ვიცი, რომ თქვენ ბატონ ედუარდ შევარდნაძესაც შეხვედრიხართ...**

– დიახ, ეს იყო სამოციანი წლების დასაწყისში. რაღაც მიზეზით, ბატონ გიორგი ავალიშვილს მწვრთნელობიდან ათავისუფლებდნენ, მას კი დამსახურებულ პენსიამდე სამი თვეღა აკლდა. გუნდის წევრები მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს შევხვდით, თხოვნით, რომ როგორმე გაეხანგრძლივებინათ ავალიშვილისთვის მწვრთნელობის ვადა.

მინისტრმა ყურადღებით მოგვისმინა და გვითხრა, მწვრთნელობის ვადის გაგრძელება ჩემი კომპეტენცია არ არის, მაგრამ ბატონ გიორგის თუ მაინც გაათავისუფლებენ, გპირდებით, პენსიას სრული ნამსახურების მიხედვით დავუნიშნავთო. ბატონმა ედუარდმა თავისი კაცური სიტყვა შეასრულა...

ვალერი ალთაბაევმა აქტიურ სპორტს 1972 წელს დაანება თავი. სხვადასხვა სფეროში სცადა ბედი, მაგრამ კალათბურთს მაინც ვერ შეელია – ყოველთვის დარბაზისკენ მიუწევდა გული. ამ რამდენიმე წლის წინათ, ადგილობრივი ხელმძღვანელების დახმარებით ბათუმში საკალათბურთო კლუბი „ბასკო“ ჩამოაყალიბა, რომელმაც რამდენჯერმე ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. ბატონი ვალერი ამჟამად სტუ „ჯეოსელის“ კონსულტანტია და თავის მდიდარ გამოცდილებას სტუდენტ კალათბურთელებს უზიარებს.

**ვაჟა დანელია.**



**სურათებზე: ქვეყნის ჩემპიონმა ბათუმის „ბასკომ“ ასე გამოხატა მადლიერება მწვრთნელის მიმართ; უტევს ვალერი ალთაბაევი (№9); 1960 წლის თბილისის „დინამო“. დგანან: მარცხნიდან – რევაზ გოგელია, ქართლოს ჯაფარიძე, ლევან მოსეშვილი, ილარიონ ხაზარაძე, ალექსანდრე კილაძე, გურამ მინაშვილი, სხედან – ასტამურ აჩბა, ვლადიმერ უგრეხელიძე, ვალერი ალთაბაევი და გურამ აბაშიძე.**

**ვალერი ალთაბაევის ფოტოარქივიდან.**

სპორტული ცეკვები

# გენერალური რეპეტიცია – «თელაში»

ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში 9-11 მაისს საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი თენგიზ გაჩეჩილაძე) ინიციატივით ტრადიციული 2003 წლის „კავკასიის თასი“ გათამაშდება. წინასწარი მონაცემებით, შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი მსოფლიოს 13 ქვეყნის მოცეკვავე წყვილებმა გამოთქვეს.

ამ მნიშვნელოვან ტურნირში საასპარეზოდ საქართველოს სპორტსმენებიც ემზადებიან. ამას წინათ მათ სტუდია „თელას“ დარბაზში (მუშტაიდის ბაღში) ერთგვარი გენერალური რეპეტიცია ჰქონდათ – სხვადასხვა ასაკის მოცეკვავეებისთვის საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. მონაწილეობდნენ თბილისის „თელას“, „ელეგიას“, „ვარკეთილის“, „ცისა ფერს – 2000“-ის, „ფიესტას“, „ბლექპულის“, ქუთაისის „ელიტას“, ბათუმის „არაბესკის“, რუსთავის „მარცოს“ და ახალციხის „სიხარულის“ წარმომადგენლები, სულ – 130 წყვილი.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: დავით ავალიანი – ნინო ღვინეფაძე, გიორგი სტეფლიანი – თეონა ლაბუჩიძე (ორივე „თელა“), სოსო ოდიკაძე – მარიამ ლომიძე („ფიესტა“), გიგა კოღუაშვილი – ანი მოწერელია („ელიტა“), ზვიად დევდარიანი – ლიკა თოფურია, ბესიკ რთველიაშვილი – ვერიკო ბაინდურაშვილი, ოთარ ფოლადაშვილი – ქეთი ცხადაძე, რატი გაჩეჩილაძე – სანია გამიდოვა (ყველა – „თელა“), გიორგი მეგრელიშვილი – ნინო ქორახაშვილი („ელეგია“) და სხვები.

ახალგაზრდებში ლათინურ-ამერიკული და ევროპული ცეკვების შემდეგ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ზურაბ კიკაბიძე – თინიკო გუგავა, 2. რაფიელ ანანიკიანი – ნინო ქოთოლაშვილი (ორივე – „თელა“), 3. გოგიტა გონგაძე – მზია ორველაშვილი („ელეგია“).

უფროსი ასაკის მოცეკვავეებში ყველას მანუჩარ მანჯავიძემ და ლაურა ქველიძემ აჯობეს. მეორე-მესამე ადგილებზე კი აქაც ახალგაზრდები გავიდნენ – კიკაბიძე და გუგავა, ანანიკიანი და ქოთოლაშვილი.

ჩემპიონატზე გოგონებმა სოლო ცეკვის კონკურსშიც იასპარეზეს. ლათინურ-ამერიკულ ცეკვებში უძლიერესი იყო ელისო გოგოხია („ბელექპული“), „რუმბასა“ და „მამბოში“ ყველას მარი გველესიანმა („ბლექპული“) აჯობა, „დისკოსა“ და „სალსაში“ – ქეთი კოშუაშვილმა („მარცო“), „ჩაჩა-ჩა“ ყველაზე უკეთ მარიამ ბექიაშვილმა („თელა“) იცეკვა.

საგულისხმოა, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ვერ იასპარეზეს ჩვენმა საუკეთესო წყვილებმა, რომლებიც საერთაშორისო ტურნირებში ცდიდნენ ძალებს. მაგალითად, გიორგი ორველაშვილმა და თათული გოგიშვილმა ლვოვის ღია ტურნირზე ახალგაზრდებში პირველობა არავის დაუთმეს, დიდებში კი V ადგილზე გავიდნენ. ალექსანდრ ჩესნოკოვი და სალომე ლომსაძე მოსკოვის ღია საერთაშორისო ტურნირში მსოფლიოს 14 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ და მე-3 ადგილი დაიკავეს.

– სპორტულ ცეკვებში „კავკასიის თასის“ წინა გათამაშებებს ჩინებულად ვუმასპინძლეთ, – მითხრა თენგიზ გაჩეჩილაძემ – ვეცდებით, ამჯერადაც გავართვათ თავი სიძნელეებს და შეჯიბრების მონაწილეებს ასპარეზობისა თუ დასვენების ყველა პირობა შევუქმნათ. იმედია, 9-11 მაისს ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში მრავლად მოვლენ გულშემატკივრები და ჩვენს მოცეკვავეებს გაამხნევებენ.

**ლექსო ცინცაძე.**



**სურათზე: კვარცხლბეკზე დიდები და პატარები.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

გახსენება

# შესანიშნავი ფეხბურთელი და ადამიანი

**სპორტის დამსახურებული ოსტატი ვიქტორ ბანიკოვი გასული საუკუნის 60-70-იანი წლების სახელგანთქმული მეკარე იყო.**

**იგი დიდი წარმატებით გამოდიოდა კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებში, საბჭოთა კავშირის ნაკრებში.**

**ფეხბურთის გულშემატკივრებს ახსოვთ მისი უბრწყინვალესი გამოსვლები მწვანე მინდორზე, ფანტასტიკური, თავგანწირული ნახტომები, უბადლო რეაქცია...**

ჩვენ 1969 წლის ივლისში გავიცანით ერთმანეთი. ქუთაისში, მორიგი კალენდარული მატჩის ჩასატარებლად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ზედიზედ სამგზის ჩემპიონი (1966-68 წ.წ.) კიევის „დინამო“. მე მაშინ – 20 წლის ჭაბუკი, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი – სასტუმრო „ქუთაისში“ კიეველთა სახელგანთქმულ მეკარეს ვესტუმრე და ინტერვიუ ვთხოვე. ჩვენ მანამდე, ცხადია, ერთმანეთს არ ვიცნობდით. მეტად გამაკვირვა მისმა გულღია შეხვედრამ, უშუალობამ, თავმდაბლობამ. ვიქტორმა სასტუმროს მესამე სართულის ვესტიბიულში შემომთავაზა საუბარი და სავარძელში პირველად თვითონ ჩაეშვა.

– ნომერში ვიქტორ სერებრიანიკოვს სძინავს და საუბარი არ გამოგვივა – ღიმილით მითხრა მან. ინტერვიუ შედგა. ჩემს წინ იჯდა სიმპათიური, ათლეტური აღნაგობის სპორტსმენი, წინ ჯიუტად ჩამოშლილი თმებით, ოდნავ კეხიანი ცხვირით, საოცრად ნაღვლიანი თვალებით. იგი საოცარი გულახდილობით უპასუხებდა კითხვებს. საუბარი დასრულდა.

როგორც მისგან შევიტყვე, მას ქუთაისელთა წინააღმდეგ მატჩში ძირითად შემადგენლობაში გამოსვლა არ მოუწევდა. კარს ევგენი რუდაკოვი დაიცავდა. ვიქტორი მისი რეზერვი იყო.

სტუდენტური გულღიაობითა და უშუალობით ვიქტორი ყველასათვის ცნობილ საქაბაბეში („ბიკენტის საქაბაბეში“) დავპატიჟე. იგი უფროს მწვრთნელს რამდენიმე საათით დაეთხოვა და გუნდის ერთ-ერთ სამეურნეო მუშაკთან ერთად საქაბაბეში წავედით. ქართული ქაბაბით აღფრთოვანებული დარჩა. ლუდი არ დალია. შემდეგ, სამთავენი კინოთეატრ „კომუნაში“ შევედით. სეანსის შემდეგ დიდხანს, თითქმის შუაღამემდე ვისეირნეთ განათებულ, ხალხმრავალ, სითბოთი და სიყვარულით სავსე ქუთაისის ქუჩებში. ბევრი ვისაუბრეთ ფეხბურთზე, კიევის „დინამოზე“, ქუთაისის „ტორპედოზე“, თბილისის „დინამოზე“ – შევეხეთ მის შემდგომ პირად საფეხბურთო კარიერას.

ვიქტორს იმხანად კიევის „დინამოში“ მეორეხარისხოვანი როლი ეკავა, ევგენი რუდაკოვი ძალას თანდათან იკრებდა. მას კი, კიევის „დინამოს“ ძირითადი მეკარის ადგილის დაკარგვა ემუქრებოდა. გუნდში ჯანსაღი კონკურენცია სუფევდა. ბევრ ფეხბურთელს, მათ შორის საქვეყნოდ ცნობილ ოსტატებსაც კი, გუნდის დატოვება ემუქრებოდა. რამდენიმე ფაქტი უკვე სახეზე იყო: ვიქტორ მასლოვმა, უფროსმა მწვრთნელმა, გუნდიდან გაუშვა ორი სპორტის დამსახურებული ოსტატი, მცველი ვლადიმერ შეგოლკოვი და ნახევარმცველი, გუნდის კაპიტანი ანდრეი ბიბა. – ვიქტორს მატჩის დამთავრების შემდეგაც შევხვდი (ის შეხვედრა კიეველებმა მოიგეს – 2:0). მხურვალედ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. 1970 წლიდან ვიქტორ ბანიკოვი დნეპროპეტროვსკის „დნეპრში“ გადავიდა, მალევე, იმავე წლის აპრილიდან“, ვალენტინ ივანოვმა იგი მოსკოვის „ტორპედოში“ მიიწვია.

1970 წლის მარტში ქუთაისში კვლავ ჩამოვიდნენ კიევის დინამოელები. ამჯერად ჩემი რესპონდენტი მათი უფროსი მწვრთნელი ვიქტორ მასლოვი გახლდათ. მისი ბუზღუნა ხასიათი საყოველთაოდ იყო ცნობილი. ისიც ვიცოდი, რომ მას ჟურნალისტები მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა. სწორედ თავისებური ბუზღუნა ხასიათის გამო შეარქვეს მასლოვს „პაპა“ და ასე იცნობდა მას მთელი საფეხბურთო სამყარო. მოულოდნელად, ვ. მასლოვი, მიუხედავად ცოტა ჩალაპარაკებისა და ჩაკირკიმალებისა, ინტერვიუზე დამთანხმდა.

რატომ გაუშვით გუნდიდან შეგოლკოვი, ბიბა, ტურიანჩიკი, პორკუიანი, ბანიკოვი?.. – სხვა კითხვებთან ერთად ესეც დავუსვი კიეველთა უფროს მწვრთნელს.

– მათ შეწყვიტეს ყოფილიყვნენ მებრძოლები, მოკლედ მიპასუხა მან.

– ვიქტორ ბანიკოვმაც? – ბოლომდე ჩავეძიე მე.

– არა, ბანიკოვმა უბრალოდ, ვერ გაუძლო კონკურენციას. რუდაკოვი ახლა კონკურსგარეშეა.

იმ სეზონის ბოლოს, ბედის ირონიით, ვიქტორ მასლოვმაც დატოვა კიევის „დინამო“, უფრო სწორად, დაატოვებინეს – უკრაინის ხელისუფლებამ არ აპატია მას 1966-68 წ.წ. ჩემპიონობის შემდეგ, II ადგილი – 1969 წელს და მეშვიდე ადგილი – 1970 წელს; 1971 წელს იგი მოსკოვის „ტორპედოში“ მიიწვიეს. იქ მას მის მიერ „დაწუნებული“ ვიქტორ ბანიკოვი დახვდა. ვიქტორი 1970 წელს მოწოდების სიმაღლეზე იდგა, სსრკ ნაკრებში რამდენიმე მატჩი ჩაატარა. სეზონის ბოლოს კი „33 საუკეთესოთა“ შორის №1 მეკარედ დაასახელეს.

„პაპა“ ღირსებით ეკიდებოდა სახელოვანი მეკარის შესაძლებლობებს. მათ, ორთავემ, სხვებთან ერთად, მიზნად დაისახეს – „ყველაფერი ტორპედოსათვის“. სამწუხაროდ, 1970 წლის სეზონის ბოლოს ქუთაისის „ტორპედომ“ დატოვა უმაღლესი ლიგა. მოსკოვის „ტორპედო“ 1971 წლის აპრილში თბილისში ჩამოვიდა. მეც თბილისს გავემგზავრე მატჩის სანახავად და ვიქტორთან შესახვედრად. გულითადი და სიხარულით სავსე იყო ეს შეხვედრა. საუბარი მართლაც საინტერესო გამოდგა. ბევრი რამე, მანამდე ჩემთვის უცნობი, გამანდო ვიქტორმა. რამდენიმე დღის შემდეგ ქუთაისში დავბრუნდი. საგაზეთო სტილით მომზადებული ინტერვიუ ბატონ გივი მეფისაშვილს მივუტანე (იმხანად გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორს). მასთან კაბინეტში იყვნენ ბატონები სერგო მაღლაფერიძე და გიგა ყურაშვილი (რედაქტორის მოადგილეები). რედაქტორმა ინტერვიუ ხმამაღლა წაიკითხა მათ (სამთავემ) მოიწონეს და შემაქეს. გარკვეული, საპატიო მიზეზის გამო სტატია გაზეთში 10 ივნისს დაიბეჭდა. მას შემდეგ თითქმის 32 წელი გავიდა. ამის შემდეგ მე და ვიქტორი დავახლოვდით. ბევრჯერ მოგვიხდა შეხვედრა თბილისში, კიევში, მოსკოვში...

ვიქტორ ბანიკოვის დამსახურება ცნობილია ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებისთვის. 1964 წელს, საკავშირო ჩემპიონატის ფინიშზე მან თავგანწირული ნახტომით აიღო ვალენტინ ივანოვის – მოსკოვის „ტორპედოს“ კაპიტნის მიერ დარტყმული თერთმეტმეტრიანი საჯარიმო, მაშინ, როცა ანგარიში 1:1 იყო. ტორპედოელთა მიერ ამ დაკარგულმა ერთმა ქულამ თბილისელები და მოსკოველები ერთნაირი ბალანსით წარადგინა ფინიშის სწორზე. შემდეგ იყო ტაშკენტის დაუვიწყარი მატჩი.

– სიმართლე თქვით, რას განიცდიდით მაშინ? – ვკითხე ვიქტორს.

– უპირველესად, პრესტიჟზე ვფიქრობდი.

– რა გითხრათ მატჩის შემდეგ ივანოვმა?

– იგი გასახდელში შემოვიდა და თქვა – შურისძიება, მხოლოდ, შურისძიება.

– შეასრულა თავისი სიტყვა?

– ბანიკოვმა გაიცინა – კი, ნაკრებში ვარჯიშის დროს, ათიდან ათი პენალტი გამიტანა.

1973 წლის საფეხბურთო სეზონის შემდეგ ვიქტორ ბანიკოვმა 35 წლის ასაკში აქტიური ფეხბურთი დატოვა.

ამ უდიდესმა ფეხბურთელმა საბჭოთა კავშირის პირველობაზე ჩაატარა 258 მატჩი. იყო საბჭოთა კავშირის ორგზის (1967-68 წწ.) ჩემპიონი, სამგზის თასის მფლობელი (1964 წ. 1966 წ, 1972 წ), ორჯერ (1964 წ, 1972 წ.), ფლობდა ჟურნალ „ოგონიოკის“ სეზონის საუკეთესო მეკარის პრიზს. 14-ჯერ ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრებში. მის ბიოგრაფიაში იყო ერთი მატჩი, უფრო სწორად, ერთი მატჩის ერთი ტაიმი (პირველი ტაიმი), რომელსაც ვიქტორი ყოველთვის სიამაყით იგონებდა. ეს იყო შეხვედრა მოსკოვში, საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიის ნაკრებ გუნდებს შორის, 1965 წლის 4 ივლისს – 0:3 (0:2). ლეგენდარულმა პელემ შეხვედრის 24-ე წუთზე გახსნა ანგარიში. ფეხბურთის მეფემ წამიერად შეაფასა მის შესახვედრად გამოჭრილი მეკარის მოძრაობა. უცბად აღიქვა მისი პოზიცია და ბურთი იქით გაგზავნა, საითაც ვიქტორი არ ელოდა – 1:0. ეს მხოლოდ პელეს შეეძლო. ეს იყო ერთადერთი გაშვებული გოლი, რომლის გაშვებისთვისაც ბანიკოვი სირცხვილს არ გრძნობდა. როგორც სამი წლის წინათ მისგან სატელეფონო საუბრისას შევიტყვე, პელე და ბანიკოვი იმ მატჩიდან 35 წლის შემდეგ, 2000 წელს, კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად უკვე ფიფას კონგრესზე, როგორც თავიანთი ქვეყნების საფეხბურთო თავკაცები. აღმოჩნდა, რომ პელეს ახსოვდა ის მატჩიც და ის გოლიც, „ლუჟნიკებში“ რომ გაიტანა. მეორე ტაიმში კარში ანზორ კავაზაშვილი ჩადგა. ლეგენდარულმა ბრაზილიელმა მასაც „უსახსოვრა“ ერთი გოლი, 67-ე წუთზე, მოულოდნელად, შორიდან, თითქოსდა მოუხერხებელი პოზიციიდან.

ვიქტორს ფეხბურთთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია. იგი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გუნდის უფროსი მწვრთნელი და გუნდის უფროსი იყო. 1991 წელს კი, დამოუკიდებელი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გახდა, რითაც დიდად ამაყობდა.

სამწუხაროდ, იმიერში გადასახლდნენ ფეხბურთის ვარსკვლავები: სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, გივი ჩოხელი, ლევ იაშინი, ალბერტ შესტერნიოვი, იგორ ნეტო, ედუარდ სტრელცოვი, ავთანდილ ღოღობერიძე, ლეონიდ ოსტროვსკი. განუმეორებელი მწვრთნელები: გავრილ კაჩალინი, ვიქტორ მასლოვი და სხვები.

ყველა მათგანთან სხვადასხვა დროს საათობით მისაუბრია, ზოგთან ვმეგობრობდი კიდეც. ორი წლის წინათ მათ ვიქტორ ბანიკოვიც შეუერთდა. იგი 2001 წლის 25 აპრილს აღესრულა.

... მიმდინარე წლის 28 აპრილს მას 65 წელი შეუსრულდებოდა.

**ნუგზარ მჭედლიშვილი.**

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## კულტურისტები

**საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის სამუშაო პროგრამაში საჭიდის გარდა კულტურიზმის განვითარებაც არის გამიზნული. მიუხედავად იმისა, რომ მისი აღორძინება დიდ ფინანსურ პრობლემებს უკავშირდება, მონდომებისა და ენთუზიაზმის ხარჯზე ჩვენმა ათლეტებმა თითქმის შეუძლებელი შეძლეს და სადღეისოდ საკმაოდ სოლიდურ ძალას წარმოადგენენ.**

კულტურიზმს ათლეტიზმის ფედერაციაში ვიცეპრეზიდენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნაზი გოგიშვილი კურირებს. იგი ძალისხმევას არ იშურებს ამ სახეობის სათანადო დონეზე წარმოსაჩენად.

პირველ სურათზე ქალბატონ ნაზის ახალგაზრდა კულტურისტ დავით ჯუკაშვილთან ერთად ვხედავთ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი დღევანდელი გამოშვების სტუმრები დავით ჯუკაშვილი (სურ. 1), ელიზბარ ბერიშვილი (სურ. 2) და გიორგი არეშიძე (სურ. 2,3, 4) ათლეტურ კლუბ „გოლიათში“ აღიზარდნენ. მათი მწვრთნელია საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი უჩა ქორიძე – ათლეტი, რომლის მიერ დამყარებული რეკორდებიც თითქმის ოცი წელია, რაც სამამულო მიღწევათა ნუსხას ამშვენებს. საგულისხმოა, რომ არანაკლებ დაოსტატებული კულტურისტები ჰყავს ზოგიერთ სხვა კლუბსაც და მათ მომავალში შეძლებისდაგვარად გაგაცნობთ.

დღეს გთავაზობთ რამდენიმე კულტურისტულ პოზიციას (დგომას).

**1. ორმაგი ბიცეპსის ჩვენება წინიდან (სურ. 2).**

**2. ორმაგი ბიცეპსის ჩვენება ზურგიდან (სურ. 3).**

**3. ზურგის უგანიერესი კუნთების ჩვენება (სურ. 4).**

**ზურაბ ჭავჭანიძე.**
ნაზი გოგიშვილის ფოტო.









ცხოვრების ჯანსაღი წესი

# კისრის ტანვარჯიში

**როდესაც ცხოვრების ჯანსაღ წესზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ ტანის სიმრთელეს, გამძლეობას, მოქნილობას, სიმკვირცხლეს და კიდევ... სილამაზეს.**

სილამაზემ, ხომ იცით, უნდა გადაარჩინოს სამყარო და მას მოვლა-შენარჩუნება უნდა, თუნდაც უბრალო ვარჯიშით. მაგალითად, თუ გსურთ, რომ თქვენი კისერი ლამაზი და მოქნილი იყოს, გირჩევთ, რამდენიმე მარტივი ვარჯიშის ხშირ-ხშირად (შეძლებისდაგვარად) შესრულებას. კისრის კომპლექსური ვარჯიშები ამაგრებს მის კუნთებს და ხრტილებს, კისერს და ყელს უფრო ლამაზად და მოხდენილად აყალიბებს. ეს ვარჯიშები შეიძლება ჩავთვალოთ ერთგვარ პროფილაქტიკურ საშუალებად „მეორე“ ნიკაპის (ღაბაბის) წარმოქმნის წინააღმდეგ. კომპლექსში თვითმასაჟის ელემენტების გამოყენება კისრის ტყავს იცავს ნაადრევი სიბერისაგან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამეთუ იგი ადრე ბერდება, ვიდრე პირსახის კანი. წინასწარ გაფრთხილებთ, რომ ამ ვარჯიშებმა, თუ დინჯად და მშვიდად არ შეასრულეთ, შეიძლება თავბრუსხვევის შეგრძნება გაგიყინოთ, ამიტომ ყველა მოძრაობა შეასრულეთ 4-6-ჯერ, აუჩქარებლად.

1. თავის მიბრუნებ-მობრუნება მარცხნივ და მარჯვნივ.

2. თავის დახრა მარცხნივ და მარჯვნივ.

3. თავის დახრა წინ და უკან.

4. თავის მოძრაობა წინ და უკან.

5. თავის ტრიალი დახრილი და აწეული მხრებით.

6. ნიკაპის რბილი მასაჟი საკუთარი ხელით.

მოცემული ნახატებით თქვენ ადვილად მიხვდებით, რომ ვარჯიშები უბრალო და მარტივია, მისი შესრულება ადამიანს შეუძლია შინ თუ სამსახურში წლის (დღის) ნებისმიერ დროს. ეს არის მხოლოდ, ვარჯიშები უნდა შეასრულოთ სისტემატურად და მალე იგრძნობთ თქვენი ცხოვრების წესის სიკეთეს.




**ანზორ ბასილაია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ნუთუ...

# „ამიერიდან ფეხბურთელები... დათვალეთ!“

**ეს თითქმის დაუჯერებელი ისტორია ინგლისში მოხდა. არა იმ პროფესიულ ლიგაში, რომელიც ოთხ ჯგუფში 88 გუნდს ითვლის. გარდა ამ შეჯიბრებისა, ინგლისში გარკვეულ ინტერესს საგრაფოების ჩემპიონატებიც იწვევენ.**

კენტის საგრაფოს პირველობაზე კლუბი „სეტინგტონი“ მაინცდამაინც როდი ბრწყინავდა. მეტიც – იგი უკანასკნელ ადგილზე მიჩანჩალებდა და თუ საქმე ასე გაგრძელდებოდა, საგრაფოს პირველობის ნაცვლად ქალაქის ჩემპიონატში უნდა ეთამაშა. ცხადია, გუნდის მწვრთნელი ედი სმითი ძალიან ცუდ ხასიათზე იყო. სხვა რომ არა იყოს რა, კლუბის დირექტორის ეშინოდა. ადრე წარმატება აღუთქვა, ახლა კი...

ისე კი, რომ ვთქვათ, სმითი მართლაც მოხსნის ღირსი იყო. გულშემატკივრები თამაშს მრავლად ესწრებოდნენ, ანდა სხვა რა გზა ჰქონდათ, ეს რომ „არსენალის“ ან „ლივერპულის“ შეხვედრა ყოფილიყო, მაშინ კიდევ შეიძლებოდა მატჩისათვის ტელევიზიით თვალყურის დევნება. აბა, „სეტინგტონის“ თამაშს რომელი ტელევიზია გადასცემდა! და ეს ერთგული მაყურებლები, გუნდის თამაშს ესოდენ რომ განიცდიდნენ, მუდამ ნაწყენნი და აღელვებულნი სტოვებდნენ სტადიონს. ყველაზე მეტი, ცხადია, მწვრთნელს ხვდებოდა. ზოგჯერ თვლიდნენ, რომ მის მოთამაშეებს ფიზიკური მომზადება აკლდათ, ვინ ტაქტიკურ შეცდომებს ხედავდა, ვინ – მეტოქეთა დაუფასებლობას. წაგება წაგებას მოსდევდა, მოთმინების ფიალა ივსებოდა.

ედი სმითს ისე გაუფუჭდა გუნება, რომ მატჩის დღეებს შიშით ელოდა. ხშირად იგი თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ ინგლისში უხდებოდა მუშაობა და არა, ვთქვათ, იტალიაში. იტალიაში ამდენს ვინ მოუთმენდა. დამპალ ხილსა და გაყინულ კარტოფილს დაუშენდნენ და მარტო ამასაც არ დასჯერდებოდნენ. სმითი თვალყურს ადევნებდა სპორტულ პრესას და კარგად ახსოვდა, როგორ სამარცხვინოდ გააძევეს მილანის „ინტერნაციონალედან“ „ფეხბურთის ჯადოქრად“ წოდებული ელენიო ერერა.

სანამ „ინტერი“ იტალიის ჩემპიონი იყო, „ტიფოზები“ მისი ქების მეტს არაფერს აკეთებდნენ. როდესაც მილანელებმა ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვეს, ერერამ დიდი ფულადი ჯილდო მიიღო, „საკონტინენტთაშორისო თასის“ მოპოვების შემდეგ მილანელებისათვის რომ გეთქვათ, ერერა გუნდს სტოვებსო, ჩხუბს აგიტეხდნენ. და საკმარისი გახდა ერთი შედარებითი მარცხი იმისათვის, რომ ერერა გუნდიდან გაეძევებინათ. დაივიწყეს ადრინდელი დამსახურება. კლუბის რეზიდენციასთან გამოაკრეს და დიდხანს არ ხსნიდნენ უზარმაზარ პლაკატს: „ერერა გარდაიცვალა!“

შემდეგ ტურში ედი სმითის „სეტინგტონი“ „რეინჰემს“ ეთამაშებოდა. თამაშისთვის მომზადებისას, სმითმა თავის ფეხბურთელებს ერთხელ კიდევ აუხსნა ახალი ტაქტიკური სისტემის არსი, მეტი ყურადღება და შეუპოვრობა მოსთხოვა.

„სეტინგტონისა“ და „რეინჰემის“ მატჩი დაიწყო. „რეინჰემი“ უფრო ძლიერ გუნდად ითვლებოდა. იგი საპრიზო ადგილს უმიზნებდა და, როგორც იტყვიან, ორი ქულა სატურნირო ცხრილში წინასწარ მიითვალა. სმითი ამ დღეს ჩვეულებრივზე თავშეკავებული, თითქმის სევდიანი იყო, მოკლედ რომ ვთქვათ, თამაშისგან კარგს არას ელოდა. იგი „სეტინგტონის“ კარის სიახლოვეს ჩამოჯდა. საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა ორიოდე სიტყვის თქმა მოთამაშეებისათვის, თუმცა, მსაჯები ასეთი „დიალოგების“ წინააღმდეგნი იყვნენ. ზოგჯერ საქმე იქამდე მიდიოდა, რომ მწვრთნელებს პოლიციელთა დახმარებით სტადიონიდან მიაბრძანებდნენ ხოლმე.

და აი, წუთი წუთს მისდევდა. მოედანზე ძნელად დასაჯერებელი ამბები ხდებოდა. „სეტინგტონის“ ფეხბურთელებმა ზედიზედ ორი ბურთი გაიტანეს.

მწვრთნელი აღტაცებას ვეღარ ფარავდა.

– ეჰ, რას ნიშნავს, რომ ჩემებს გულით სურთ თამაში! ნეტავი ადრე ექნათ ასე. რა სწრაფად დარბიან, გამეტებით იბრძვიან, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოსდა მეტოქეებზე მეტნი იყვნენ.

შესვენებისას სმითმა შეაქო თავისი ფეხბურთელები და თანაც ხუმრობით დაუმატა, ისე თამაშობთ, თითქოს მეტნი ხართო.

კაპიტანმა როგორღაც უცნაურად შეხედა მწვრთნელს, მაგრამ არაფერი უთქვამს.

დაიწყო მეორე ტაიმი.

ეშმაკმა წაიღოს, მართლაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მეტნი არიან მოედანზე. ოთხი, შვიდი, თერთმეტი... ჰოი, საკვირველებავ! მეთორმეტე კარში იდგა. სმითმა მოწინააღმდეგის მწვრთნელს შეხედა. იგი ყურადღებით ადევნებდა თვალს თამაშს, მაგრამ რაიმე საგანგებო მღელვარებას როდი ამჟღავნებდა. ეს მწვრთნელი თანდათან გახალისდა – მისმა მოთამაშეებმა ანგარიში გაათანაბრეს.



სმითი კი კვლავ თავის მოთამაშეებს თვლიდა. არა, ყველაფერი აშკარა იყო, ისინი თორმეტნი თამაშობდნენ.

– რაშია საქმე, დონ, – ჰკითხა სმითმა თავის კაპიტანს.

კაპიტანმა ჩაღუნა თავი.

– როდესაც თქვენ აგვიხსენით, როგორ უნდა ახალი სისტემით თამაში, მე მაშინვე მივხვდი, რომ აქ რაღაც ეშმაკობაა.

ცხადი იყო, კაპიტანმა სასტიკად აურია და... სმითს მკვდრის ფერი დაედო. ამ დროს მას მეტოქის გუნდის მწვრთნელი მიუახლოვდა.

– ედი, დღეს შენები ბრწყინვალედ თამაშობენ. მე ხანდახან მეჩვენება, თითქოს ისინი მეტნიც კი არიან.

– კი არ გეჩვენება, ასეა! ჩემები მეტნი არიან!

– როგორ?

– დათვალე და ნახავ!

„რეინჰემის“ მწვრთნელმა დათვალა მოთამაშეები და აღშფოთდა.

– ედი! მე თვით მიყვარს ხუმრობა, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტია. ახლა პროტესტის დაწერაც კი არ შემიძლია. თუ გაიგეს, რომ მე ეს მეორე ტაიმის ბოლოს აღმოვაჩინე, მასხრად ამიგდებენ.

– აი, რა იულ, – თქვა სმითმა, – აქ, ცხადია, ჭადრაკს არ ვთამაშობთ, მაგრამ მაინც ყაიმს გთავაზობ. მსაჯს კი წერილი გავუგზავნოთ, სწრაფად დაამთავროს, ვიდრე მაყურებელი შეამჩნევდეს.

როდესაც გაზეთ „დეილი მეილის“ კორესპონდენტმა, რომელმაც ეს ისტორია აღწერა, განმარტებისთვის კენტის საგრაფოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მიმართა, ასეთი პასუხი მიიღო:

– ჩვენ საჩივარი არ მიგვიღია მსაჯისაგან, არც მწვრთნელების, ფეხბურთელებისა და მაყურებლებისაგან... ისე, რომ დოკუმენტური საბუთი არა გვაქვს გავარჩიოთ საქმე. მაგრამ, რადგანაც ზოგიერთმა ჭორმა ამ თამაშის შესახებ ჩვენამდე მოაღწია, ამიერიდან მსაჯებსა და თანამსაჯებს მითითება მივეცით, ფეხბურთელები... დათვალონ.

ფეხბურთი

## ერაყი დაუშვეს

ბოლო 13 წლის მანძილზე პირველად ერაყი მიიწვიეს ფეხბურთის ჩემპიონი კლუბების საერთო არაბულ ჩემპიონატზე, – პრესისათვის ასეთი განცხადება გააკეთა არაბეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უსმან ალსაადმა. მისი თქმით, ფედერაცია აანაზღაურებს ავიაბილეთების ღირებულებას, ხოლო მასპინძელი ქვეყანა – ეგვიპტის კლუბი „ზამალეკი“ გადაიხდის ერაყელი ფეხბურთელების დანარჩენ ხარჯებს.

ჯერჯერობით ერაყის მხოლოდ ერთმა საკლუბლო კლუბმა – ყოფილმა „სადამ ჰუსეინმა“ – განაცხადა თავისი აღდგენისა და სახელის შეცვლის შესახებ – ამიერიდან მას „ალ-ჰურია“ („თავისუფლება“) ეწოდება. ქვეყნის სამხრეთით, ქალაქ უმ-კასრში არსებულმა ამ კლუბმა ამ დღეებში მადრიდის „რეალისაგან“ მიიღო საჩუქარი – ფეხბურთის ფორმების კომპლექტი, ბურთები და სხვა ინვენტარი.

ავტორბოლა

## მოტოციკლეტზე ნუ დაჯდებიო...

უზრძანეს „ფორმულა-1“-ის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე გუნდის „უილიამსის“ პილოტს ხუანპაბლო მონტოიას. ასეთი გადაწყვეტილება კოლუმბიელი მრბოლის მენეჯერმა მას შემდეგ მიიღო, რაც ამერიკული რბოლის „ინდი-500“ წინადღეს ავარიაში მოხვდა იტალიელი დარიო ფრანკიტი. ორივე პილოტის საქმეებს ერთი და იგივე სამენეჯერო გუნდი განაგებს. თავად მონტოია ამ კვირაში სერიოზულ ავარიაში მოხვდა სელვერ სტოუნის ტრასაზე, სადაც მისი გუნდი ტესტებს ამუშავებდა, და ის ყველაზე სერიოზული იყო კოლუმბიელი პილოტის კარიერაში. ის მძიმე ტრავმებიდან იხსნა HANS-ის დაცვის ეფექტურმა სისტემამ.

28 წრის შემდეგ საუკეთესო დროში მიმავალმა კოლუმბიელმა თავის მანქანაზე კონტროლი დაკარგა და საბურავების ღობურს შეასკდა. მართალია მანქანას ბორბალი და ანტიფრთა მოწყდა, მაგრამ თავად მონტოია უვნებლად დარჩა. თუმცა ბოლიდის ნამსხვრევებიდან მის ამოყვანას მთელი 10 წუთი დასჭირდა.

## ცინცხალი ამბები

**რუსეთის ფეხბურთის ნაკრების მწვრთნელის ვალერი გაზაევის განცხადებით თბილისში 30 აპრილს დაგეგმილ მატჩში ტრავმის გამო მონაწილეობას ვერ მიიღებენ რუსეთის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები ანდრეი სოლომატინი და სერგეი ოკჩეინიკოვი. მათ ნაცვლად ძირითად ნაკრებს ახალგაზრდული გუნდის წევრები შეცვლიან.**



**ანდრე აგასიმ ავსტრიელ ჩოგბურთელ იურგენ მელცერთან აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს, რათა საჩემპიონატო რბოლაში ATP-ის კლასიფიკაციაში მან პირველობა მოიპოვოს. საოცარია ის ფაქტი, რომ ამ სერიაში აგასის მაინც პირველი ადგილი უკავია, მაგრამ ადრინდელი რეიტინგით იგი მეორე ადგილზე იყო. უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელ სეზონში აგასიმ 22 შეხვედრიდან 21-ში გამარჯვება მოიპოვა.**

ყოველი მხრიდან

## კაფელნიკოვი – ჩოგბურთელი თუ მეგოლფე?

**ცნობილი რუსი ჩოგბურთელი ევგენი კაფელნიკოვი დანიშნეს ვიცე-პრეზიდენტად რუსეთის... გოლფის ასოციაციაში.**

„ჩვენი არჩევანი გამოჩენილ ჩოგბურთელზე შემთხვევით როდი შეჩერდა, – განაცხადა ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ალექსი ნიკოლაევმა. – კაფელნიკოვი, დიდი ხანია ცნობილია როგორც გოლფის თაყვანისმცემელი და ენთუზიასტი. თანაც არაერთხელ უთქვამს, რომ ბედნიერი იქნება, თუ მისი ქალიშვილი სპორტის ამ სახეობას აირჩევს. მწამს, რომ ახალ თანამდებობაზე კაფელნიკოვი ყოველმხრივ შეუწყობს ხელს რუსეთში გოლფის პროპაგანდას და განვითარებას“.



## პნევმონიის შიშით

**ჩინელმა მძლეოსნებმა უარი თქვეს იაპონიის ოსაკაში „გრან-პრის“ სერიის შეჯიბრებებში მონაწილეობაზე, ჩინეთში გავრცელებული ატიპური პნევმონიის მიზეზით.**

შეჯიბრების ორგანიზატორების სახელზე გაგზავნილ წერილში ჩინეთის მძლეოსანთა ფედერაცია აცხადებს, რომ სპორტსმენებმა თავად მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება, რათა საფრთხე არ შეუქმნან ტურნირის სხვა მონაწილეებს.

## უთანხმოება აღმოიფხვრა

**ჭიდაობის მოყვარულთა გასახარად, თავისუფალ ჭიდაობაში ირანის ნაკრები მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც სექტემბერში ნიუ-იორკში გაიმართება.**

როგორც ირანის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა მოჰამედ რეზა ტალეკანიმ განაცხადა, მოწესრიგდა ირანისა და აშშ ფედერაციებს შორის არსებული ყველა პრობლემა. თავის მხრივ, ამერიკელები ივნისში ჩავლენ ირანში საერთაშორისო ტურნირზე.

შეგახსენებთ, რომ აშშ ნაკრები შარშან მოჭიდავეთა უსაფრთხოების მიზეზით არ მონაწილეობდა მსოფლიო პირველობაში, რომელიც თეირანში გაიმართა. ხოლო მსოფლიო თასის წინ, რომლის გათამაშება 5-6 აპრილს გაიმართა ბოისაში (აიდახოს შტატი), აშშ-ში მიგრაციის სამსახურმა გამოაცხადა, რომ აპირებს ირანელი სპორტსმენების შემოწმებას, თვით თითების ანაბეჭდების აღების ჩათვლით, რის გამოც ირანის ჭიდაობის ფედერაციამ საპროტესტო წერილი გაუგზავნა საერთაშორისო ფედერაციას (FILA) და რადგანაც პასუხი ვერ მიიღო, აუკრძალა თავის მოჭიდავეებს მსოფლიო თასზე გამოსვლა.

## ფეხბურთელის ცოლი – შიშველი?

**ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბრიტანული კინო-სერიალის „ფეხბურთის ცოლების“ გმირი ქალი უახლოეს ხანში დაამშვენებს მამაკაცთა ჟურნალის გარეკანს.** ფოტოსერიაში, რისთვისაც ზოია ლაკერს 30 ათას გირვანქა სტერლინგს ჰპირდებიან. რასაკვირველია, ის გახდილი გამოჩნდება.

თუმცა, მსახიობ ქალს ჯერ ხელი არ მოუწერია კონტრაქტზე, მაგრამ საგონებელში კია ჩავარდნილი „იმაზე ფიქრით, რომ ათასობით მამაკაცი დამაშტერდება, თქვა 29 წლის ზოიამ, – მე მაწითლებს. ამასთან არ ვიცი, თუ რას იტყვის ამ იდეაზე ჩემი საქმრო“.

ლაკერის ერთ-ერთი დაქალი დარწმუნებულია, რომ ბოლოს მსახიობი მაინც დათანხმდება კამერის წინ სტრიპტიზზე.

ისიც უნდა ითქვას, რომ თავად სერიალში ზოიას გმირი პარტნიორებს ხელთათმანებივით იცვლის, საწოლიდან საწოლში რომ დახტის.



სპორტის რედაქცია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მოსაგონარი

# თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ...

**კიდევ ერთხელ დაგვიდგა ქრისტიანთა ჭეშმარიტი დღესასწაული – აღდგომა, რომელსაც ხსოვნის სევდიანი დღე მოსდევს. და როდესაც ამ პატარა მოსაგონარის დაწერა გადავწყვიტე, უნებურად გამახსენდა ნეტარხსენებული ზაურ ბოლქვაძის ლექსი, რომლის ერთი ტაეპი, მცირეოდენი პერიფრაზირებით, სათაურადაც გამოვიყენე, რადგან საოცრად ეხმიანება ჩემს სათქმელს:**

**„გადაუარა ბალახმა
საფლავს — სიცოცხლის წერტილს,
შენ ჩვენთვის როგორ არა ხარ,
ჩვენ აღარა ვართ შენთვის“.**

**ჩემს მეხსიერებაში, სხვა უამრავ საყვარელ და ღირსეულ ადამიანთან ერთად, მართლაც მუდამ იცოცხლებს იმ სამი ჭეშმარიტი მოქალაქის ნათელი ხსოვნა, რომლებიც დღეს რამდენიმე დამახასიათებელი შტრიხით მსურს გავიხსენო და, რომელთაც თავიანთი უმაღლესი პროფესიონალიზმით, საქმის ერთგულებითა და ცოდნით, სისპეტაკითა და პატიოსნებით, მათთვის ორგანულად დამახასიათებელი უამრავი დადებითი თვისებით უდიდესი წვლილი აქვთ შეტანილი არა მარტო ჩემი, არამედ ქართველ ჟურნალისტთა თაობების აღზრდა-დაკვალიანებასა და მოქალაქედ ჩამოყალიბებაში.**

**...მათთან ერთად ერთ კურიოზის მაგვარ ამბავსაც გავიხსენებ, ისინი ხუმრობით ხშირად რომ შემახსენებდნენ ხოლმე...**


დავით გამეზარდაშვილი (მარცხნივ) და დავით მჭედლიშვილი.

## მარნეული, „ბორჯომი“ და... „კომუნისტი“

უცებ გაირბინა სტუდენტობის ოქროს პერიოდმა.

ბოლო სახელმწიფო გამოცდაც ჩავაბარეთ. წარჩინებით კურსდამთავრებულებს დიპლომებიც საზეიმოდ გადმოგვცეს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში...

მაინც არ გვეთმობა ალმა-მატერის ქათქათა კედლები და შეჩვეული ნათელი აუდიტორიები, საუცხოო ბაღი, სადაც თითქმის ყოველდღიურად, ერთმანეთთან შეუთანხმებლად, ვიკრიბებით აწ უკვე ყოფილი თანაჯგუფელები.

ერთხელაც ნაცნობი ლაბორანტი მეუბნება, ბატონი დავით გამეზარდაშვილი გიბარებსო.

შევდივარ სიმკაცრითა და მომთხოვნელობით ცნობილ, მაგრამ, იმავდროულად, სტუდენტისადმი საოცრად გულისხმიერ კათედრის გამგესთან.

კრთომას რომ მამჩნევს, დაძაბულობის განსამუხტავად შინაურულად, ლამის თანატოლივით მესაუბრება. მერე ბარათს მაწვდის – პარტიის ცეკაში, პრესის სექტორის გამგესთან მიხვალ, მარნეულში რაიგაზეთის რედაქტორის მოადგილის ადგილია თავისუფალი და გაგესაუბრებიანო.

სიმართლე გითხრათ, კათედრის გამგის მიერ ჩემდამი გამოჩენილი ყურადღება უფრო მესიამოვნა (მაშინ კათედრაზე კურსდამთავრებულთა სამუშაოზე განაწილების პრაქტიკა არ არსებობდა), ვიდრე შემოთავაზებული წინადადება.

მივედი ცეკაში, შევხვდი სექტორის გამგეს, და როდესაც A-3 ფორმატის ოთხგვერდიანი რაიგაზეთი მაჩვენეს, დავრწმუნდი, რომ სამუშაოდ მარნეულში არ წავიდოდი.

მეორე დილით, შეთანხმებისამებრ, ბატონ დავითს ვეახელი პასუხის მისატანად.

– არა, კაცო, მაინც რა იყო წუხანდელი სუფრა. უცხოელები რომ არ გვყოლოდნენ სტუმრად, ასეთ სიცხეში ამდენის დალევა შეიძლებოდა? – გვერდით მჯდომ გაოფლილ მამაკაცს ეუბნება ბატონი დავითი, თან სკამისკენ მანიშნებს, დაჯექიო, და ჩაციებულ „ბორჯომს“ ხსნის.

– მართლაც, დალოცვილი წყალია, ძმაო, ეს კურთხეული, – ამბობს ჭიქის გამოცლის შემდეგ.

– მაშ, მარნეული დამიწუნე, არა? – მერე მე მომიტრიალდა.

უხერხულად ვუდასტურებ, – კიმეთქი.

– ბორჯომი მოგწონს? – მეკითხება უცებ.

არ ვიცი, მისმა შინაურულმა კილომ გამათამამა, თუ რა იყო, – „პახმელიაზე“ მართლაც კარგიამეთქი, – წამომცდა.

ამას რეაქცია მოჰყვა, ვაი შენს რუსლანს!..

– ამ გაგანია სიცხეში ამისთვის თავს ვიტკიებ, ამან კიდევ ჯერ მარნეული დამიწუნა, ახლა კი, ბორჯომის რაიგაზეთის რედაქტორობის მოადგილეობა რომ მინდა შევთავაზო, ღადაობა არ დამიწყო, კაცო? – ჭიქიდან ამოსროლილი „ბორჯომის“ შხეფები მიმიქარავს, ისეთი ნაპერწკლები დააკვესა თვალებიდან ბატონმა დავითმა.

უფრო იმის შეგრძნებით, რომ ჩემთვის ერთობ პატივსაცემ ადამიანს ჩემდა უნებურად ვაწყენინე, ვიდრე მოულოდნელი ზაფრის გამო, სახსრებში თითქოს დავიშალე.

ნაცნობმა ლაბორანტმა თვალით მანიშნა, კაბინეტიდან გადიო.

გამოვლასლასდი საკუთარ თავსა და „ენამახვილობაზე“ გამწყრალი.

პირველ სართულზე ის ლაბორანტი წამომეწია, – ბატონი დავითი ხვალისთვის გიბარებსო...

– „პახმელიაზე“ ხომ არა ხარ, ყმაწვილო? – ღიმილით მამხნევებს მეორე დილით მის კაბინეტში შესულს ბატონი დავითი და „ბორჯომს“ მთავაზობს. მერე კარგა ხანს მესაუბრება და, ბოლოს, კონვერტს მაწვდის, – ეს ჩემი სარეკომენდაციო წერილი „კომუნისტის“ რედაქტორს დავით მჭედლიშვილს მიუტანე, გელოდებაო.

იხ. მე-16 გვ.

მემკვიდრეობა

**საბედნიეროდ, საქართველოში უამრავი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება იმისა, რომ ღირსეულ მამებთა შვილები არა მარტო ღირსეულად განაგრძობდნენ და განაგრძობენ, არამედ კიდევ უფრო ამდიდრებენ საუკეთესო ოჯახურ ტრადიციებს, წინაპართა ნაანდერძევ-ნაამაგარს. დღევანდელი პუბლიკაციით ერთი ასეთი ქართული ოჯახის თავკაცზე – ლევან მესხიაზე მოგითხრობთ. მის ვაჟზე, ღვაწლმოსილ პედაგოგსა და საუცხოო ადამიანზე ორდენ მესხიაზე კი ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში გამოვაქვეყნებთ წერილს.**

# მიუსაფარი,

## ანუ რეპრესირებულთა სოფელი

საქართველოს უმშვენიერესი რაიონია წალენჯიხა. აქედან არიან ცნობილი მოღვაწენი: ლეო ქიაჩელი, ნიკოლოზ შენგელაია, ტერენტი გრანელი, ეგნატე ფიფია, შოთა მესხია.

წალენჯიხის ცენტრიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს ულამაზესი მთაგორიანი სოფელი ობუჯი. ის ჩემი დედულეთია და კარგად ვიცნობ იქაურებს. დღეს მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო ერთ იქაურ ცნობილ პიროვნებაზე – ლევან მესხიაზე, რომლის შესახებ საქართველოს სატელევიზიო ფილმების კომპანიამ ფილმიც კი გადაიღო („მიუსაფარი“), რისთვისაც ობუჯელები დიდად ემადლიერებიან სტუდიას.

იმის გამო, რომ ლევან მესხიას მიზეზით სუკი მისი ოჯახის გარდა, მთელ სოფელსაც არბევდა და აწიოკებდა, ლევან მესხია 1930 წელს გაუჩინარდა...

ბატონ ლევანს უმაღლესი განათლება არ მიუღია, მაგრამ ჰქონდა ღმერთისგან მომადლებული ნიჭი და უყვარდა წიგნი. მთელი მისი აზრი მიმართული იყო იქითკენ, რომ დახმარებოდა თანასოფლელებს. სოფლის მდინარეზე გადო რამდენიმე უსაყრდენო ხიდი, რაც ერთობ იაფი ჯდებოდა. ხალხს უჭირდა ოდასახლის სახურავისთვის თუნუქის შოვნა, ხოლო ყავარი დიდხანს ვერ ძლებდა. ლევანმა გადაწყვიტა კრამიტის ქარხანა აეშენებინა. ამ საქმეში თანასოფლელები ეხმარებოდნენ. ჯერ 3 მეტრის რადიუსის ბორბალი ააწყვეს, რომელზეც მიმაგრებულ კიბეებს წყალი ეცემოდა და ბორბალს ატრიალებდა. მასზე მიმაგრებული ღერძი კი წითელ თიხას ზელდა, რომელიც შემდეგ ყალიბში გადადიოდა და კრამიტიც იჭრებოდა. ამის შემდგომ, სველ, ნედლ კრამიტს აშრობდნენ და შეჰქონდათ გამოსაწვავ ქურაში. რამდენიმე საათში კრამიტი მზად იყო.

ეს ქარხანა პირველ ქართველ მფრინავს ქებურიას უნახავს და გაოცებულა. მან ურჩია თურმე ბატონ ლევანს, გამოეცვალა ყალიბი. შემდეგ თვითონვე, საკუთარი ინიციატივით, ჩამოუტანია მისთვის ყალიბი მარსელიდან.

ქარხანამ ულამაზესი კრამიტის მასიური გამოშვება დაიწყო. ღარიბ მოსახლეობას თითქმის უფასოდ აძლევდნენ, ხოლო სხვებს – შეღავათიან ფასებში. საიდან არ მოდიოდნენ შესაძენად: გურიიდან, იმერეთიდან... მოკლედ, საქართველოს რამდენიმე მხარის ოდასახლები ამ კრამიტით გადაიხურა. ხალხმა ამოისუნთქა.

საქართველო რამდენიმე წლის გასაბჭოებული იყო, ლევან მესხიას რომ დაუწყეს შევიწროება: „რამდენს ბედავსო“, „რას პარპაშობსო“, „ვინ მისცა ამის უფლებაო“... მილიციელთა ოპერაციები გახშირდა ობუჯში. ლევან მესხიაც იძულებული გახდა, დამალულიყო, გადახვეწილიყო. 1937 წელს დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს მისი მეუღლე, სადაც იგი გარდაიცვალა კიდეც. დაიჭირეს და გადაასახლეს ეჭვმიტანილი თანასოფლელები, რომლებიც ეხმარებოდნენ ქარხნის მშენებლობაში. ყოველი მათგანი გულაგში აღმოჩნდა. სახლში არავინ დაბრუნებულა. ლევან მესხიას დარჩა 5 შვილი: ერთი ქალიშვილი და 4 ვაჟიშვილი. ქალიშვილი იმ არეულობის დროს ხანძარმა იმსხვერპლა...



ზემოთ ვთქვი, რომ დედაჩემს ხშირად დავყავდი ამ მშვენიერ სოფელში. მე და იქაური ბავშვები თითქმის მთელი დღეები ვბურთაობდით, ცხენებით ვჯირითობდით, ჭანისწყალზე ვბანაობდით... მოკლედ, როგორც იტყვიან, ცა ქუდად არ მიგვაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ამ ბავშვებში გამორჩეულად მიყვარდა ლევან მესხიას უმცროსი შვილი ორდენ მესხია (შემდგომ ფიზიკის პედაგოგი, რომლის აღზრდილი ბავშვები დღეს უცხოეთში ფიზიკის ბირთვულ განყოფილებებში მოღვაწეობენ). ერთ-ერთი ბურთაობის შემდეგ ორდენმ შემიყვანა თავის სახლში, სადაც ლომი შემომთავაზეს. შუა სადილის დროს მოულოდნელად შემოვიდა უცნობი მამაკაცი, რომლისთვისაც თეთრ გრძელ წვერს და შავ თვალწარბს უცნაურობის დაღი დაესვა.

ორდენმ გამაცნო, – მამაჩემიაო. ისე დავიბენი, ჭამა შევწყვიტე. რამდენიმე დღე გაოგნებული დავდიოდი.

ლევანის არსებობა თითქმის მთელმა სოფელმა იცოდა, მაგრამ არავის არ გაუცია.

ასეთი სოფელი ქების ღირსია.

ლევან მესხია 1964 წელს, ე. ი. მისი გაუჩინარებიდან 34 წლის შემდეგ გარდაიცვალა. შვილებმა და ახლო მეზობლებმა ინკოგნიტოდ, ღამის 4 საათზე გაუთხარეს სამარე ვენახში.

დღეს ის სოფლის მთავარ სასაფლაოზეა დაკრძალული და მის მემორიალს, რომლის დადგმაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის წალენჯიხის რაიონის მაშინდელ გამგებელს დავით ქანთარიას, ამშვენებს წარწერა: აქ განისვენებს საქართველოს ღირსეული შვილი ლევან გუჯას ძე მესხია. 1888-1964 წწ.

ცხოვრება გრძელდება. ობუჯელები ყურადღებას არ აკლებენ საფლავებს და ფიქრობენ, მომავალში აქვე აშენდეს მცირე ზომის ეკლესია წინაპართა სულების მოსახსენებლად.

ლევანის შვილებიდან მხოლოდ ორდენ მესხია აგრძელებს აქტიურ ცხოვრებას. მას წელს დაბადებიდან 75, ხოლო პედაგოგიური მოღვაწეობიდან 55 წელი შეუსრულდა.

დიდი ხნის სიცოცხლეს ვუსურვებთ ამ ღირსეულ მოქალაქეს და მის შესანიშნავ ოჯახს. ღმერთი იყოს მათი მფარველი.

**კარლო ღლონტი.**

**სურათზე: ამ სახლში ცხოვრობდა ლევან მესხია.**

ინფორმაცია

### ძალოვანთა სააღდგომო მენიუ

**სააღდგომოდ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სადღესასწაულო მენიუ შედგა. ქვეყნის ყველა სახეობის სამხედრო ნაწილში, სააღდგომო ტრადიციის თანახმად, წითელი კვერცხები და პასკა შეიტანეს. როგორც „ინტერ-პრესს“ თავდაცვის სამინისტროში აცნობეს, სამხედრო ნაწილები 2500 კილოგრამამდე პასკით და 20 ათასამდე კვერცხით მომარაგდება.**

**სააღდგომო მენიუ იქნება ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში და საქართველოს სასაზღვრო ძალებშიც. გარდა ამისა, ტრადიციული წითელი კვერცხებისა და პასკის გარდა, ჯარისკაცების სუფრას სხვა სადღესასწაულო სადილებიც შეავსებს.**

### საერთაშორისო მრავალეროვნული წვრთნები

**უზბეკეთის ქალაქ ფერგანაში გუშინ ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო მრავალეროვნული წვრთნები „ფერგანა-2003 დაიწყო.**

**წვრთნებში ნატოს წევრი და პარტნიორი 22 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. ქართულ მხარეს სწავლებაზე შსს საგანგებო სიტუაციების სამმართველოს მაშველთა 12-კაციანი ჯგუფი წარმოადგენს.**

**წვრთნების მიზანია ძლიერი მიწისძვრის, ან სხვა სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაცია და ამ პროცესში სხვადასხვა ქვეყნის სამაშველო სამსახურებს შორის ურთიერთთავსებადობის მიღწევა.**

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

„სევდის ბალს შეველ...“

# რანაირად იცხოვრა, რანაირი გზნებით!..

როდესაც პალატაში შევედი, გურამ დუდუჩავა მარტო დამხვდა. მომღიმარი, ახოვანი, ოდნავ შეშუპებული ქუთუთოებით, შუბლზე ჩამოყრილი შავი ქოჩრით. ლურჯი სპორტული კოსტიუმი აცვია. არ ჯდება, ისე მესაუბრება, გარეგნულად მშვიდი ჩანს, მაგრამ ვატყობ, რომ შინაგანად ღელავს.

— ხელ-ფეხ ათრეულს, ინვალიდს ხომ ვერ წამომიდგენ? — მეკითხება ღიმილით, თან მარცხენა მკლავდაშვებულმა ფეხათრევით გაიარა.

— კარგი, თუ ძმა ხარ, ღმერთმა დაგიფაროს!

— ჰოდა, გურამჩიკ, ამიტომ გადავწყვიტე ოპერაციის გაკეთება! მააშ! ხვალ დილით მიკეთებენ. თაზო და ნუგზარი არ შეგხვედრია? ორი წუთის წინ გავიდნენ.

— მე ლიფტით ამოვედი, ალბათ გზაში ავცდით ერთმანეთს.



— მერე, ხომ იცი, მაგარი პური უნდა ვჭამოთ!

— შენ კარგად იყავი. ეგ ადვილი საქმეა.

... პირველად გურამი თავისი, კარგარეთელის ქუჩის ბოლოს ვნახე, კინო „ოქტომბრის“ წინ. მომწვანომონაცრისფერო „ველვეტის“ ხალათი ეცვა. ზურაბ წერეთელს ესაუბრებოდა. ზურაბს კარგად ვიცნობდი, ჟურნალ „დროშის“ რედაქციაში, ზურაბ ლეჟავასთან ხშირად მოდიოდა.

მივედი, მივესალმე, მოვიკითხეთ ერთმანეთი.

— ძმებო, ყველაზე ახლოს მე ვცხოვრობ, ერთი „შტოფი“ სუფთა ღვინოც მაქვს. ჰოდა, ავიდეთ ჩემთან, დედაჩემიც სახლშია.

ავუყევით ქუჩას, რკინის ალაყაფიან პატარა ეზოში შევედით. მარჯვნივ, პირველ სართულზე, აივნის გავლით ოთახში შევაბიჯეთ.

დეიდა რაისა ირონიული ღიმილით გვეგებება: რაო, არ მოგეწონათ კინო?!

— არა! ეს კინო სჯობს! — პასუხობს ზურა და ხმადაბლა ქირქილებს.

... ოთახის ფანჯრები გზის პირას, კლარა ცეტკინის ქუჩაზე გამავალი ტრამვაის ხაზთან ახლოს გადის. გაჩერებაც აქვეა.

ვიდრე სუფრა იშლება, ქუჩას გავცქერი — რამდენიმეჯერ ხრიგინით ჩაიარეს ვაგონებმა.

ხალისიანი განწყობილებაა. გურამი შესანიშნავ ხასიათზეა. ქალბატონი რაისა გვახალისებს მახვილგონიერებით და საოცარი იუმორით.

— რაისა! — ხშირ-ხშირად მიმართავს დედას გურამი — აი, მალე დავამთავრებ უმაღლესს, დავიწყებ მუშაობას, ფულიც გვექნება და დედოფალივით გაცხოვრებ.

— შენ მეყოლე შვილო კარგად, მე ახლაც მშვენივრად ვგრძნობ თავს!

ხან ზურას ეხმიანება:

— შენ კი სახელოსნოს აგიშენებ, გარეთ გამოსული არ გნახო! დაჯექი და იმუშავე!

— კარგი რა ტო, კარგი, რა! — ეცინება ზურაბს.

მასპინძლებს დავემშვიდობე.

გარეთ რომ გამოვედი, გურამი გამომყვა — გაგაცილებო.

— ტროლეიბუსით არ წახვალ? — მკითხა, როდესაც ტრამვაის ხაზისკენ ავუხვიე.

— არა, არა, როგორც შენთან, ასე ჩემი სახლის წინ, ზედ ფანჯრებთან ჩაივლის ეს ნომერი, ამიტომ მაწყობს ამით მგზავრობა.

... ბოლო ვაგონში ავედი, უკანა ბაქანზე რკინის ხარიხას დავეყრდენი, — ვხედავდი, ვაგონი რომ დაიძრა, გურამი ღიმილით მიქნევდა ხელს.

... დიდი სიკეთით, სიყვარულით გასხივოსნებული იყო გურამ დუდუჩავა, ნამდვილი რაინდი. მისი კეთილშობილება განსაკუთრებით მაშინ გამოჩნდა, როცა ცხოვრებაში მტკიცედ დადგა ფეხზე. ვინც ახალგაზრდობაში ხელი გაუმართა, შემდგომ მას ათმაგად სცა პატივი.

ირაკლი აბაშიძის ერთი ლექსის პერეფრაზირებას თუ მოვიშველიებთ: „ათ ადლზე ჰქონდა გაშლილი მკლავი, ის იყო ძმობის გული და თავი!

საძმო კი, მართლაც, სამაგალითო ჰყავდა — ქალაქში გამორჩეული ცნობილი პიროვნებები.

საქმეში ერთგული და თავდადებული იყო: მეგობრობისა და გატანის დიდად სწამდა, თავად მეტად სანდოსა და საიმედოს. გურამს სხვა ბევრი თვისებაც ჰქონდა მისეული.

... სასტუმრო „საქართველო“ ახლადგახსნილი იყო. მშვენიერ, ნათელ სვეტებიან დარბაზში შევედით და მარცხნივ, კედელთან, კუთხეში დავსხედით. ცოტა ხნის შემდეგ, ჩვენზე უფროსი ასაკის რამდენიმე კაცი შემოვიდა და ჩვენი მაგიდის გვერდით მოთავსდა.

ხანი გავიდა. შევამჩნიე, რომ გურამი ხშირ-ხშირად მეზობელ სუფრისკენ იყურება, მოუსვენრობა დაეტყო.

— მოხდა რამე? — ვეკითხებით.

— აგერ იმ შავჯემპრიანს ხომ ხედავთ? ყმაწვილი რომ ვიყავი, ხუთი მანეთი წამართვა! — გვითხრა, თან თვალს არ აშორებს მეზობელ მაგიდას.

— რაღა დროს მაგის გახსენებაა?! — ვამშვიდებთ.

არ მოიშალა, წამოდგა და მიუახლოვდა გვერდით მსხდომთ. დავიძაბეთ.

— გამარჯობათ! — ცივად მიესალმა მესუფრეებს.

— გაგიმარჯოს! — ახედეს დაუპატიჟებელ სტუმარს.

— გახსოვს, კარგარეთელზე, ხუთი მანეთი, რომ წამართვი? — ახალა შავჯემპრიანს.

— რა ხუთი მანეთი, რის ხუთი მანეთი, შარზე ხარ?

— შარზე კი არა ვარ, სინამდვილეს გეუბნები. დამიბრუნე ჩემი ხუთი მანეთი, — მტკიცედ მოითხოვა გურამმა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. შავჯემპრიანი წამოდგა და ფული გაუწოდა.

გურამი მაგიდასთან დაჯდა და ფული თეფშზე დადო.

დაეკარგა ელფერი სუფრას, ერთ ხანს მაინც შევრჩით იქაურობას.

როცა წამოვიშალეთ, გურამმა ხუთმანეთიანს რაღაც თანხა დაუმატა, და მეზობლებს მიუბრუნდა — არაფერი გეწყინოთ, თქვენი სუფრა გადახდილია!

... ვაკის სასაფლაოზე დავკრძალეთ! უკან ხმაამოუღებლად გამოვბრუნდით. სასაფლაოს ახლოს ტრამვაი პატარა სკვერს წრეს უვლიდა და ქალაქისკენ ეშვებოდა.

ღრჭიალით ჩამიარა ტაატით მიმავალმა ვაგონმა. უკანა ბაქანზე ავედი. დავდექი და ხარიხას დავეყრდენი, როგორც იმ დღეს, როცა პირველად გავიცანი გურამი.

ამჯერად ხელს აღარავინ მიქნევდა!

**გურამ გომართელი.**

მოსაგონარი

# თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ...

(მეთხუთმეტე გვერდიდან)

## ათი საათი, „ქეიფი“ და... მოდა

— ხვალ საღამოს ათი საათისთვის გიბარებს ბატონი დავითიო, — მითხრა რედაქტორის კაბინეტიდან გამოსულმა პირადმა მდივანმა, რომელმაც კათედრის გამგის სარეკომენდაციო წერილი შეუტანა ხელმძღვანელს.

— რატომ საღამოს ათ საათზე, როდესაც სამუშაო უკვე დამთავრებულია? — შენობიდან გამოსულს მეც მიკვირს და ჩემს „საბალელშიკოდ“ მოსულ კურსელებსაც (მაშინ რა ვიცოდით, რომ ნამდვილი მუშაობა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, გაზეთის „კეთება“ — აქ სწორედ საღამოს ათი საათის შემდეგ იწყებოდა და ხშირად დილის ხუთ-ექვს საათზეღა მთავრდებოდა, ზოგჯერ კი ნომრის მორიგენი რედაქციიდან პირდაპირ სახაშეშიც წავსულვართ).

— ვიცი, რატომაც, ათი საათი ათასმანეთიან ქეიფს ნიშნავს, — დარწმუნებული კილოთი არღვევს დუმილს ჩემი „ყოვლისმცოდნე“ ინგილო ძმაკაცი ლევარსან ყულოშვილი.

ზოგიერთები არ ეთანხმებიან. მეც, ცხადია. მერე ლევარსანი სხვებს არწმუნებს და მეც მიყოლიებენ, — ასეაო.

დათქმულ დროს მივედი რედაქციაში.

— კი, მე შენ გეტყვი, ბიჭიკო, — მიმართავს პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგეს ალექსანდრე ზურაშვილს რედაქტორი, — ძალიან გვიქებს ჩემი სეხნია ამ ყმაწვილს. წაიყვანე, გამოსცადე და, თუ გამოგვადგება, შენთან მივიღოთ, გიორგი ზუკაკიშვილის ადგილზე...

რამდენიმე წერილის მომზადება დამავალა ბატონმა ბიჭიკომ. შემაქო, — ახალბედის კვალობაზე კარგად მოგიმზადებიაო. მერე საკუთარი წერილის დაწერაც დამავალა. ისიც მომიწონა.

მიხარია შექება, მაგრამ, ქეიფს რა ვუყო? რედაქტორი ისეთი მკაცრი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს... ისევ ბატონ ბიჭიკოსთან უნდა ვცადო ბედი.

ერთხელაც, მორიგი მასალა რომ ჩავაბარე, — ახლა ძალიან ცხელა, წადი სოფელში, ცოტა დაისვენე, მშობლებიც მოინახულე და, რომ ჩამოხვალ, შენი საკითხიც მერე გადავწყვიტოთო, — მეუბნება ბატონი ბიჭიკო.

ან ახლა, ან არასოდეს, — ვფიქრობ ჩემთვის.

ვერ გავბედე.

მეორე დღეს, შაბათს, ბატონი ბიჭიკო ნომრის მორიგე უნდა ყოფილიყო.

— არ წასულხარ მშობლებთან? — გაკვირვებულმა შემომხედა.



ალექსანდრე ზურაშვილი.

არაფერი მიპასუხნია. ხელი გულისჯიბისკენ წავიღე, რომელშიც საქეიფო ფული მედო...

— რა იყო, გული ხომ არ გაწუხებს? — გამომცდელად მიყურებს.

— არა ისე... — გაგანიაში ცივად გაოფლილ შუბლს ცხვირსახოცით ვიწმენდ და ვხვდები, რომ ბატონმა ბიჭიკომ რაღაც იგუმანა.

გაუნძრევლად ვზივარ. განყოფილების გამგე ბოლთას სცემს.

— თუ მართლა ფიქრობ, რომ არაფერი ისე, უბრალოდ, ადამიანურად და დამსახურებისამებრ არ კეთდება და აუცილებლად ანგარებაა საჭირო, ეს შენი კი არა ჩვენი, უფროსი თაობის ბრალია, — ისედაც ცუდ მდგომარეობაში მყოფი კიდევ უფრო მეტ უხერხულობაში რომ არ ჩამაგდოს, ძალიან წყნარად და თბილად მეუბნება ბატონი ბიჭიკო, — ჰოდა, ახლა სხვა რამეებზე ფიქრს თავი დაანებე და საქმეს მიხედეო, — გამამხნევებელი ღიმილით მსუბუქად მარტყამს მერე ხელს ბეჭებზე, საიდანაც თითქოს უზარმაზარი ტვირთი მომხსნეს.

რედაქციიდან გახარებული გამოვედი, რომ ლევარსანის „წინასწარმეტყველება“ არ ახდა.

მას კი იხტიბარიც არ გაუტეხია. — ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა, მაგრამ სამსახურის დაწყებისთვის „მაღარიჩი“ ხომ უნდა გეკისრა, ამიტომაც გაშოვნინე ფულიო, — ნირშეუცვლელად მითხრა.

„გადარჩენილი“ ფულით, მამაჩემის ხარჯზე, თანაჯგუფელებმა მართლაც ვიქეიფეთ და ახალნასტუდენტარი უკანასკნელ მოდაზეც გამოვეწყვე.

## „რუსი მოდის“ და... რუსია

რედაქციის შტატში ახალი ჩარიცხული ვიყავი, რედაქტორმა რომ გამომიძახა: — ცაგერში უნდა წახვიდე, მივლინებით, რაიკომის პირველ მდივანს უკვე ველაპარაკე. წყალტუბოს რკინიგზის სადგურში ხვალ დილით ამა და ამ ნომრის წითელი „ნივა“ დაგხვდებაო, — მითხრა.

ჩავედი.

ბაქანზე გამოსულმა შევამჩნიე წითელი „ნივა“. მანქანის წინ მდგომი ორი მამაკაცი საუბრობდა.

მივესალმე და მძღოლი ვიკითხე.

— მე გახლავართო, — თავაზიანად დამიბრუნა სალამი ერთ-ერთმა.

— ცაგერში ხომ არ მიბრძანდებით?

— კიო, — ღიმილით მომიგო.

— მაშ, წავიდეთ, — ვუთხარი და მანქანაში ჩასაჯდომად მოვემზადე.

— კი ბატონო, წავიდეთ, მაგრამ უფროსობის დავალებით ვიღაც რუსს ველოდები, მე იმისი ასე და ისე, თორემ თქვენ როგორ არ წაგიყვანდითო, — მითხრა.

როდესაც გაიგო, რომ ის „რუსი“ მე ვიყავი, წახდა კაცი.

მერე მთელი გზა მეხვეწებოდა, ცაგერში ამას ნურავისთან იტყვით, თორემ თავი მომეჭრება. ისიც მეყოფა, წუხელ მთელი ღამე იმაზე ფიქრით თითქმის რომ არ მეძინა, — ორი ღერი რუსულის მცოდნემ ამხელა გზაზე იმ უცხო კაცს რა და როგორ ველაპარაკო-მეთქიო, მეუბნებოდა. ახლა უფროსობას პასუხი როგორ მოვთხოვო, თორემ სულ მაგათი ბრალია. რომ ვკითხე, მაინც რა გვარია ის კაცი, ვისაც უნდა დავხვდე-მეთქი, რუსიაო, მითხრეს...

თუმცა მთლად მათი კი არა, ჩემი ბრალიც არის. ვინ მექაჩებოდა ენაზე, რომ თქვენი გვარი მეკითხა. არა, ნამდვილად მხოლოდ ჩემი ბრალია, თორემ უფროსობა და, მით უფრო, თქვენი მშვენიერი გვარი არაფერ შუაშიაო, თავს იმართლებდა.

— ცაგერში ამ ამბავს მართლაც ხომ არავის ეტყვითო, — შიგადაშიგ შემახსენებდა ხოლმე და, უკვე მერამდენედ, სიცილით რომ დავპირდებოდი, — არა-მეთქი, — თქვენ აგაშენათ ღმერთმა და თქვენი გვარი დალოცოს გამჩენმაო, — გახარებული მეტყოდა.

ამდენი ლოცვა რუსიების გვარს, არა მგონია, მას შემდეგ ვინმესგან რგებოდეს.

მეც ხომ შევუსრულე თხოვნა — ეს ლამის ოცდაექვსი წლის წინანდელი ამბავი დღემდე სახალხოდ არ მითქვამს.

თანაც, რაც მთავარია, იმ მძღოლის, მართლაც კარგი ადამიანის, გვარი არც დღეს მიხსენებია.

**რუსლან რუსია.**

ლექსი

ჯანო ჯანელიძე

## დამსხვრეული ფრთები

არეთა კვიციანის ხსოვნას

შე ბეთქილის ჯილაგო და
შე ბეთქილის ჯიშო,
შენი კოშკი თეთნულდს მოჰგავს
და იალბუზს მიჯობს.

შენც გიყვარდა შენდა ბედად
მზე, სვანეთის მთები
და დაგემსხვრა უცაბედად
სიყვარულის ფრთები.

ვუვლი შენი კოშკის კარებს
და სურნელით ვთვრები,
მოცურდება თეთრი მთვარე
და წამიღებს ფრთებით.

და წამიღებს სადღაც, უფსკრულს,
იქ, სვანეთის მთებში,
დაქანცულს და მთლად გაწუწულს
სიყვარულის თქეშით.

მეც ხომ შენი ჯიშისა ვარ,
მშვენის შენი ფრთები,
მივდევ მე შენს წესს და ადათს,
მიყვარს შენი მთები.

ბეთქილივით წადი შენაც,
მისი ბედისწერის,
შუბლზე ვიღამ დაგაწერა
სისხლიანი წელი?!

ოქროსთმება ტირის დალი,
მოთქვამს ლამარია,
მოჩანს შენი კოშკის კარი,
ვით ჭრილობა ღია.

ვით ამოსვლა თეთრი მთვარის,
ჩვენც შევხვდებით ოდეს,
თუმცა გწამდეს, შენებრ სვანი
კვდება არასოდეს.

თეთნულდივით თეთრი სულით,
შე ბეთქილის ჯიშო,
ფლიდ კაცებთან, აქაურის,
შენთან ეოფნა მიჯობს.

17.02. 2003 წელი. ბორჯომი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## პირველი გენერალი ქალი

# ნაბიჯით იარ, ირინა!

**21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერა იუსტიციის მინისტრის როლანდ გილიგაშვილის წარდგინებას ირინა იმერლიშვილის, ზურაბ ეზუგბაიასა და გიორგი წკრიალაშვილისათვის იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გენერლობის მინიჭებას. ირინა იმერლიშვილი პირველი ქალი გენერალი გახდა. ამიტომაც ამ სამი ახალგაზრდა გენერლიდან სწორედ იგი გამოვარჩიეთ.**

**— ქალბატონო ირინა, რა გზა განვლეთ გენერლობამდე?**

— ჩემი მშობლები პროფესიით ბიოლოგები არიან. სკოლის დამთავრების შემდეგ მეც ბიოლოგიურზე ჩავაბარე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკოლოგიის სპეციალობით დავამთავრე. მეორად სპეციალობად ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე. ისიც წარმატებით დავამთავრე, იურისტობაზე მაშინ, საერთოდ, არ ვფიქრობდი.

ბიოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში ჩემი საკურსო და სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელი იყო ქალბატონი ნანა ნემსაძე, რომელიც პარალელურად პარლამენტში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მუშაობდა. ეს კომისია აქტიურად თანამშრომლობდა მაშინდელ მწვანეთა ფრაქციასთან. იდგა 1995 წელი. პარლამენტში მუშავდებოდა ახალი კანონპროექტები. ქალბატონი ნანას მიწვევით მე ვმონაწილეობდი ამ კანონპროექტების განხილვებში, საკომიტეტო მოსმენებში, შემდეგ მივიღე შემოთავაზება ამ კომისიაში მუშაობის დაწყების თაობაზე. მაშინ მე ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი და ამ წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი.



ირინა იმერლიშვილი.

ახალ პარლამენტში საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსად წავედი. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც მთელი საკანონმდებლო ბაზა ძირფესვიანად შეიცვალა, დაიწერა ახალი კოდექსები. მე ვიყავი ამ ყველაფრის მომსწრე და მონაწილე. ვიცოდი რომელი მუხლი როგორ ჩამოყალიბდა, რატომ მიიჩნია საკანონმდებლო ორგანომ მისი არსებობის საჭიროება და ა. შ. სწორედ ამ ყველაფერმა მიბიძგა იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარებისაკენ. როდესაც მიხეილ სააკაშვილი პარლამენტიდან იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა, მე მოადგილედ წამიყვანა. სააკაშვილის მინისტრობიდან წასვლის შემდეგ, მისმა ყველა მოადგილემ დავწერეთ განცხადება თანამდებობიდან გათავისუფლებაზე, მაგრამ ბატონმა როლანდ გილიგაშვილმა, რომელიც მე პარლამენტიდან მიცნობდა, თავის მოადგილედ დამტოვა.

**— როგორ ფიქრობთ, რა დამსახურებისთვის მოგანიჭეს გენერლის წოდება?**

— საერთოდ, ეს წოდება შეიძლება მიენიჭოს იუსტიციის სამინისტროს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, იუსტიციის საბჭოს, პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლებს. როდესაც მინისტრი წარდგინებას აკეთებდა მის სამ მოადგილეზე, იქ იყო კიდეც დასაბუთება ჩვენი საქმიანობის შესახებ. პირადად მე ვკურირებ ნოტარიატის დეპარტამენტს, შესაბამისად, ნოტარიუსთა პალატას, ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრს, სამინისტროს საკადრო საკითხთა დეპარტამენტს და ამავდროულად ვარ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე. ალბათ, სწორედ ამ საკითხებში ჩემი მუშაობის შესაბამისად მინისტრმა საჭიროდ ჩათვალა ჩემზე წარდგინების გაკეთება, რასაც პრეზიდენტიც დაეთანხმა.

**— რამდენად მოულოდნელი იყო თქვენთვის ამ წოდების მინიჭება?**

— ვიცოდი, რომ მინისტრი როლანდ გილიგაშვილი გენერლობის მინიჭების თაობაზე ჩემს კოლეგებთან ერთად ჩემს კანდიდატურასაც წარუდგენდა პრეზიდენტს, მაგრამ არ მეგონა, რომ ყოველივე ასე სწრაფად მოხდებოდა. ამ საკითხზე ჯერ უშიშროების საბჭოს უნდა ემსჯელა, უნდა ჩატარებულიყო სხვა პროცედურებიც და შემდეგ ან დააკმაყოფილებდნენ, ან — არა. ნანატრ ხუთდღიან შვებულებაში ბავშვებთან ერთად ბაკურიანში ვიყავი, როდესაც მინისტრმა დამირეკა და მითხრა, რომ წარდგინებას ბატონმა პრეზიდენტმა ხელი უკვე მოაწერაო. ძალიან გამიხარდა. მოულოდნელი კი უფრო ის იყო, რომ პირველი ქალი გენერალი გავხდი. მე მეგონა, რომ გენერლის წოდება უკვე ჰქონდა საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს მაია მწარიაშვილს, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ქალბატონი მაია პოლიციის პოლკოვნიკი ყოფილა.

**— ასეთი მძიმე სამუშაო რეჟიმის და ამხელა წოდების მქონე ქალბატონი როგორ უძლებს საოჯახო დატვირთვას?**

— ძალიან ცოტა დრო მრჩება ჩემს შვილებთან — 2 წლის მიხეილთან და 1 წლის ნატალიასთან თამაშისა და ურთიერთობისათვის. რაც არ უნდა დაღლილი მივიდე სახლში, მათ დანახვაზე უცებ ხალისი მემატება. ჯერ პატარები არიან და საღამოთი მალე იძინებენ. თითქოს მიჩვეული არიან ჩემს მძიმე რეჟიმს. დილით, სამსახურში წამოსვლისას, არასოდეს მეტირებიან, უბრალოდ, ხელს დამიქნევენ და დამთავრდა ყველაფერი!

**— გიზიდავთ თუ არა საოჯახო საქმიანობა?**

— ძალიან მიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი, რასაც მიუხედავად ჩემი დატვირთვისა, მაინც ვახერხებ. როგორც ამბობენ, არც ისე ცუდი მზარეული ვარ.

**— როგორ ეგუება თქვენი მეუღლე ცოლის გენერლობას?**

— ქართველი კაცისათვის ცოტა ძნელი საქმეა ცოლის გენერლის წოდებასთან შეგუება. ჩემი მეუღლე შალვა ბებოშვილი, რომელიც თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსად მუშაობს, წოდებით უმცროსი ლეიტენანტია, თუმცა ამბობს, რომ ოჯახში თვითონ მარშალია და ჩემი ეს წოდება მას ხელს არ უშლის. ალბათ, ოჯახის დანარჩენი წევრებიც ამაყობენ ჩემით, ყოველ შემთხვევაში, ჩემი თანდასწრებით ამას არ გამოხატავენ.

**— რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში გენერლის წოდების მინიჭების შემდეგ?**

— მართალი გითხრათ, არაფერი! მომავალში რა იქნება, არ ვიცი. დღესდღეობით ამ ყველაფერს ვერანაირ ცვლილებას ვერ ვამჩნევ, გარდა იმისა, რომ ძალიან ბევრი ადამიანი მილოცავს. ბუნებრივია, ჩემთვისაც ძალიან სასიხარულო და მეტად საპასუხისმგებლოა პირველი ქართველი ქალის გენერლობა.

ესაუბრა
**ლელა ხვადაგიანი.**

## ჩაუმქრალი ვარსკვლავები

# ჩემი ამაყი მარტოობა

**რუბრიკის პრემიერა**

— თქვენ დროს არ ეპუებით, ქალბატონო ლიანა, — ხელებს ვუკოცნი ლიანა ასათიანს.

ჩემი მასპინძელი, ცხადია, იფერებს ქათინაურს, ცერადაჭრილ ულამაზეს თვალებში შუქი უდგება, ჭეშმარიტად თავადური სახის ნაკვთები სასიამოვნოდ ეხსნება.

— კარგით ერთი... აი, აქეთ მობრძანდით...

ამ სახლში, ამ ოთახში ერთ-ორჯერ ნამყოფი ვარ. საბედნიეროდ, შევხვედრივარ ჩვენს დაუვიწყარ პიროვნებასა და კომპოზიტორს გუგული თორაძეს და, რაც მთავარია, ვირტუოზ ლექსოს... მას შემდეგ აქ ლექსოს „კულტი" გაძლიერებულა — კედლები, თაროები, როიალის სახურავი ლექსოს სურათებითაა მოფენილი: ლექსო — მსოფლიოს უდიდეს საკონცერტო დარბაზებში, ლექსო — თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული, ლექსო — გამოჩენილ მუსიკოსებთან ერთად, ლექსო — დედასთან ერთად... აი, აგერ სურათი დასთან — ნინოსთან, რომელიც ამჟამად ლონდონში ცხოვრობს და შესანიშნავი ოჯახი აქვს.



ლიანა ასათიანი.

— ისე, გამორჩეულ ადგილასაა ეს შენობა — მთელ რუსთაველის მოედანსა და „ზემელს" „აკონტროლებს", ვერისუბანსაც გადაჰყურებს... თან სიმყუდროვე, სიმშვიდე... — ვამბობ ჩემთვის.

— იცით, რა რომანტიკული ისტორია აქვს მელიქ კაზარიანცის აშენებულია... — წარბები აზიდა ქალბატონმა ლიანამ.



ლიანა ასათიანი შვილებთან ლექსოსთან და ნინოსთან ერთად.

— მელიქ კაზარიანცის ცნობილი სახლი ხომ, აგერ, გადაღმაა — „ზემელზე".

— ისიც არის, მაგრამ, ესეც არის... დაბრძანდით, მოგიყვებით...

### მელიქ კაზარიანცისა და პოლონელი ქალის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი

— „ზემელზე" მელიქ კაზარიანცს თავისი უზარმაზარი სახლი რომ დაუმთავრებია, ცენტრალური გათბობის მასალებისთვის პეტერბურგს გამგზავრებულა. იქ, ერთ მშვენიერ საღამოს, ულამაზესი პოლონელი ქალი გაუცვნია. დაახლოებულან. ცნობილი ვაჭარი რამდენჯერმე კიდევ ჩასულა პეტერბურგში (უფრო ამ ქალის გამო) და, ერთხელაც, საყვარელი თბილისში გადმოსვლაზე დაუთანხმებია. საგანგებოდ მისთვის ეს სახლი აუშენებია და მზეთუნახავივით აცხოვრებდა თურმე. ერთხელაც, მშვენიერი ქალბატონი ავად გამხდარა, მოუყვანიათ ექიმი — გამოწკეპილი, თვალ-ტანადი სამხედრო, ავადმყოფსა და ექიმს ერთმანეთი გულში ჩავარდნიათ და, ბოლოს, საქმე იქამდე მისულა, რომ მელიქ კაზარიანცის უმშვენიერეს საყვარელს ამ ახალგაზრდა კაცთან ერთად ქალაქიდან გაპარვა განუზრახავს. ფული, ოქრო-ვერცხლი და ათასგვარი სიმდიდრე სამხედრო ექიმისთვის გაუტანებია სადგურზე და თვითონაც, ცოტა ხანში, ეტლით გაჰყოლია უკან, მაგრამ თავისი ახალი საყვარელი იქ აღარ დახვედრია. ოქრო-ვერცხლით დატვირთული ექიმი წასულა და წასულა...

სხვა რა გზა ჰქონდა, — მობრუნებულა მელიქ კაზარიანცის აშენებულ სახლში მოტყუებული ქალი, რაღა თქმა უნდა, ვაჭარს ყველაფერი გაუგია და ის გაუკეთებია, რომ, საერთოდ აღარ გაჰკარებია ქალს — იცხოვრე მანდ და იყავიო...

დარდს და ნაღველს აყოლილ ქალს, ერთ დღეს, მოსამსახურისთვის უბრძანებია, ბუხარი გამიჩაღეო, და მარტოდ დარჩენილს, ნახშირის კვამლით თავი გაუგუდავს.

— ნოველასავითაა არა?— სევდა უდგას თვალებში ჩემს მასპინძელს.

— მაშ... ქალბატონი ლიანა, თქვენ და ბატონი გუგული თავიდანვე აქ ცხოვრობდით?

— არა, ჯერ მარჯანიშვილზე ვიყავით, შემდეგ — ვაკეში, ბარნოვზე, ეგრეთ წოდებულ „ხელოვანთა სახლში", იქ დიდი სტუმრიანობა გვქონდა და ვიფიქრე, ასეთ ურეჟიმობაში მე შვილებს ვერ გავზრდი-მეთქი, თანაც გუგულის სიმყუდროვე სჭირდებოდა. ერთ დღესაც, ახლო მეგობარს გავუცვალეთ ბინა და, მას შემდეგ, სამოციანი წლებიდან, აქ ვცხოვრობთ...

— ცხადია, უამრავი თაყვანისმცემელი არც აქ მოგაკლდებოდათ. ხომ არ ეჭვიანობდა ბატონი გუგული? თუ, „გუგულივით კაცი" იყო...

— საეჭვიანო რა ჰქონდა, ჩვენ უზომოდ გვიყვარდა ერთმანეთი... 18 წლისა გავყევი ცოლად... ხანდისხან სცენებს კი აწყობდა, მაგრამ, მგონი, ეს უფრო პროფილაქტიკისთვის სჭირდებოდა... მძივივით ვკინძავდით ჩვენს ცხოვრებას. ზოგს რომ ეგონა, გუგული რძეში აბანავებს ცოლსო, ამ დროს ძალიან გვიჭირდა... არ იყო იგი შემტევი, უკაცრაული პასუხია, „მიმწოლი" კაცი, უამრავი დაუბეჭდავი რეცენზია მაქვს საქაღალდეში, რაც მის ოპერებს თუ ბალეტ „გორდას" მოჰყვა... შვილები იყო ჩვენი სახატე. მამიდაჩემის, ბრწყინვალე ქალის — ოლიმპიადა ასათიანის მაგალითს ვბაძავდი — მან ხომ ორი აკადემიკოსი (და, რა აკადემიკოსი!) — რეზო და თამაზ გამყრელიძეები გაუზარდა საქართველოს... საერთოდ, შვილები დედამ უნდა გაზარდოს, აქ გამორიცხულია — ბებია, ძიძა... ამის გამო ჩემი კარიერა ცოტა ჩრდილში მოექცა.

— მსახიობობა, როგორც ვიცი, ადრე დაიწყეთ, თეკლე პირველი როლია, არა?

— კი, პირველი როლია... სკოლის მოსწავლე ვიყავი, სამ წელიწადს იღებდნენ „გიორგი სააკაძეს", ფილმი დამთავრდა და მეც დავამთავრე სკოლა. ბედნიერება იყო — ბუმბერაზი მსახიობების გვერდით მიწევდა ყოფნა...

— შემთხვევით მოვიდა ეს ბედნიერება?

— სრულიად შემთხვევით. მეგობრებთან ერთად სადღაც ვიყავი, მგონი, თეატრში. შესვენებაზე ერთი ქალბატონი მომიახლოვდა და მითხრა, კინოში არ გინდა გადაღებაო?

რატომაც არა-მეთქი... წამიყვანეს მეორე დღეს კინოსტუდიაში, გადამიღეს სინჯები... თურმე უამრავ ახალგაზრდა ქალს ეცადა ბედი თეკლეს როლზე... მომიწონეს და ასე გავხდი საქართველოს დედოფალი — ლუარსაბ მეფის მეუღლე...

— და, უცებ გახდით „ვარსკვლავიც"...

— არ იყო მაშინ ასე... ახლა ყველა „ვარსკვლავია", ძალიან აჰყევით უცხოეთს... როცა გაფასებენ, გრძნობ, რომ ხალხს უყვარხარ, აბა, ამას, რა სჯობს, მაგრამ ქართულმა სამსახიობო ხელოვნებამ იმდენი „ვარსკვლავი" იცის, მე როგორ ავწევდი ცხვირს ზევით... სხვათა შორის, „გიორგი სააკაძის" გადაღების დროს მე უკვე დავრწმუნდი, რომ კინომსახიობობა არ არის მყარი პროფესია, სულ სხვაზე ხარ დამოკიდებული... ცხადია, იცით, რომ „გიორგი სააკაძეს" ომის პერიოდში იღებდნენ. ხალხს შიოდა, სციოდა...

იხ. მე-18 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ჩაუმქრალი ვარსკვლავები

# ჩემი ამაყი მარტოობა


ლიანა ასათიანი ფილმში „ჭერი".

(მეჩვიდმეტე გვერდიდან)

ვხედავდი, როგორ მოდიოდნენ ჩემი საყვარელი, სათაყვანო მსახიობები ბატონ მიხეილ ჭიაურელთან თხოვნით, სადმე მასობრივ სცენებში მაინც მათამაშეო, რათა ორი კაპიკი ჰონორარი აეღოთ... შეიძლება წლები გავიდეს და სამუშაო ვერ მიიღო... რამდენი უბრწყინვალესი, როგორც თქვენ ამბობთ, „ვარსკვლავი" წავიდა ამ ქვეყნიდან ისე, რომ სრულყოფილად მისი ვერც ნიჭი გამოიყენეს და ვერც გარეგნობა.

რა დამავიწყებს, თუმცა კარგა ხნის ამბავია: პლეხანოვზე, კინოსტუდიის საგრიმიოროში ვარ მეორე სართულზე. ვარდობისთვეა, გარეთ შესანიშნავი ამინდია. ერთი წუთით ფანჯარასთან მივედი, ვხედავ: ეზოში დგანან (მგონი რომელიღაც უცხოური ფილმის პრემიერა უნდა ყოფილიყო) ვერიკო ანჯაფარიძე, ნატო ვაჩნაძე, სესილია თაყაიშვილი, დუდუხანა წეროძე, თამარ ციციშვილი, მედეა ჯაფარიძე, დოდო ჭიჭინაძე, თამარ ბოლქვაძე, შურა თოიძე, ლია ელიავა... აქეთ — მამაკაცები: გიორგი შავგულიძე, თენგიზ არჩვაძე, ოთარ კობერიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გიორგი გელოვანი, ედიშერ მაღალაშვილი... ღმერთო, რა სილამაზე იყო!.. მსოფლიოს ნებისმიერ კინოსტუდიას დაამშვენებდა ეს ხალხი!.. ზოგი გულნაკლული წავიდა, ზოგი გულნაკლული დაბერდა... რას ვიზამთ... ამიტომ (ჩემს ახალგაზრდობას ვუბრუნდები) ჩავაბარე სამედიცინოზე და გავხდი თვალის ექიმი. მორჩა, არც რეჟისორზე ვიყავი დამოკიდებული და არც ოპერატორზე...

— და, მუშაობთ ამ სპეციალობით?

— ვმუშაობდი, თუმცა ხშირად ვაცდენდი სამსახურს, რადგან, მაინც მქონოდა კინოსტუდიასთან კონტაქტი. და, თუ იცით, რამდენი როლი მაქვს ნათამაშევი 60 წელიწადში? სულ 15-16...

— რა თქმა უნდა, ცოტაა, მაგრამ, სამაგიეროდ, თითქმის ყველა გამორჩეულია, განსაკუთრებით თავადის ქალი მაია...

— მეც ძალიან მიყვარს ეს როლი. ვფიქრობ, რომ აქ მეტ-ნაკლებად გამოჩნდა ჩემი სამსახიობო შესაძლებლობანი... თანაც ლეო ქიაჩელის ბრწყინვალე ნოველა იყო თავწყარო... ძალიან მშველოდა დამდგმელი რეჟისორი ლანა ღოღობერიძე, ოპერატორმა ლევან პაატაშვილმა ხომ პირდაპირ დახატა ყოველი კადრი...

* * *

ქმარ-შვილის სურათების გარემოცვაში, ლექსოსადმი, ნინოსადმი წერილების წერაში, დედის ფიქრებსა და ოცნებებში, ამ ცოტა ხნის წინათ, უცებ შესთავაზეს ახალი კინოროლი, ისეთი სახე, რომელიც, თითქმის, მთლიანად მოერგო ლიანა ასათიანის სულიერ მდგომარეობას — დედის მარტოობას. ჩვენმა უნიჭიერესმა კინორეჟისორმა რეზო ესაძემ უკვე დაამთავრა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჭერი", რომელშიც ლიანა ასათიანი მთავარ როლს — დედის როლს ასახიერებს.

— თქვენ ამ ფილმში ნახავთ სრულიად სხვა ლიანა ასათიანს, — მეუბნება რეზო ესაძე, — ნახავთ მის უსაზღვრო ნიჭიერებას, მოგაგონდებათ ბერგმანის ქალები რთული შინაგანი სამყაროთი... არ ვაჭარბებ, ეს მსოფლიო სტანდარტია. ქალბატონი ლიანა ასახიერებს დედას, რომელმაც არ იცის შვილის ასაკი, რადგან მისთვის შვილი უასაკოა... ეს არის ფილმი ახლო ყოფნის გაუცხოებაზე, ადამიანის სულიერ მარტოობაზე... ქალბატონ ლიანას ხომ, პრინციპში, ეს ბედი ერგო: შესანიშნავი შვილები, რომლებიც თავიანთთვის არიან, საყვარელი მეუღლე, რომელიც კარგა ხანია გამოეცალა... მე მეტს ვერაფერს გეტყვით: იმედია, მალე ნახავთ ფილმს და თავად შეაფასებთ ამ უბერებელი ქალბატონის სამსახიობო ოსტატობას".

... ძალიანაც კარგი. ერთი ვიცი: რეზო ესაძე ის კაცია, ტყუილ-უბრალოდ რომ არავის აქებს.

ვილენ მარდალეიშვილი.

ამბოხი სული

**ჩიტივით გაირბინეს წლებმა. ისე შეაბიჯა სამოცდამეათეში, თითქოს გუშინ იყო, უნივერსიტეტის ბაღში მოახლოებულ გამოცდებზე რომ ბჭობდნენ. თითქოს სულ ახლახან იყო, ახლადდაარსებულ გაზეთ „თბილისში" რომ მიიწვიეს. შემდეგ ცხოვრების ორომტრიალი, ოჯახი, მეუღლე, ბავშვები, გაზეთი და ტელევიზია, ცრემლი და სიხარული, სასოწარკვეთა და იმედი და ჯიუტი და უდრეკი ხასიათი რომ არა, ვინ იცის, სანდრო მამასახლისს, ცნობილ ქართველ ჟურნალისტსა და ფოტოხელოვანს, მოქალაქესა და მოღვაწეს ცხოვრება სად გამოსდებდა სარმას.**

**ეს მუდამ დაუდგრომელი და ახლისმაძიებელი კაცი სამოცდაათი წლის გახდა. რბილ სავარძელში ჯდომა და დითირამბების მოსმენა მისი ხელობა არ არის. დღემუდამ მოძრაობაშია — უნივერსიტეტი და თეატრალური ინსტიტუტი, კასპი და თბილისი, მოკლედ, მისი დაჭერა იოლი საქმე არ არის. ამიტომ გადავწყვიტე, ჩვენი გულისნადები და აზრი სანდრო მამასახლისზე, კოლეგასა და მეგობარზე, ერთ წერილში მოვაქციო და „საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველებთან ერთად, როგორც საიუბილეო ადრესი, ვუძღვნა.**

ლექციებს ვკითხულობ. მეგობრები „პერპეტუუმობილეს" მეძახიან. მეც პოეტის სტრიქონით ვუპასუხებ: „აგორებულ ქვას ვგავარ, ხავსი არ მეკიდება".

სანდრო მამასახლისთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. ამ გაზაფხულზე სოფელში ვეწვიე, ცივი, ცრიატი დღე იყო. სკამი მაგიდასთან დამიდგა, მაგიდაზე კი პური, მარილი, მწვანილი, მოხარშული კვერცხები და სოფლური არაყი მოიტანა. უცებ კარმა გაიჭრიალა და ოქროსფერი კატა შემოვიდა, ოთახი დინჯად გაიარა, სავარძელში მოხერხებულად მოეწყო და ვიდრე ვევბა რკინის ღუმელიდან წამოსული სითბო გააბრუებდა, მრავალმნიშვნელოვნად გადმომხედა — ამ სახლში მეც მეთქმის სიტყვაო. ეტყობა, ასეც იყო, რადგან სახლის პატრონი ნებიერას ნაზად მიეფარა და კატამ წინა თათებზე თავი რომ ჩამოდო და თვალებიც მილულა, მასპინძელმა ჩემთვისაც მოიცალა.

დიდხანს ვისაუბრეთ. მოგონებათა სკივრს თავი ავხადეთ და იქიდან ძველი, საინტერესო გახუნებულ-მივიწყებული ამბები ამოვალაგეთ.

სამამბო და მოსაყოლნარი მასპინძელს მართლაც ბევრი ჰქონდა.

სანდრო მამასახლისი ბუნებით მეამბოხე, ხასიათით კი ცოტა ახირებული კაცია. ამ თვისების წარმოჩენის გარეშე მისი პორტრეტი სრულყოფილი ვერ იქნებოდა. ალალი კაცის ჩაგვრას ვერ ეგუება, ჭაში ჩავარდნილს ბედის ანაბარად არ მიატოვებს. საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოთქმას მაშინაც კი არ ერიდებოდა, როცა არც საკუთარი აზრი უნდა გქონოდა და ჩუმადაც უნდა ყოფილიყავი. ამიტომაც „კაგებეში" ხშირად იბარებდნენ: შენ რა, კოლმეურნეობების წინააღმდეგ გამოდიხარო?! მთავრობაში ზოგიერთი ამხანაგი არ მოგწონსო?! როგორ გაბედე კანში ფოტოჟურნალისტების ნამუშევართა გამოფენაზე წასვლა, როცა „ნევიეზდნოი" ხარო და ა. შ.

რა თქმა უნდა, კეთილი მეგობრებიც ჰყავდა, ვინც რთული და ძნელი ცხოვრების გზაზე მის გვერდით იდგნენ და ტვირთს უმსუბუქებდნენ — გაჭირვებაში ეხიდებოდნენ.

* * *

მარტოხელა მგელივით, თავადაც არ იცოდა რისთვის, ძველი თბილისის მიხვეულ-მოხვეულებში დაეხეტებოდა. მურმან ლებანიძე შეხვდა.

— შევიდეთ, აგერ, სახინკლეში, დღეს ჩემი დაბადების დღეაო, — უთხრა სანდროს. შესულან.

მურმანს ჯიბიდან ლექსი ამოუღია: ამ დილით რიჟრაჟზე დავწერე, კიდევაც გიძღვნი და კიდევაც გჩუქნიო.

ის ლექსი სანდროს სოფელში, საწერ მაგიდაზე, მინის ქვეშ უდევს:

**„მე მივყვებოდი ჩემს დამეულ გორმახებს ცხენით,**
**უცბად... ტრიალი შემომესმა წყალგაღმა მგლების:**
**იწყებდა ერთი, ბანს ალევდნენ თვისტომნი დრენით**
**და საკვირველი გულზე მეცა თანხმობა ხმების...**
**და ვთქვი: — ოჰ, მურმან! შენ შენს ხრიოკს მიჰყვები კენტად,**
**შენ მარტო შესვამ საწამლავებს და ყველა შხამებს,**
**როცა მგლებიც კი, შე საბრალო, მგლებიც კი ერთად,**
**მგლებიც კი ერთად შეჰყმუიან ამ ზამთრის ღამეს.**

**მურმან ლებანიძე.**
28.VI.75".

* * *

კასპის ახალქალაქში დასახლებულ სანდრო მამასახლისს მამასახლისების 200-მდე ოჯახი დახვდა აქ. გაიხარეს სოფლელებმა — ცნობილი ჟურნალისტი, ჩვენი სისხლი და ხორცი ჩვენს გვერდით დასახლდაო. დატრიალდნენ, ეზო-კარი ქვა-ღორღისგან გაწმინდეს, ხე-ტყის დასამზადებლად სანდროსთან ერთად ტყეში დადიოდნენ, მერე, როცა სახლის მშენებლობა დაიწყო, კასპის რაიონის გამგეობა დაუდგა გვერდით — საშენებლო მასალებით დაეხმარა.

დიდად ემადლიერება რაიონის ამჟამინდელ გამგებელს ოთარ ჭეიშვილს: „თუმცა, ამ კაცს ვინ არ ემადლიერება", მითხრა.

დღეს ისეთი კარ-მიდამო აქვს ამ თბილისელ ფრანტს (მეგობრულად ვეხმიანები), რომ ბარეორი შენატრის. ეზოში ხეხილი ჩაყარა, ვაზი გააშენა, მოჰყავს პამიდორი, ხახვი, კარტოფილი, ნიორი...

თბილისში თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად ჩადის. სტუდენტები — მომავალი კინოოპერატორები და ფოტოხელოვნები თვეში ერთხელ პრაქტიკულ მეცადინეობებს აქ გადიან, სოფლად. საითაც გაიხედავ, მზე და სინათლეა, მთები და ტყეები, ჭალები და მინდვრებია, მოკლედ, სულო და გულო, შენ მხოლოდ ფოტოაპარატი მოიმარჯვე, შიგ ფირის ჩადება არ დაგავიწყდეს ოღონდ!

ვამთავრებ ჩემი მასპინძლის პორტრეტს თავისი სოფლის ფონზე. შტრიხები, ვიცი, რომ ძუნწია, არც თუ გამომსახველობითი საშუალებები მსუყე და ფერადი, მაგრამ რა ვქნა, ცხოვრებაში სანდრო მამასახლისიც ხომ ასეთია — არ უყვარს ბუტაფორია, ყალბი ღიმილი და გამოგონილი სიუჟეტები.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ" საკ. კორესპონდენტი.**
**კასპი-თბილისი.**

## პორტრეტი სოფლის პეიზაჟის ფონზე

სოფლის გზაზე ურემი მიჭრიალებს. გაზაფხულდა. ატმისა და ტყემლის კვირტები გაიფურჩქნა და ახლა საამო სანახავია გზის გაყოლებაზე აფერადებული ნაზმთრალი ხეები. ურემს ბიჭი მიუძღვის წინ, პაპა უკან მიჰყვება. ტყეში თუ მიდიან ფიჩხზე, დინჯად, მშვიდ მიაბიჯებს ბერიკაცი. ცას გახედავს, მიდამოს ათვალიერებს. უსაშველოდ გრძელი ზამთარიც გავიარეთ. დიდთოვლობაც იყო, ყინვაც, სუსხიანი ქარებიც ქროდა მინდვრებზე. დამ-ღამობით მგლების გაბმული ყმუილის ხმა სოფელში ჩამოდიოდა. მოსვენება ჰქონდათ დაკარგული სოფლის ძაღლებს, გააფთრებით ყეფდნენ...

ამასობაში სოფლის განაპირა ბექობზე შემდგარი სახლიც გამოჩნდა და ბერიკაცმა გაიფიქრა: ნეტა როგორ გამოიზამთრა ამ მარტოსულმა ქალაქელმა ამ ყიამეთში.

ათიოდე წლის წინათ ეს ქალაქელი კაცი კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში ჩავიდა და იქ დასახლდა. სოფლის განაპირას, ადრე რომ მეურნეობას მეცხოველეობის ფერმები ჰქონდა, მიგდებულ ფართობებზე, საკარმიდამო მიუზომეს. ქალაქელმაც, აქამდე მისთვის უცნობი, მაგრამ უკვე მესაკუთრის ინსტინქტებგაღვიძებულმა, უპირველესად, ნაკვეთი შემოღობა, შიგ კარები დაატანა და ბოქლომიც დაჰკიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ პატრონის დაუკითხავად ეზოში ვერავინ შევიდოდა. შემდეგ მეტი გულდაჯერებისთვის კარებთან უშველებელი ქართული ნაგაზიც დააბა, თავად კი სოფლისკენ დაეშვა, როგორც ამბობს, „ფესვების მოსაძებნად".

* * *

60-იანი წლებიდან მოყოლებული თბილისელთათვის კარგადაა ცნობილი ეს ჭეშმარიტად კოლორიტული პიროვნება — მაღალი, გამხდარი, მკვირცხლი მოძრაობის კაცი თავისი განუყრელი კახური ქუდით, სქელი, ხშირი ულვაშებით და მხარზე გადაკიდებული ფოტოაპარატით. ეს სანდრო მამასახლისია, თხემით ტერფამდე ქალაქელი კაცი, ცნობილი ჟურნალისტი და ფოტოხელოვანი, რადიოს, ტელევიზიის, ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების რედაქციების სასურველი სტუმარი, ახლა რომ ამბობენ — სენსაციური გადაცემების, უაღრესად საინტერესო პუბლიკაციების და უნიკალური ფოტონამუშევრების ავტორი.


სანდრო მამასახლისი.

— ეტყობა, წლებით დამძიმებული კაცისთვის მეურნეობა და სიმშვიდე საუკეთესო თავშესაფარია, — ამბობს სანდრო, — ერთგული და მოსიყვარულე მეუღლე მყავს, შვილები დავზარდეთ და დავაფრთიანეთ. მას შემდეგ, რაც სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დავამთავრე, უდარდელად და განცხრომით ერთი დღეც არ მიცხოვრია. კაცმა რომ თქვას, ასეთი ცხოვრება არც არასოდეს მხიბლავდა. მუდმივად მოძრაობაში ვიყავი — ტელევიზია, რედაქციები, სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეატრის და კინოს ინსტიტუტი, სადაც დღემდე ლექციებს ვკითხულობ.

**P. S. სანდრო მამასახლისი დედის მხრიდან კეცხოველების — ცნობილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების გვარიდან არის, მამამისი [illegible] მამასახლისი, საბჭოთა ატომური ბომბის ერთ-ერთი ავტორი და შემქმნელია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

**ამას წინათ ჩვენმა გაზეთმა ჟურნალისტ მარადი ანასაშვილის წერილები გამოაქვეყნა რუბრიკით: „აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი". მათში მოთხრობილია იმ პატარებზე, რომლებსაც დღედაღამ აფხაზეთზე ფიქრი და ენგურსგაღმა დარჩენილი ბავშვობის ნოსტალგია მოსძალებიათ. როდესაც მათ მიმოწერებს ეცნობა მკითხველი, არ შეიძლება ერთხელ კიდევ არ დაფიქრდეს იმ დიდ ტკივილზე, რომელსაც გულით დაატარებენ ეს პატარები.**

**აი, ასეთი გამოხმაურებები მიიღო რედაქციამ ზუგდიდიდან, რომელთა არსიც ერთი წინადადებით ითქმის: „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას მადლობა ჩვენდამი გამოვლენილი ყურადღებისთვის.**




„მთელი ჩვენი საკვირაო სკოლის სახელით მადლობას გიხდით ჩვენი ბარათების გამოქვეყნებისათვის. გისურვებთ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

**მილენა თორია."**

„თქვენი გაზეთის საშუალებით ჩვენმა გულმა იგრძნო, რომ კეთილი ადამიანები არსებობენ, გმადლობთ.

**თ. ხურცია."**

„დიდი სურვილი გვაქვს კვლავ გაგრძელდეს ურთიერთობა „საქართველოს რესპუბლიკასთან". ჩვენ იმდენად ბევრი სათქმელი დაგვიგროვდა ჩვენი აფხაზი მეგობრებისათვის, რომლებთანაც კარგა ხანია გაერთიანება



გვწყურია. ღმერთმა ქნას, რომ თქვენი გაზეთის ფურცლები ამ იდეის ხორცშესხმის სათავე იყოს.

**ა. ხუბუტია."**

„მადლობა ჩვენდამი გამოვლენილი ყურადღებისათვის. იქნებ, თქვენ გადოთ ხიდი ჩვენსა და ენგურსგაღმა დარჩენილ ჩვენს თანატოლებთან.

**მ. ლიპარტელიანი."**

„თქვენი გაზეთიდან ჩემი და ჩემი მეგობრების ნააზრევის წაკითხვამ, ალბათ ბევრ ჩემს თანატოლს იმედის ვარსკვლავი მოაძებნინა ცაზე, გმადლობთ!

**თ. ჯინჯოლავა."**

„მე ვისურვებდი, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორს პირველს მოელოცოს აფხაზეთის მიწაზე, ჩვენს ნაფუძარზე დაბრუნება.

**ი. ტორუა."**

„ჩვენი ცხოვრების გემი აუცილებლად უნდა მიადგეს იმ ნავსაყუდელს, რომელსაც ცხუმი ჰქვია, მის გემბანზე აფრიალებული „საქართველოს რესპუბლიკა" მენახოს.

**ა. რაფავა."**

„თქვენს გაზეთში" ჩვენი მუშაობის ამსახველი გვერდის ხილვამ დიდი სურვილი გაგვიჩინა მოგიწვიოთ ჩვენს საკვირაო სკოლაში. ველოდებით ამ ბედნიერ წამს.

**დიმა მიძაძე."**

„მჯერა თქვენი გაზეთი დამეხმარება იმის დაბრუნებაში, რაც მქონდა და წამართვეს, რასაც ასე

# მართალი სიტყვის ერთგულო მსახურებო!

რუდუნებით ველოდები.

**ნ. ხასაია."**

„ძალიან დიდი მადლობა, რომ ჩემი მოთხრობა „თებერვალი დადგაო" გამოაქვეყნეთ. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ისეთ პრესტიჟულ გაზეთში, როგორიცაა „საქართველოს რესპუბლიკა" ჩემს ნაწერს ვიხილავდი. ეს დიდი ბედნიერებაა... ამან სტიმული მომცა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც არსებობენ კეთილი ადამიანები, ბედნიერი ვარ, რომ ვიღაცას ვახსოვარ, რომ ვიღაცამ იზრუნა ჩემზე, ჩემს მომავალზე, ამით თქვენ გულში სიცოცხლის წყურვილი და იმედის გრძნობა გამიღვივეთ. მაშინ, როდესაც ირგვლივ ამდენი გაჭირვება, დევნილების კვნესა და სულიერი დეგრადირებაა, თქვენი გაზეთის რედაქცია კი, ქალბატონო მარადი, დიდ სიკეთეს აკეთებს, თქვენ მოზარდებზე ზრუნავთ, გული შეგტკივათ მათ ბედიღბალზე. დიდი მადლობა ასევე ქალბატონ მადონა ჭაბუას, რომელმაც ჩვენი ნაწერები თქვენს რედაქციამდე მოიტანა. ხომ შეიძლებოდა ყურადღება არ მიგექციათ, მაგრამ არა... თქვენ სხვანაირად მოიქეცით. ქალბატონო მარადი, გისურვებთ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ბევრ საინტერესო მკითხველს, დიდი მადლობა იმ სიყვარულისთვის, გულში რომ გიდევთ, მიყვარხართ მთელი რედაქცია.

**გმადლობთ.**

**დიდი პატივისცემით**
**თამთა ჯინჯოლავა,**
**VII[3] კლასი,**
**III სკოლა-ლიცეუმი.**

### მადლობა გახსენებისა და დაფასებისათვის

„ბედნიერებაა, როცა შვილის წარმატების მომსწრე ხარ. როცა მის გაბრწყინებულ თვალებს ხედავ. სილაღე გეუფლება მშობელს. ჩემს შვილს მოკრძალებული სურვილი აქვს, რომ წეროს და თავისი ნაფიქრალი სხვასაც გაუზიაროს. ეს სურვილი გაუათკეცდა, როდესაც სულის სავანე ჰპოვა საკვირაო სკოლის სახით, რომ არა ქალბატონი მადონა, ჩვენი შვილების ნააზრევ-ნაფიქრალი თქვენამდე ვერ მოაღწევდა.

მისი წერილის თქვენს გაზეთში გამოქვეყნება მისთვის ბედნიერება და თითქმის სასწაულის ტოლფასი იყო. ბავშვის სიხარულით აღფრთოვანებულმა მეც მადლიერება მინდა გამოვხატო დაფასებისათვის, გულისხმიერებისათვის და იმ სტიმულისათვის, რაც ძალიან სჭირდება ყველა მოზარდს, რომ პიროვნულად ჩამოყალიბდეს. მინდა თქვენს კოლექტივს წინსვლა და წარმატებები ვუსურვო.

გავკადნიერდები, ქალბატონო მარადი და გთხოვთ, იქნებ როგორმე გამონახოთ დრო და გვეწვიოთ ზუგდიდში, რათა შეხვდეთ მოზარდებს, ჩაწვდეთ მათი სულის ლაბირინთებს, გაიგოთ, თუ როგორ ცხოვრობენ, რაზე ოცნებობენ ზუგდიდელი და აფხაზეთიდან ლტოლვილი პატარები.

**თქვენი ერთგული მკითხველი**
**ნანა ქუთელია."**

### თქვენ შეგიძლიათ იმ ხიდის გამთელება

„მძიმეა დევნილი ადამიანის ხვედრი. არ გვასვენებს ფიქრი მიტოვებულ მშობლიურ კუთხეზე, ნაჯაფ სახლ-კარზე, ნათესავებზე, სამეგობრო წრეზე, კარის მეზობლებზე. დრო გადის, ტკივილი კი ტკივილად რჩება. ნუთუ საკმარისი არ არის თორმეტი წელი იმისათვის, რომ გავაანალიზოთ ის, რაც მოხდა და ვიფიქროთ ჩვენი ბავშვების ხვალინდელ დღეზე.

18 თებერვალს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე დაბეჭდილმა პატარების ბარათებმა საოცრად აგვაღელვა. თურმე რა ტკივილს ატარებენ ჩუმად, უკხმაუროდ. თურმე რა დიდია მონატრება. როგორი იმედის თვალით უყურებენ მომავალს. ბედნიერი ვართ ასე რომ ფიქრობს და მსჯელობს ახალგაზრდობა. ამაზე დიდ სიხარულს ნამდვილად ვერ ვინატრებდით.

ჩვენ არასდროს არაფერი არ გვქონია სადავო და გასაყოფი აფხაზებთან. დღემდე მაინც არ ვიცით, ვის აძლევს ხელს ჩვენი ამგვარი ყოფა.

ჩვენ გვჯერა თქვენი ძალისხმევის, მართალი სიტყვის ერთგულო მსახურებო. თქვენი შესაძლებლობები უსაზღვროდ დიდია. თქვენ შეგიძლიათ იმ ხიდის გამთელება, იმ ხიდის გადება, რაც ასე გვჭირდება. პატარების ბარათებმა უფროსები მართლა უნდა დააფიქროს. დააფიქროს ქართველი, აფხაზი, თუ ნებისმიერი ეროვნების ადამიანი.



თქვენი გაზეთის ფურცლებზე წარმოჩენილ ბარათებს, ალბათ, კიდევ, ექნება გაგრძელება. თქვენ არ შეწყვეტთ მათთან თანამშრომლობას. იმედის თვალით გიყურებთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

**ლიანა ძებაია.**

**საკვირაო სკოლის მოსწავლეთა სახელით თქვენ და თქვენს კოლექტივს გეპატიჟებით ზუგდიდში.**
**სალომე გოგინავა.**
**ტყვარჩელიდან დევნილი."**

* * *

**„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი კიდევ ერთხელ ააღელვა თქვენმა თბილმა ბარათებმა. გადავწყვიტეთ გეწვიოთ ზუგდიდში, გავაგრძელოთ ურთიერთობა და ერთად ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ აფხაზეთის დასაბრუნებლად.**

## მსოფლიო შტრიხებში

### ტარაკანა ახალი განზომილებით

**გინდ დაიჯერეთ და, გინდ — არა... რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგის მოსწავლეებმა, განსაკუთრებით იმათ, ვინც ცოტა მწყრალად არიან კარგ შეფასებებთან, თავიანთ დამხმარეებად გაიხადეს ტარაკნები, რათა საკლასო ჟურნალებში თუ დღიურებში ნიშნები გადაისწორონ. ამას ძალზე მარტივი მეთოდით ახერხებენ: უნდა დაიჭირო ტარაკანა, ამიმშილო, შემდეგ ჟურნალში თუ დღიურში „ორიანს" ან „სამიანს" თაფლი გადაუსვა და ზედ მშიერი ტარაკანა დასვა. როგორც თავად მოსწავლეებმა შენიშნეს, ტარაკნები თაფლთან ერთად მელანსაც მირთმევენ და ქაღალდზე ლაქასაც კი აღარ ტოვებენ. ამით მოსწავლეებს შეცდომაში შეჰყავთ თავიანთი მასწავლებლებიც და მშობლებიც.**

**როგორც პრესა იტყობინება, რუსეთში უნდათ ჯერ კიდევ რევოლუციამდელი ტარაკნების „დოღის" აღდგენაც.**

**თავად განსაჯეთ: ამას წინათ მოსკოვში, ცნობილ სამორინეში („მირაჟი") მოეწყო ტარაკნების საცდელი შეჯიბრება სირბილში, თანაც პრესის გუნდებს შორის.**

**როგორც თვითმხილველები ამბობენ, ტარაკნების პაექრობა ძალზე საინტერესო სანახაობაა. იმიტომ კი არა, რომ ტარაკნები სწრაფად დარბიან. პირიქით, მორბენალი ტარაკნები თურმე ძალზე უცნაურად, ზოგჯერ ერთობ დინჯადაც კი იქცევიან, რაც მათ შეჯიბრებას აზარტს მატებს.**

**აი, თუნდაც ტარაკანა, სახელად „კომერსანტი". ის თითქმის ფინიშამდეც კი მივიდა და გამარჯვებას აღარაფერი უკლდა, მაგრამ უცებ შებრუნდა და უკან გასწია.**

**გაზეთ „დენის" ტარაკანა კი, პირიქით, სტარტზე დაყოვნდა, მაგრამ შემდეგ როცა ადგილიდან დაიძრა, აღარ გაჩერებულა და ფინიშთან პირველი მივიდა. ჟურნალ „ოგონიოკის" „წარმომადგენელი" მაროკოელი ტარაკანა ბონი საშუალო სიჩქარით მირბოდა, ხშირად აქეთიქითაც იხედებოდა, მაგრამ გზიდან არ გადაუხვევია და თავის ჟურნალს მეორე ადგილი მოუხვეჭა.**

**ამბობენ, რომ ჟურნალისტები ასეთი შეჯიბრებით ძალზე ნასიამოვნები დარჩნენ, ორგანიზატორებმა კი, დარწმუნდნენ რა თავიანთი წამოწყების წარმატებაში, ახალი ტარაკნები შეუკვეთეს მაროკოში, თანაც აპირებენ, ასეთი პაექრობები უფრო მასობრივი გახადონ და ამით დაამტკიცონ, რომ ტარაკნებს ზიანის გარდა სარგებლობის მოტანაც შეუძლიათ.**



## შეხვედრა „კავკასიურ სახლში"



# ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით!..

**„კავკასიურ სახლში" მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ნაირა გელაშვილმა წმინდა კელაპტარი აანთო გამოჩენილი ოსი მეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვერა აიდაროვას საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად. მან 85 წლისთავი მიულოცა იუბილარს და აღნიშნა:**

„ქალბატონი ვერა იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩუმად ილვწიან, აკეთებენ დიდებულ საქმეს. ვერა შესანიშნავი მეცნიერი, პედაგოგი და დედაა. მისი გული დარდით აავსო ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა, რითაც გაიბზარა ამ ხალხთა ძმობის ხიდი. ქალბატონი ვერა სწორედ ისეთი პიროვნებაა, რომელიც მთელი ცხოვრება დანგრეული ხიდების აღსადგენად ილვწის, — ესაა „კავკასიური სახლის" — ამ სამშვიდობო ორგანიზაციის მთავარი მისიაც. ჩვენ ყველანი ერთად ვართ, ვისაც მშენებლობა გვსურს, შერიგება გვსურს, დანრგეული ხიდის აღდგენა გვსურს".

ქალბატონ ვერას მიესალმნენ „კავკასიური სახლის" ოსური სექტორის გამგე დოცენტი ნაირა ბეპიევა, საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე, პროფესორი ჟანეტა ვარძელაშვილი, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ჯულიეტა ოსტაევა. საქართველოს განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ჰამლეტ ჩხენკელი.

პროფესორმა ოთარ ქაჯაიამ აღნიშნა: „მე და ქალბატონმა ვერამ ერთად ვიმუშავეთ ცხინვალისა და თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. ის არის დიდებული პიროვნება. ვულოცავ 85 წლის იუბილეს. მისთვის 100 წლის იუბილეც გადაეხადოს „კავკასიურ სახლს", ქართველებსა და ოსებს. მინდა ვთქვა, რომ ის, რაც ქართველებსა და ოსებს შორის მოხდა, არ უნდა მომხდარიყო. არ შეიძლებოდა ამ ორ ხალხს ერთმანეთის წინააღმდეგ იარაღი აეღო, მაგრამ მჯერა, ყველაფერი გამოსწორდება და ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით..."

საღამო ქართულ-ოსური სიმღერებითა და ცეკვებით გაახალისეს ახალგაზრდა მომღერლებმა და მოცეკვავეებმა.

**ნინო პოპიაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## გვეხმაურებიან

# ...მოუთვინიერებელი მწერალი

**2003 წლის დასაწყისი ჩემთვის მეტად დატვირთული იყო, თითქმის მთელი ზამთარი მოსკოვიდან გასული ვიყავი, ჯერ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, შემდეგ საფრანგეთში და ბოლოს ამერიკაში. ამიტომ მხოლოდ აპრილის დასაწყისში გავეცანი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ წერილებს, რომლებიც მიძღვნილია ქართული სიტყვის უბადლო ოსტატის კონსტანტინე ლორთქიფანიძის ხსოვნისადმი.**

მე სწორედ ერთი იმ მრავალთაგანი ვარ, ვინც ამ ჭეშმარიტად კლასიკოსის მაღალმხატვრულ ნაწარმოებებზე აღიზარდნენ და რომელთაც არასოდეს მიუჩნევიათ ბატონი კონსტანტინეს ლიტერატურა „მოთვინიერებულ" ლიტერატურად. ამის დადასტურებად „კოლხეთის ცისკარიდან" ქვემოთ მოყვანილი ციტატაც კმარა: „ენა რაფერ მოგიბრუნდა ბაჭუა ამის სათქმელად. შენ რომ იცოდე მამაჩემს როგორ ვუყვარვარ, გავეყრები კი არა, ქალამნის ძირად დავედები. არა ბაჭუა, ასო-ასოდ რომ ამკუწონ, მე მაგას ვერ ვიზამ! ესეც არ იყოს, ისეთი ადამიანი რათ გინდათ ბიჭო, მშობელ მამას რომ გადაუდგება! დღეს მამას გადაუდგა, ხვალ თქვენ გიღალატებთ! მამაზეციერს არ დაინდობს".

მსგავსი მაგალითი ბევრია კონსტანტინე ლორთქიფანიძის როგორც შემოქმედებაში, ისე პირად ცხოვრებაში (თუნდაც 1986 წლის ივნისში მოსკოვში მწერალთა საკავშირო ყრილობაზე მომხდარი ინციდენტი). ასე რომ, ეს არაორდინარული ადამიანი არც „მოთვინიერებული მწერალი" ყოფილა ოდესმე, არც მოთვინიერებული პიროვნება და არც არავის შეეძლო მისი მოთვინიერება. თუ არა მხოლოდ მის შესანიშნავ მეუღლეს მერი ნიჟარაძეს, და ისიც არა ყოველთვის და არა ყველა საკითხში.

ქალბატონი მერი ნიჟარაძე დედაჩემის ალალი ბიძაშვილი იყო, მაგრამ მათი მეგობრული ურთიერთობა ბევრად სცილდებოდა ბიძაშვილობას. დედაჩემი თალიკო და დეიდაჩემი საშურა ნიჟარაძეები ხშირად დადიოდნენ სტუმრად დეიდა მერისთან და ბიძია კოწიასთან (ასე ეძახოდნენ ბატონ კონსტანტინეს ახლობლობაში) და მეც თან დავყავდით. მათი შვილი გოგი ჩემზე 2 წლით უფროსია და ჩვენ ერთმანეთს კარგად ვეწყობოდით. ბავშვური მოგონებიდან ორი რამ დამამახსოვრდა განსაკუთრებით: დეიდა მერის ხაჭაპურების გემო (აგერ უკვე სამოცდაათ წელს მიტანებული კაცი ვარ და ასეთი ხაჭაპური არ შემხვედრია) და ის უღიმღამო დღეები, როდესაც ბიძია კოწია სახლში მუშაობდა, რადგან ასეთ დღეებში არც ხმაური შეიძლებოდა, არც ხმამაღალი სიცილი თუ ლაპარაკი, და სტუმრობა ყოველგვარ ხალისს და ელფერს კარგავდა.

გავიდა წლები, მე დავამთავრე სამხატვრო აკადემია. მოვეკიდე ოჯახს, ვეწეოდი შემოქმედებით მუშაობას, მაგრამ არსად არ ვმუშაობდი (ახალგაზრდა მხატვრისთვის მუდმივი სამუშაოს შოვნა არც ისე ადვილი იყო), შესაბამისად მყარი შემოსავალი არ მქონდა და ეკონომიურ ხელმოკლეობას განვიცდიდი.

ერთ საღამოს დეიდა მერიმ დარეკა ტელეფონით და დედაჩემს უთხრა: „ზურიკო ხვალ დილას კონსტანტინესთან სამსახურში მივიდეს" (ბიძია კოწია მაშინ გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორად მუშაობდა). მეორე დილის 9 საათზე უკვე მის მისაღებში ვიყავი ატუზული. თვითონ ბატონი კონსტანტინე ერთი საათის შემდეგ მოვიდა, მე რომ დამინახა, ხელი გადამხვია, „უთენია რომ დამადექი თავზე, ხაშზე კი არ დამიპატიჟებიხარ, საქმეზე დაგიძახე", ხუმრობით გადამილაპარაკა და კაბინეტში შემიძღვა. ცოტა ხანს საყოფაცხოვრებო საკითხებზე მესაუბრა და უეცრად, ყოველგვარი შესავლის გარეშე, პირდაპირ საქმეზე გავიდა.

— „მე მინდა საბავშვო წიგნების გაფორმება გთხოვო", მითხრა მან, „არ გეგონოს, რომ ეს ადვილი საქმეა. საბავშვო წიგნების ილუსტრირებას მეტი მონდომება, ყურადღება და შრომა სჭირდება, ვიდრე მოზრდილებისას, ვინაიდან პატარა მკითხველი სულ სხვა მოთხოვნილებას უყენებს დასურათებულ წიგნებს, უფრო მეტად კრიტიკულია წიგნში მოთავსებული სურათების მიმართ". შემდეგ მან უჯრა გამოაღო და 4-5 პატარა წიგნი მომაწოდა: „წაიღე ეს წიგნები, გულდასმით წაიკითხე და იფიქრე მათ მხატვრულ გაფორმებაზე. მე ამ წიგნებიდან სურათები ამოვხიე, რომ სხვა მხატვრის გავლენის ქვეშ არ მოექცე. შეიძლება შენ ეს წიგნები წაკითხულიც კი გაქვს ბავშვობაში, მაგრამ ახლა სხვა კუთხით უნდა მიუდგე, მთელი შენი ნიჭი და მონდომება ჩააქსოვო მათ გაფორმებაში", მითხრა ბატონმა კონსტანტინემ და გამომემშვიდობა.

მე მართლაც მთელი გულისყურით შევუდექი დავალების შესრულებას და რამდენიმე კვირის შემდეგ 2 წიგნის დასურათების ესკიზები დავუდევი მაგიდაზე. ბატონმა კონსტანტინემ ნაჩქარევად გადაავლო თვალი 3-4 ესკიზს და მდივანს დაუძახა: — „ნახევარი საათი არავინ შემაწუხოს, დაკავებული ვიქნები " — ბრძანა მან და ეს ნახევარი საათი თითქმის სამი საათი გაგრძელდა. ჩვენ სათითაოდ განვიხილეთ თითოეული ესკიზი, ვიკამათეთ და როდესაც საბოლოოდ შევჯერდით, მე მივხვდი, თუ რა ბრძნული რჩევები მომცა ბატონმა კონსტანტინემ, რომ სულ სხვანაირად აღვიქვი წიგნების შინაარსი. გამეხსნა თემა, თუ რა მიდგომით, რა პლასტიკით, მარტივი ხაზების გამოყენებით და დამატებითი ინტენსიური ფერებით უნდა დამეწყო ამ წიგნების გაფორმება, რათა ისინი ყველა ასაკის ბავშვისათვის საყვარელ წიგნებად ქცეულიყვნენ.

და აი, დადგა სანატრელი დღე. ჩემი დასურათებული წიგნები მაღაზიების თაროებზე გამოჩნდა. გავიდა ერთი დღე, მეორე, მესამე, მირეკავენ მეგობრები, ნათესავები, მილოცავენ პირველ მასიურ ნაშრომს, მხოლოდ ბატონი კონსტანტინე დუმს. მხოლოდ მეხუთე დღეს საღამოს დარეკა ტელეფონის ზარმა.

— „ზურიკო, გილოცავ შემოქმედებით გამარჯვებას, მთელი ტირაჟი ორ დღეში გაიყიდა. არც წიგნები იყო ახალი და არც მათი შინაარსი იყო უცნობი ჩვენი მკითხველისათვის, მხოლოდ მხატვარი იყო ახალი", — დაასრულა მან და ყურმილი დაკიდა.

აი ასეთი იყო ბატონი კონსტანტინე, არა მარტო დიდებული მწერალი, არამედ დიდებული გამომცემელიც. მან ძირფესვიანად იცოდა საგამომცემლო საქმე, ესმოდა მისი კონცეფცია, შესანიშნავად ერკვეოდა წიგნების ილუსტრირებაში და მხატვრულ გაფორმებაში, რაც, როგორც წესი, მწერალ-გამომცემელთა უმრავლესობას არ ახასიათებს.

მე ძალიან მიყვარდა მასთან შეხვედრები როგორც სამსახურში, ასევე ოჯახში თუ სადმე ბუნების წიაღში გაშლილ სუფრასთან. შესანიშნავი მოქეიფე იყო, ესმოდა ქართული სუფრის ყადრი, განსაკუთრებით უყვარდა ახალგაზრდობასთან ურთიერთობა და მას ყოველთვის გარს ეხვია ახალგაზრდა მწერლების, მხატვრების, მსახიობებისა თუ შემოქმედების სხვა დარგების წარმომადგენლების მთელი არმია. მასთან საუბარი ნამდვილი აკადემია იყო. ის ყოველთვის სწორ გზაზე აკვალიანებდა ახალგაზრდა შემოქმედებს და ამიტომ ნიჭიერი ახალგაზრდაც ასეთივე სიყვარულით, პატივისცემით და ერთგულებით პასუხობდა მას.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩემში დიდი სიხარული გამოიწვია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მესვეურების თაოსნობამ, გამოექვეყნებინათ მწერლის გასახსენებელი წერილების ციკლი. ნიშანდობლივია, რომ გაზეთის პირველ პუბლიკაციას თან მოჰყვა რუბრიკით „გვეხმაურებიან" სტატიების მთელი სერია. მათი გამოქვეყნება, იმედია, კვლავ გაგრძელდება. ასევე იმედს გამოვთქვამ, რომ ქართველი მკითხველი მალე იხილავს კონსტანტინე ლორთქიფანიძის შესანიშნავ ნაწარმოებებს, თუნდაც იმიტომ, რომ მომავალმა თაობამ არ დაივიწყოს ძველთა უძველესი ქართული ენა, მისი სტილისტიკა, ეზიაროს ქართული ენის ბუნებრივ, მხატვრულ მჩქეფარებას.

დაბოლოს, მე მინდა თხოვნით მივმართო თბილისის მთავრობას, მიანიჭოს ქალაქის რომელიმე ქუჩას კონსტანტინე ლორთქიფანიძის სახელი და გამოჰყოს რომელიმე სკვერში ადგილი მისი ბიუსტის დასადგმელად. ვფიქრობ, ღირსეული შემოქმედი, მოღვაწე და სამშობლოს მოჭირნახულე მწერალი, უდავოდ იმსახურებს ამას.

**ზურაბ წერეთელი,**
**რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს და რუსეთის სახალხო მხატვარი, კეთილი ნების ელჩი.**

## მცირე პროზა

# [illegible]

## ციკლიდან: „[illegible]"

ელჭექი მაღვიძებს. ნაშუაღამევს წვიმა წამოსულა, ხმაურობს თქეში სახლის სახურავზე, ეზოში, ტლაშუნობს ხეების ფოთლებზე. ელვა იკლაკნება ცაზე და დროდადრო საწოლ ოთახს ერთიანად ანათებს, საბანს თავზე ვიფარებ და შიშით ველოდები, როდის გასკდება ყუმბარასავით... შუაკარი იღება და მეორე ოთახიდან დედა შემოდის, ღამის პერანგზე ხალათი მოუცვამს. დედას რა გამოეპარება, იცის ჩემი გასაჭირი და რა დააძინებს, იცის, ახლა ერთიანად ოფლში რომ ვარ გახვითქული, იცის, როგორ მიფრთხობს ელჭექი ძილს და მოსვენებას. დედა იქვე მაგიდაზე მდგარ ნავთის ლამფას შუქს უმატებს, პატრუქს უწევს, მერე ჩემი საწოლის კიდეზე ჯდება და შუბლზე ხელს მადებს, ლოყაზე მეფერება. „დაიძინე შვილო, დაიძინე, ნუ გეშინია დედა, გადაიარა წვიმამ უკვე... დაიძინე, ჩემო ხვაჭაია".

„ლამფას არ ჩაუწიო, დედა".

„კარგი შვილო, კარგი, ენთოს... დაიძინე".

დილით გაკასკასებულია ზეცა. ვეებერთელა მზე დაჰნათის კარ-მიდამოს. ნაწვიმარ კოინდარზე სხივები ციმციმებენ ოქრო-ვერცხლის ფერადებად. ნაცნობი ჩახველება ისმის ლაფაროში. ეს კარის მეზობელია, კაკა ბიძიაა. ალიონზე თავის ეზოში, ბაღ-ბოსტანს რომ დაუვლის და შეამოწმებს, რა დღეშია წლის მოსავალი, ჩვენთანაც აუცილებლად გადმოვა, მოგვაკითხავს.

„მობრძანდი ბიქტორიჩ!" — ეხმიანება მამა. ჩვენ სამზადისში მაგიდასთან ვსხედვართ, კვირაა და ერთად ვსაუზმობთ. შემოალაჯა კაკა ბიძიამ, „პრიმა" შემოაბოლა, დევკაცია, კინაღამ სამზადის ჭერს ურტყამს თავს, დაკოტავებული შარვალი და შიშველი წვივ-ფეხები მაინც დაუსველებია ნაწვიმარ მაღალ ბალახს.

დედა დგება — უკვე ზეპირად ვიცით, რას მოიმოქმედებს. მართლაც, არყიან გრაფინს და მომცრო ლამაზლამაზ ჭიქებს დგამს მაგიდაზე.. აპაპაპა... უარობს ბიქტორიჩი, — ბაზარში ვარ წასასვლელი...

— ერთი დოურტყი, არა უშავს — მამა ჭიქას უვსებს, თვითონაც ისხამს. კაკა „პრიმის" მწიკვს ღია კარში ისვრის, ილოცება, სულზე მოუსწრო მოსავალს წვიმამო, ნება-ნება, ღვინოსავით სვამს არაყს.

... მერე ლაფაროში სხედან უფროსები და საუბრობენ ამინდზე, მოსავალზე, მერე ბაზარში მიმავალ „გაზ-50"-ს აჩერებს ბიქტორიჩი, მწვანილეულით სავსე ვეებერთელა ტომრებს დაუხმარებლად აწვდის ძარაზე ასულ მძღოლს და ხონის ბაზრისკენ მიემგზავრება.

მოშუადღებულზე ირინე გვესტუმრა — მაია ბებოს უმცროსი და — ისიც ჩვენს სოფელშია გათხოვილი — ქორქოლიანებში. ბებოს მოსანახულებლად შემოივლის ხოლმე. ბავშვები რიდით შევყურებთ ამ ჩადრმოხურულ მკაცრი სახის დედაბერს. ანზორია ორთავამ ერთხელ ხმადაბლა გვითხრა, ირინე კუდიანიაო, ჯადოს აკეთებსო... ანზორია მაკვარანცხს რა დაეჯერებოდა, მაგრამ, ეტყობა, მაინც „სხვა" ქალი იყო ირინე — დედამ, რამდენჯერმე შეალოცვინა ჩემი თავი.

რა ჭირს ამას შესალოცი, დათვივითააო. მაინც დამიჯენდა გვერდით ირინე, გულ-მკერდს მიმტკავლავდა, მთქნარებ-მთქნარებით რაღაცას ჩურჩულებდა... მეც „გამოვკეთდებოდი" და სათამაშოდ გავრბოდი გოგო-ბიჭებში.

ახლაც წუხანდელ ამბავს უყვება დედა ირინეს, წვეთი არ უძინია იმ ელჭექშიო, ირინე ბიცოლა, თქვენ შემოგევლეთ, შეულოცოთ იქნებაო...

— მოდი ბებო ჩემთან, მოდი...

ჯორკოზე ვჯდები — ირინესთან ახლოს. გულ-მკერდზე ხელისგულს მადებს ირინე, ჩურჩულებს:

**დავწობი დამეძინება,**
**პირჯვარი დამეწერება,**
**ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი**
**სასთუმალს დამესვენება...**

ილოცება ასე თვალებმილულული, ამთქნარებს, გულს მიმტკავლავს:

**ჯვარი გვწყალობს ჯვარცმული,**
**მე ვერ მაცდენს მაცდური...**

— ე, წამოხტი, ბებო, ახლა... ელჭექმა რავა შეგაშინა, შე გლახა...

... ორშაბათ დილით ჩაის საკრეფად გვეძახიან დიდ-პატარას. კოლმეურნეობას გეგმის შესრულება უჭირს და რიგგარეშე არდადეგებია სკოლაში გამოცხადებული — ვეხმარებით მოსწავლეები კოლმეურნეობას. დედა აბგაში საჭმელს მიწყობს და „გაზ-50"-ის ძარაზე მეზობლებს ვუერთდები, ზოგი „სტახანოველია" მათ შორის. მიჯაყჯაყებს „გაზ-50" მტვრიან შარაზე და ჩვენი სიმღერა ცას სწვდება:

**ყანა ქალებს ვეღარ იტევს,**
**ვარდებივით მოფენილს,**
**სილამაზით თვალს მოგტაცებთ**
**ეს პატარა სოფელი დააა...**
**რა კარგია ჩვენი სოფელიიი...**

ჩვენი კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციები გვიშტიბს და გუბისწყალს ესაზღვრება. ოცდაათიან წლებში ქარსაფარად დარგული ევკალიპტები ხასხასებენ სივრცეში. ჩაის ფოთოლი მართლა ძალიანაა შემოსული საკრეფად, ზოგან გადაუხეშებულა კიდეც. მოედვნენ მეზობლები კვლებს.

მე რა ვქნა?

მე ჩემი „მუღამი" მაქვს — დავდგები ახლა „სტახანოველ" ბიძაშვილებთან — ნორასთან და გუგულასთან, დავაწკრიალებ მათი თხოვნით სიმღერებს (მოდაშია „ბაში-აჩუკის" სიმღერა და „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი"), ისინი კი მეც მომიკრეფენ ცოტ-ცოტას, ასე ვართ გარიგებული და მეც სიმღერ-სიმღერით მივუყვები კვლებს. მზე რომ ფეხის წვერებზე დადგება და მეჩაიეები ფარდულში სიცხეს თავს შეაფარებენ, მე სავსე კალათით მივადგები ბაბილო მწონავს.

— „მალადეც" შენ... — შემაქებს ბაბილო და ხელის სასწორს — ყანთარს მოიმარჯვებს. კარგად იცის ბაბილომ, რა მკრეფავიც ვარ და, სიმღერა რომ „მარჩენს".

... მაგრამ დღეს, რაღაც, ვერ ვარ ხასიათზე, ყელიც მტკივა, ლუკმის ყლაპვას მიშლის, მგონი სიცხეც მაქვს. ნაშუადღევს აღარ გავდივარ საკრეფად, წამოვწექი ფარდულში და თვალს ვადევნებ, როგორ ტვირთავენ მანქანის ძარას მეზობლები, როგორ აწყობენ ყუთს ყუთზე და ჩაის ფაბრიკაში მიაქვთ „მწვანე ოქრო".

— რა მოგივიდა ბურდღუ... მოდი აქ, კაბინაში დაჯექი — ბონდო კაბინის კარს მიღებს და ასვლაში მეხმარება. ბიჭოს, სულ წამერთვა ხელფეხი! ნაშრომი, დაღლილ-დაქანცული მეჩაიეები ისევ ძარაზე თავსდებიან და ახლა სოფლისკენ მივდივართ სიმღერ-სიმღერით. მზე ჩადის, დასავლეთი გაწითლებულია, ამაღამ შეიძლება ქარი ამოვარდეს.

— ნინა, მიხედე ბოვშს, ვერ იყო დღეს „ფორმაში"... — მანქანას ჭიშკართან აჩერებს ბონდო.

— რა მოგივიდა დედა, ფერიც აღარ გაქვს.. დადუნა წყალი გააცხელე, ფეხები ჩავაყრევიოთ ტაშტში!..

— ყელი მტკივა დღეს მთელი დღე, — ვამბობ ჩუმად.

— ყბაყურა ბატონები ექნება ნინა მაგას, კაი ბატონები... — ეს შურა ბიცოლაა, — ნახე, დასიებული აქვს ყურებთან... აი, აი, მკლავებზე ხედავ გამონაყარს?

— აბა, ამოდი დედა ნელ-ნელა და წამოწექი საწოლზე... დადუნა, გაიქეცი ირინესთან, იქნება შეულოცოს ბოვშს... მგონი, მართლა ბატონები დაუბრძანდა.

... პირაღმა ვწევარ, თვალის გახელა მიჭირს, ბუნდად ვხედავ: ირინე ჩოქვით შემოდის ოთახში, მანდოლინა უჭირავს (მზითევში მოჰყოლია), სასთუმალთან ჯდება და სიმების წკრიალს ხმას აყოლებს:

**რა კარგი ბატონებია,**
**ია და ვარდი ჰფენია...**

მგონი, ცოტა გამოვკეთდი, ირინე ტკბილად ღიღინებს:

**წითელი და ფრთამალიო,**
**დაუკალით მამალიო...**

— კაი ბატონებია ნინა... ღმერთო, დაილოცოს შენი ნება, — ამბობს ირინე და ოთახიდან ისევე ჩოქვით გადის. სასთუმალთან ახლა დედა მიზის და რაღაცას ჩურჩულებს. უკვე არა მიშავს.

— შეჭამ დედა რამეს?.. რძის ფაფა მოგიდუღა დადუნამ... წამოჯექი ნელ-ნელა.

... დილით ისევ ჩახჩახებს მზე. აივნიდან თვალს ვადევნებ, როგორ ივსება მეზობლებით მანქანის ძარა. და ისევ ჩაის პლანტაციისკენ — ჰერი-ჰერი...

— რავა ხარ, ბურდღუია, არ მოდიხარ დღეს? — მეძახიან ბიჭები.

— ბურდღუიას კაი ბატონები დაბრძანებია! — მესმის ქალების ხმა.

— კაი ბატონებია, კაი ბატონებია!..

როგორც იქნა აამუშავა მანქანა ბონდომ და ჯაყ-ჯაყით გაუყვა გზას. უკვე შორიდან ისმის: „რა კარგია ჩვენი სოფელი"..

**ვილენ მარდალეიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ორშაბათი
### 28 აპრილი

08.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი "ჭირვეული მეზობლები" 09.30 "ქართული მთამსვლელობის ისტორია" 10.00 მოცარტის "რექვიემი" 11.00 "ხსოვნის საათი" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი "ჩვენი პატარა ქალაქი" 14.40 ლური პაქსაშვილი 15.15 "საქართველო ჩირაღდანად მინთია" – ოთარ მამფორია 15.35 მხ. ფილმი "არასრულწლოვანი კაცი" 16.50 50-50 17.25 "სახლოვარი" – გურამ ფანჯიკიძე 18.00 "მრავალჟამიერ" 18.25 ზურაბ ანჯაფარიძე 19.10 იპოლიტე 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 კონცერტი. ჯ. კახიძე. 22.40 დოკ. ფილმი "კომენტატორი" 22.50 საქ. ტელევიზიის არქივიდან "ერთი სიმღერის ისტორია" 23.00 "რა ხდება" 23.55 მხ. ფილმი "მამაცი"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 გახსენება (იპოლიტე ხვიჩია) 20.00 დოკ. ფილმი 20.30 ლადარია ყველასათვის 21.00 ჯანმრთელობა 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი "კეთილშობილი მარტა" მე-2ს.

07.00 მუსიკა 07.30 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 18.50 სერიალი "მაშველები" 19.50 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.05 მხ. ფილმი "მშვიდობით მეგობარო" მთ. რ-ში: ალენ დელონი 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "ცხოვრების მტკიცებულებანი" 10.20 მხ.ფ. "პირველი მილიონი" 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.45 ბურთი და მოედანი 20.05 მხ.ფ. "ამურის ისრები" 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "24 საათი" 01.30 ღამის ფილმი

17.00, 01.10 იმედის მელოდიები 18.00, 21.00, 01.05 ახალი ამბების დაიჯესტი 18.05 სერიალი "იუდას ქალი" 19.00, 22.00 ქრონიკა 19.30 სერიალი "სული და სხეული" 20.30 8 1-2 სპორტ. პროგრამა "გოლი" 21.05 სერიალი "მოქალაქე უფროსო" 22.45 კინონოსტალგია "ერთგული მეგობრები"

12.00 ინდური მხ. ფილმი "განდევნილნი" 15.00 მხ. ფილმი "საჰაერო ციხე" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "რეალობა იკბინება" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "კაზინო"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 "ვარსკვლავები გვამცნობენ" 13.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 14.00 მხ. ფილმი "ეპიდემია " 15.00, 21.00 ვესტი 15.30 ფილმის გაგრძელება 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 ექსტრაორდინალური 20.30 მუსიკალური პაუზა 21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები 22.30 პირველი ნაბიჯები 23.00 მუსიკალური პაუზა 23.15 ტელესერიალი "ყავახანა" 23.25 ინდური მხ. ფილმი "დევდასი"

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით ქართული მუსათეული 11.45 ფილმი 14.00 ფილმი 16.00 ფილმი "გადარჩენის სკოლა" მთ. რ-ში რობინ უილიამსი 19.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 უცხოური მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 ფილმი ბრავო "სინაზის ენა" მთ.რ-ში კევინ კოსტნერი 01.40 ფილმი ღამურა "12 გაბრაზებული მამაკაცი" მთ.რ-ში ჯორჯ სკოტი 03.45 პაუზის გარეშე

09.35 მულტფილმი "უფლისწული და მათხოვარი" 10.20, 15.15, 18.45, 21.55, 23.50 მუსიკა 10.45 მხ. ფილმი "ცისფერი ლაგუნა" 12.40 მხ.სერიალი "რაც გინდა აკეთე" 1-ლი ს. 13.30 მარიონეტების ფილმი "ყოჩაღები". "აღდგომა" 13.45 "ოსტატები"-მედუდუკე 14.00 "ბელისიმო"- თემურ მათურელი 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.45 "მსოფლიო ფეხბურთი" 15.35 მულტფილმი "პინოქიო" 16.35 დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" 17.45 ლეო და გეო 18.00 მხ. სერიალი "ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" 18.25 მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 166-ე ს. 20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 21.00 მხ. სერიალი "გამანადგურებლები" 1-ლი ს. 21.45 "ჩემი ქვეყანა". "რუსიკო" 22.00 "ტელემეტრი" 22.15 მხ.ფილმი "იპოვე და გაანადგურე" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ.ფ. "მხატვარი" 1 ს.

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.15 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.10 სათავგადასავლო ფილმი "კაპიტანი" 10.40 მუსიკა 11.10 დეტექტივი "კონკიაზე ნადირობა" 6 ს. 12.15 კომედია "ჟანდარმი და უცხოპლანეტელი" 13.45 დოკუმენტური ფილმი 14.25 ვესტერნი "შორიდან მომავალნი" 16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 16.20 მულტფილმი "ვარდისფერი რაკეტა" 17.10 კომედია "ადგილების შეცვლით" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.30 მხატვრული ფილმი "მცველი" 21.15 დოკუმენტური ფილმი 22.30 მუსიკა 23.00 "ალტერნატივა" 00.35 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 00.40 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 00.50 სათავგადასავლო ფილმი "დრუიდები" 03.20 დოკუმენტური ფილმი 04.10 დრამა "მარშენის ოთახი"

## სამშაბათი
### 29 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" 10.10 მხ. ფილმი "ბარონის მაზურკა" 12.00 სასამართლოს დარბაზიდან სარეზერვოდ: ტელესერიალი "ეშმაკუნა" დოკ.სერიალი "ტექნოპოლისი"მე-2ს. "ლერერის შოუ" 15.00, 20.00 მოამბე 15.15 მხ. ფილმი "ხუთი ტუზი" 16.55 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 17.05 შემეცნებითი ფილმი - მოგზაურობა დედამიწის გარშემო 17.30 საქართველო და გარე სამყარო 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ლეგენდები მეცნიერების შესახებ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "და არს მუსიკა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.05 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.55 "სათავეებთან" 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 "რა ხდება" 23.55 მხ. ფილმი "კრიმინალური ტალანტი" 1-ლი ს.

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 სერიალი "რვაფეხა" 20.30 ამბები ჩვენზე 20.45 კონცერტი 21.00 გლობუსი 21.30 ასპარეზი 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "ბარნი და მისი პატარა უსიამოვნებანი"

07.00 მუსიკა 07.30 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 18.45 დოკ. ფილმი "ბუნება" 19.15 პერეკროსტოკი 19.50 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "ჩრდილოეთის ვარსკვლავი" მთ. რ-ში: სიმონა სინიორე 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, აღსავალი 08.05 დიალოგი 10.35 ბურთი და მოედანი 10.50 მხ. ფილმი "ამურის ისრები" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55 მუსიკა 15.15 მხ. ფილმი "24 საათი" 17.30 მულტფილმი 20.00 მხ.ფ. "აბა კარგად იყავი" 22.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი "ნიშნები" 01.10 ღამის ფილმი

17.00, 00.25 იმედის მელოდიები 18.00, 21.00, 00.20 ახალი ამბების დაიჯესტი 18.05 სერიალი "იუდას ქალი" 19.00, 22.00 ქრონიკა 19.30 სერიალი "სული და სხეული" 20.30 8 1-2 "ერთხელ ჰოლივუდში" 21.05 სერიალი "მოქალაქე უფროსო" 22.45 მძაფრსიუჟეტიანი კინო "საიდუმლო გეგმა" დ. ლუნდგრენი

12.00 მხ. ფილმი "კაზინო" 15.00 მხ. ფილმი "გასეირნება ამერიკაში" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "მარტის კატები" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "ბოლერო"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" 12.30 სალონი 14.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 15.00, 21.00 ვესტი 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "სალონი" 21.30 "სპორტის სამყარო" 22.30 სტუდია "ეკონომისტი" 23.30 მუსიკალური პაუზა 23.45 ტელესერიალი "ყავახანა" 00.00 მხ. ფილმი "ლამაზმანი"

08.00 ტოროლა 11.00 განმ. უცხ. მუსათეული 11.45 ფილმი 14.00 ფილმი 16.00 ფილმი "ბინძური ჯოს თავგადასავალი" მთ. რ-ში დევიდ სპეიდი 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 უცხ. მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 აბა გამოიცანი მელოდია 00.00 ფილმი ბრავო "თამის ვარსკვლავი" მთ.რ-ში შირლი მაკლეინი 01.40 ფილმი ღამურა "ორი ჯეიკი" მთ.რ-ში ჯეკ ნიკოლსონი 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 10.45, 14.15, 17.50, 18.50, 19.50, 21.55, 23.50 მუსიკა 10.00 მხ. სერიალი "ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" 10.25 მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "გამანადგურებლები" 12.45 მხ.ფ. "იპოვე და გაანადგურე" 14.20 "ტელემეტრი" 14.45 "მსოფლიო რაგბი" 15.10 მხ. ფილმი "მხატვარი" 1-ლი ს. 16.30 დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" 18.00 მხ.სერიალი "ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" 18.25 მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.00 მხ. სერიალი "გამანადგურებლები" 21.50 თეატრი "საარის თეატრი" 22.15 მხ. ფილმი "ორეული" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ. ფილმი "მხატვარი" მე-2 ს.

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.10 სათავგადასავლო ფილმი "რომაელთა დამმარცხებელი" 10.35 დოკუმენტური ფილმი 11.15 დეტექტივი "კონკიაზე ნადირობა" 7 ს. 12.10 მხატვრული ფილმი "მცველი" 14.00 კომედია "ოთხი ქორწილი და დაკრძალვა" 16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 16.20 მულტფილმი 17.10 მხატვრული ფილმი "ოუშენის თერთმეტი მეგობარი" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.35 "Ï ðåñň-ï àï üå" 19.40 ვესთერნი "რაზმი" 21.25 დოკუმენტური ფილმი 22.30 მუსიკა 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.35 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 00.40 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 00.50 კომედია "სადა ხარ ძმაო?" 03.20 დოკუმენტური ფილმი 04.10 მხატვრული ფილმი "მეოთხე ოთახი"

## ოთხშაბათი
### 30 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" 10.10 მხ. ფილმი "კრიმინალური ტალანტი" 11.15 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ბაზრები" 11.40 ტელესერიალი "ძილის წინ" 12.00, 15.00, 22.05 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 ნაშუადღევს 14.05 ქართული ენის გაკვეთილი 14.35 "ზღვარი" 15.15 მხ. ფილმი "ფულის მეფენი" 16.50 "თქვენი უფლებები" 17.10 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ლეგენდები მეცნიერების შესახებ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ისტორიანი" 19.15 ტელეთამაში "იმღერე რამე" 19.45 ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. საქართველო - რუსეთი. 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 "რა ხდება!" 23.55 მხ. ფილმი "მკვდარ ზონაში"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმები 19.30 სერიალი "რვაფეხა" 20.30 ჩვენი მისამართია 21.00 და არს მუსიკა 21.30 წარსულის ტერიტორია 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "ჭირვეული მეზობლები"

07.00 მუსიკა 07.30 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი? 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 18.50 სერიალი "მაშველები" 19.50 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "საშიში ქალი" მთ. რ-ში: დებრა უინგერი 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, აღსავალი 08.05 დიალოგი 10.30 მხ. ფილმი "აბა კარგად იყავი" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 15.15 მხ. ფილმი "ნიშნები" 17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30 მუსიკა 17.30 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 19.45 გადაცემა - მურადა 20.00 მხ.ფ. "სიყვარული არ იყიდება" 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "რექვიემი" 01.30 ღამის ფილმი

17.00, 01.10 იმედის მელოდიები 18.00, 21.00, 01.05 ახალი ამბების დაიჯესტი 18.05 სერიალი "იუდას ქალი" 19.00, 22.00 ქრონიკა 19.30 სერიალი "სული და სხეული" 20.30 8 1-2 "არტ-ბულვარი" 21.05 სერიალი "მოქალაქე უფროსო" 22.45 ფანების კინოკლუბი "მერფის ომი"

12.00 მხ. ფილმი "ბოლერო" 14.00 მხ. ფილმი "ჩემი დედინაცვალი უცხოპლანეტელია" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "უფროსის თავები" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "ზარი ველური კოიოტი" 22.30 მხ. ფილმი "საქმის გარჩევა პატარა ტოკიოში"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 "სალონი" 13.30 ექიმი გვირჩევს 14.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 15.00, 21.00 ვესტი 15.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 სცენის ოსტატები 20.30 მულტფილმი 21.30 "სპორტის სამყარო" 22.30 თინეიჯერი 23.30 მუსიკალური პაუზა 23.45 ტელესერიალი "ყავახანა" 00.00 მხ. ფილმი "მოდერნისტები"

08.00 ტოროლა 11.00 განმ. მუსათეული 11.45 ფილმი 14.00 ფილმი 16.00 ფილმი "მუშკეტერი" მთ.რ-ში დასტინ ჩემბერსი 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 პროფათეული 22.35 პაპარაცი 23.00 სოლო 00.00 ფილმი ბრავო "ფორსაჟი" მთ.რ-ში ვინ დიზელი 01.40 ფილმი ღამურა "ქართან მოსაუბრენი" მთ.რ-ში ნიკოლას კეიჯი 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.55, 17.50, 18.50, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა 10.00 სერიალი "ალექს მაკის საიდუმლო სამყარო 10.25 მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "გამანადგურებლები" 12.45 მხ. ფილმი "ორეული" 14.45 "ევროპის სტადიონებზე" 15.05 მხ. ფილმი "მხატვარი" მე-2 ს. 16.35 დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" 18.00 მხ.სერიალი "ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" 18.25 მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" მე-8 ს. 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.00 მხ. სერიალი "გამანადგურებლები" 22.00 "ტელემეტრი" 22.15 მხ.ფილმი "სისხლიანი დანაშაული" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ. ფილმი "სამი ფერი ლურჯი"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 სათავგადასავლო ფილმი "რომი და მიშელი გამოსაშვებ საღამოზე" 10.45 მუსიკა 11.10 დეტექტივი "კონკიაზე ნადირობა" 8 ს. 12.10 ვესთერნი "რაზმი" 14.05 მელოდრამა "ემა" 16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 16.20 მულტფილმი 16.30 თრილერი "შავი არწივი" 18.00 "ქართული კინო" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.30, 22.40 "პრესდაიჯესტი" 19.40 დოკუმენტური ფილმი 20.30 კომედია "ურჩხული" 22.50 ქართული ესტრადა 23.00 "ალტერნატივა" 00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 01.00 კომედია "მეხსიერებით თამაში" 03.20 დოკუმენტური ფილმი 03.50 მელოდრამა "საბრალო, პატარა, მდიდარი გოგონა" 1 ს.

## ხუთშაბათი
### 1 მაისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" 10.10 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 10.25 მხ. ფილმი "მკვდარ ზონაში" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 "ქართული მთამსვლელობის ისტორია" 12.40 დოკ.სერიალი "ხელოვნების სცენარები" 13.00 ნაშუადღევს 14.05 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ბაზრები" 15.15 მხ. ფილმი "ჩემი სისულელის ამბავი" 16.40 ტელესერიალი "ძილის წინ" 17.00 შემეცნებითი ფილმი - მოგზაურობა დედამიწის გარშემო 17.25 თბილისი და თბილისელები 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ლეგენდები მეცნიერების შესახებ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ჯანმრთელობა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.05 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 22.05 საქართველო არის ესე 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 "რა ხდება!" 23.55 მხ. ფილმი "ურჩხულთა მეჯლისი"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 სერიალი "რვაფეხა" 20.30 ისტორიანი 21.00 შვიდეული 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "ტუჩები განვადებით"

07.00 მუსიკა 07.30 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 18.50 სერიალი "მაშველები" 19.50 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 00.05 მხ. ფილმი "ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლი" რ-ში: ფერნანდო რეი 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, აღსავალი 08.05 დიალოგი 10.30 მხ. ფილმი "სიყვარული არ იყიდება" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 15.15 მხ. ფილმი "რექვიემი" 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.30 კონცერტი 21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმ.) 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "ფათერაკების მაძიებლები" 00.55 მხ.ფ. "მთვარის შუქის მილი" 01.55 მუსიკა

17.00, 00.15 იმედის მელოდიები 18.00, 20.55, 00.10 ახალი ამბების დაიჯესტი 18.05 სერიალი "იუდას ქალი" 19.00, 22.00 ქრონიკა 19.25 სპორტ. პროგრამა "ესტაფეტა" 19.55 ფანების კინო-კლუბი. მხ. ფილმი "ულმობელი მაგია" რ.ქროუ 21.00 მხ. ფილმი "ულმობელი მაგია" (გაგრძელება) 22.45 სერიალი "გაიხსენო ყველაფერი" 1-ლი ს. 23.40 სპორტ. პროგრამა "ესტაფეტა"

12.00 მხ. ფილმი "ზარი ველური კოიოტი" 13.30 მხ. ფილმი "საქმის გარჩევა პატარა ტოკიოში" 15.00 მხ.ფილმი "მარტოხელა ემირი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "უფროსის თავები" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "ჩვილის გასეირნება"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00, 21.30 სალონი 13.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 14.30 დოკ. ფილმი საქართველოზე 15.00, 21.00 ვესტი 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "სპორტის სამყარო" 20.30 მულტფილმი 21.00 "ვესტი" 21.30 საბ. საფ. ფილმი "განძის მაძიებელნი" 23.35 ტელესერიალი "ყავახანა" 23.50 მხ. ფილმი "ვნებათა ლაბირინთი"

08.00 ტოროლა 11.00 განმ. ქართ. მუსათეული 11.45 ფილმი 14.00 ფილმი 16.00 ფილმი "სკარლეტი" 1-ლი ნ. მთ.რ-ში ჯოანა უოლი-კილმერი. 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 უცხ. მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 აბა გამოიცანი მელოდია 00.00 ბრავო "ნარკო" მთ. რ-ში რეი ლიოტა 02.00 ღამურა "გატაცო 60 წუთში" მთ. რ-ში ნიკოლას კეიჯი 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.45, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა 10.00 სერიალი "ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" 10.25 მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "გამანადგურებლები" 12.40 მხ. ფილმი "სისხლიანი დანაშაული" 14.20 "ტელემეტრი" 14.45 "ევროპის სტადიონებზე" 15.05 მხ. ფილმი "სამი ფერი ლურჯი" 16.35 დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" 18.00 მხ.სერიალი "ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" 18.25 მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 20.00 "ქართული ფეხბურთი" 21.00 მხ. სერიალი "გამანადგურებლები" 22.00 გადაცემა "აქსისი". 22.25 მხ. ფილმი "წნეხის ქვეშ" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ. ფილმი "ჯილიანის დაბადების დღეზე"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 სათავგადასავლო ფილმი "ბავშვთა სამყარო" 10.50 მუსიკა 11.15 დეტექტივი "კონკიაზე ნადირობა" 9 ს. 12.10 კომედია "ურჩხული" 13.50 მელოდრამა "სიცოცხლე და მეტი არაფერი" 16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 16.20 მულტფილმი 17.15 დრამა "უბრალო ისტორია" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.30 "პირისპირ" 20.25 თრილერი "ყინულოვანი მდუმარება" 22.30 კომედია "ქალბატონები იწვევენ კავალერებს" 23.40 მუსიკა 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 00.45 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 00.55 მხატვრული ფილმი "ზღვის ლომების ჯგუფი" 03.20 დოკუმენტური ფილმი 03.50 მელოდრამა "საბრალო, პატარა, მდიდარი გოგონა" 2 ს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 109-110, კვირა-ორშაბათი, 27-28 აპრილი, 2003 წელი.

## პარასკევი
2 მაისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" 10.10 მხ. ფილმი "ურჩხულთა მეჯლისი" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 "მხოლოდ კლასიკა" 15.15 მხ.ფილმი "მეხუთე ელემენტი" 14.30 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ბაზრები" 17.10 50-50 17.45 "ზუმი" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ლეგენდები მეცნიერების შესახებ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 პრეს-ეკრანი 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.55 მრავალსახეობა 22.35 ტელესერიალი "ქილის წინ" 23.00 "რა ხდება!" 23.55 მხ. ფილმი "გოლიათი ქალის თავდასხმა"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "რეაფეხა" 20.30 საქართველო არის ესე 21.00 ენერგია 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "არამზადის სიკვდილი"

07.00 მუსიკა 07.30 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი? 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 18.50 სერიალი "მაშველები" 19.50 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "ორმაგი დარტყმა" მთ. რ-ში: ჟან კლოდ ვანდამი 02.20 მხ. ფილმი "ცდუნება" მთ. რ-ში: ანჯელინა ჯოლი 04.30 კლასიკა

08.00 ანონსი, ალსავალი 08.05 დიალოგი 10.30 მხ. ფილმი "ფათერაკების მაძიებლები" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 15.15 მხ. ფილმი "მთვარის შუქის მილი" 17.20, 18.45, 19.45, 21.55, 23.30, 00.50 მუსიკა 17.30 დოკ. სერიალი 20.00 მიუზიკჰოლი 22.00 დიალოგი 00.55 მხ. ფილმი "ზომბები ბერლინის ქვეშ" 02.10 ღამის ფილმი

17.00, 00.15 იმედის მელოდიები 18.00, 00.10 ახალი ამბების დაიჯესტი 18.05 სერიალი "იუდას ქალი" 19.00, 22.00 ქრონიკა 19.20 თამაში "ლარის მახე" 19.45 არტ ფილმი "ნოსტალგია" ა. ტარკოვსკი 22.45 სერიალი "გაიხსენო ყველაფერი" 23.40 თამაში "ლარის მახე"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ჩვილის გასეირნება" 13.30 მხ. ფილმი "განგსტერული ომები" 15.00 მხ. ფილმი "ამერიკული ლეგენდი 2" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "ტაქსი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "საუკუნის დანაშაული"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 სალონი 13.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 14.30 დოკ. ფილმი საქართველოზე 15.00, 21.00 ვესტი 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "ხვალ" 20.30 "მომავალი" 21.00 "ვესტი" 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.30 "გამარჯობა" 23.15 მუსიკალური პაუზა 23.30 ტელესერიალი "ყავახანა" 23.45 ძველი კინოკლასიკა. მხ.ფილმი "ნათლია"

IST

08.00 ტოროლა 11.00 განმ. უცხ. მუსათეული 11.45 ფილმი 14.00 ფილმი 16.00 ფილმი "სკარლეტი" მე-2 ნ. 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.15 მუსიკა 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 რუსული მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 სოლო 00.00 ფილმი ბრავო "დონი დარკო" მთ. რ-ში ჯეიკ გილენხალი 02.15 ფილმი ღამურა "ადამიანი-ფარვანა" მთ. რ-ში რიჩარდ გირი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.55, 23.40 მუსიკა 10.00 სერიალი "ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" 10.25 მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "გამანადგურებლები" 12.40 მხ. ფილმი "წყნეხის ქვეშ" 14.05 "აქსისი". 14.45 "ქართული ფეხბურთი" 15.15 მხ. ფილმი "ჯილიანის დაბადების დღეზე" 16.30 დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" 18.00 მხ.სერიალი "ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" 18.25 მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 20.00 მოკ. მხ. ფილმი "აზიბეილიდან გაქცევა" 21.00 მხ. სერიალი "გამანადგურებლები" 22.00 "ტელემეტრი" 22.15 მხ. ფილმი "მგზნებარე გონება" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ. ფილმი "ტუზი"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 სათავგადასავლო ფილმი "თავზეხელაღებულთა კუნძული" 11.15 დოკუმენტური ფილმი 12.10 თრილერი "ყინულოვანი მდუმარება" 14.00 ისტორიული დრამა "ხავერდოვანი საგა" 16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 16.20 მულტფილმი "გუფი და მისი მეგობრები" 17.25 კომედია "ვოვაჩკა" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.30, 22.40 «Ï ðåññ-ï àï üå» 19.40 დოკუმენტური ფილმი 20.15 მხატვრული ფილმი "წინასწარმეტყველება" 21.50 "გალერეა" 23.00 "ალტერნატივა" 00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 01.00 მელოდრამა "ჰილარი და ჯეკი" 03.20 მუსიკა 03.40 ფილმი-ფანტასტიკა "არმაგედონი"

## შაბათი
3 მაისი

08.00, 15.00 მოამბე 08.15 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 08.30 მხ. ფილმი "გოლიათი ქალის თავდასხმა" 10.00 დილის პაემანი 11.05 მხიარული კარუსელი 11.35 დოკ.სერიალი "ხელოვნების სცენარები" 11.50 "ვიცი" 12.20 "მეტრო" 12.55 კვალი 13.25 დოკ. სერიალი "სატელევიზიო ჟურნალის ისტორია" 14.20 "საქართველო, დრო, მოვლენები" 15.15 მხ.ფილმი "ვინ გაემგზავრება ტრუსკავეცში" 16.25 საწინდარი 17.00 ფეხბურთი. საქ. ჩემპიონატი. თბილისის "ლოკომოტივი" – ფოთის "კოლხეთი". შესვენებისას დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 18.50 "თბილისის დროით" 19.10 ენერგია 19.35 გინდ დაიჯერეთ გინდ არა 20.00 ცაიტნოტი 21.10 დოკ. ფილმი "სანდრა და მისი გუნდი" მე-4 ს. 22.00 "ფორტუნა" 22.40 პროფათეული 23.15 სალომე გასეირნე ამერიკაში 23.45 მოამბე 23.55 მხ.ფილმი "სტივის ხერხები" 01.20 ღამის ჯაზი

19.00 მულტფილმი 19.30 ორატორი 19.40 სერიალი "ნაპოლეონი" 20.30 "ახლო ხედი" 21.00 დოკ. ფილმი 21.40 მხ. ფილმი "კატი, რომელიც ტიროდა"

08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.20 დრაკონთა მომთვინიერებლები 10.00 ჯადოქარი 10.45 საბავშვო ფილმი 12.00, 15.00 კურიერი 12.20 სიმფსონები 12.50 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.00 სერიალი "სახლი ძველ უბანში" 17.30 სერიალი "კოლომბო" 18.00, 01.30 კურიერი 18.20 სერიალი "კოლომბო" 19.15 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 20.05 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.00 კურიერი P.S.22.00 საოჯახო ტოტო 22.30 ფსიქო. მხ.ფ. "სოლარისი" 01.40 მხ.ფ. "ჯოჯოხეთიდან" მთ. რ-ში: ჯონი დეპი, პიტერ გრემი. 03.00 ღამის ჯაზი

08.00 ანონსი, ალსავალი 08.05 დიალოგი 10.30 მხ. ფილმი "ზომბები ბერლინის ქვეშ" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 15.15 მხ. ფილმი 17.30 მუსიკა 18.00, 19.30 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი 21.00 დოკ. ფილმი 23.30 მუსიკალურ ტალღაზე 01.30 მხ.ფ. "ახლა კი ბატონებო და ქალბატონებო" 02.40 ღამის ფილმი

11.00, 00.25 ახალი ამბების დაიჯესტი 11.05, 03.10 იმედის მელოდიები 12.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა 12.10 ანიმაციური სერიალი "ფანტომეტა" 12.30 ახალგაზრდული სერიალი "უკიდურესი ზღვარი" 13.30 თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" 14.30 "X-კლუზივი" 15.15 რეტროსკოპი "ბატონი დიდ ქალაქში გადადის" 17.05 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები" 18.00 სერიალი "იუდას ქალი" 19.30 სერიალი "ნირო ვულფი" 20.55 თოქ-შოუ "არჩევანი თქვენ" 22.45 "საღამოს ღიმილი" 23.00 "კლიპ-ლოტო" 23.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. "რომა"-"მილანი" 1-ლი ტ. 00.20 "კლიპ-ლოტო" 00.30 ფეხბურთი. მე-2 ტაიმი. 01.20 ეროტიკული კინო "დილეტანტი" ი. იუპერი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "საუკუნის დანაშაული" 15.00 მხ.ფილმი 17.00 მხ. ფილმი "ტაქსი 2" 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 მუსიკა 21.00 მხ. ფილმი "ტიტანიკი" 00.20 მხ. ფილმი "ქვრივი კუნძულ სან-პიეროდან"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 სალონი 13.30 ექიმი გვირჩევს 14.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 15.00, 21.00 ვესტი 15.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება 16.00 ლაბირინთი 17.00 მუსიკალური პაუზა 17.30 თქვენი ადვოკატი 18.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 20.00 თინეიჯერი 21.30 "ზერკალო" 22.00 "და ღმერთმა შექმნა ქალი" 22.30 საოცარი პირამიდა 23.30 ტელესერიალი "ყავახანა" 23.45 თეატრალური შეხვედრები 00.45 მხ. ფილმი "ნათლია 2"

IST

10.00 ტოროლა 13.00 გან. ათეული 13.45 ფილმი 15.45 ფილმი 16.00 ფილმი "დიდი რბოლა" მთ.რ-ში ჟოზიან ბალასკო 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.50, 20.15 სველი ხაზი 21.15 ქართული მუსათეული 22.35 კვირის საუკ. ლექსები 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 ფილმი ბრავო "განსაკუთრებული აზრი" მთ. რ-ში ტომ კრუზი 01.50 ფილმი ღამურა "პრეზიდენტის თვითმფრინავი" მთ.რ-ში ჰარისონ ფორდი 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა 10.00 სერიალი "ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" 10.25 მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "გამანადგურებლები" 12.45 მხ. ფილმი "ტუზია" 14.15 "ტელემეტრი" 14.45 მხ. ფილმი "მგზნებარე გონება" 16.30 დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" 18.00 მხ.სერიალი "ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" 18.25 მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" 19.00 "საუბრები სტუდიაში" 20.00 ფილმი-კონცერტი: იუ თუ. 1-ლი ნ. 21.00 ფილმი-კონცერტი: იუ თუ. მე-2 ნ. 22.00 მუსიკა 22.15 მხ. ფილმი "დუელიორი" 00.20 მხ. ფილმი "კორდებალეტი"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 სათავგადასავლო ფილმი "ინდიანა ჯონსი დაკარგული განძის მაძიებელნი" 11.10 დოკუმენტური ფილმი 12.10 მხატვრული ფილმი "წინასწარმეტყველება" 13.45 დოკუმენტური ფილმი 14.30 კომედია "ფული ყოვლისშემძლეა" 16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 16.20 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 17.25 დეტექტივი "ორნი ქალაქში" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.30, 22.20 "პრესდაიჯესტი" 19.40 "ყველანი ვართ პატარები" 19.50 დოკუმენტური ფილმი "პარიზი" 20.20 სათავგადასავლო ფილმი "ალმასის კუნძული" 21.50 "გალერეა" 22.50 «Nëî âî » (ავტორი თ.დუმბაძე) 23.20 დოკუმენტური ფილმი 00.35 "ქართული კინო" 01.35 მელოდრამა "ვარდების სარეცელი" 03.20 მუსიკა 03.55 თრილერი "შიში"

## კვირა
4 მაისი

08.00 მოამბე 08.15 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 08.30 მხ.ფილმი "სტივის ხერხები" 10.00 "დილის პაემანი" 11.05 "ამბები ჩვენზე" 11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში 12.05 "სპა" 12.35 "პრეს-სტუდია" 13.25 მოსკოვი-თბილისი 13.55 ღამის ჯაზი 14.25 არათბილისური ამბები 15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 15.15 სატ. სპექტაკლი "ჩემი სახელი საიდან იცი" 16.00 საქ. ჩემპიონატის ფინალური მატჩი მინიფეხბურთში. შესვენებისას დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 17.25 საკვირაო გამოფენა 17.35 ე□იე ქალი 18.00 ტაიმ-აუტი 18.20 "ჩემპიონი" 18.50 ეკოდაიჯესტი 19.25 "ჩვენი მისამართია" 20.00 ტაიმ-აუტი 20.55 მუსიკალური ოქტაგონი 21.45 "ამბობენ" 22.20 მეალომანია 22.55 სატ. ფილმი "ლასტის გაკვეთილი" 23.30 "არტმობილი" 00.00 ტაიმ-აუტი 00.30 მხ. ფილმი "ქამელეონი".

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 დიზაინი 19.50 მრავალსახეობა 20.30 ვიცი 21.00 დოკ. ფილმი 22.00 შვიდეული 23.00 მხ. ფილმი "ღარიბ შეყვარებულთა ქრონიკა"

08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.20 დრაკონთა მომთვინიერებლები 10.00 ჯადოქარი 10.45 საბავშვო ფილმი 12.00, 15.00 კურიერი 12.20 სიმფსონები 12.50 მხ.ფილმი 15.20 ველური ამბები 16.10 მხ. ფილმი 17.00 სერიალი "კოლომბო" 18.00, 01.00 კურიერი 18.20 სერიალი "კოლომბო" 19.00 მხ. ფილმი 21.00 კურიერი 21.45 ჩვენი ეზო 22.00 60 წუთი 23.00 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "ამერიკული გული" 877 45-79-25 ჯეფ ბრიჯესი, ედვარდ ფერლონგი, "კევინი ჩრდილოეთიდან" 877 45-79-26, სკიტ ულრიჩი, ნატაშა ხენსტრიჯი, "ნაზი სიყვარული" 877 45-79-27 დანიელ ოტეი, ემანუელ ბეარი. 01.15 მხ.ფ. "ომის ხელოვნება" მთ. რ-ში: უესლი სნაიპსი. 03.15 კლასიკა.

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 ალსავალი 08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა 08.30 ახალი ამბები 09.00 მხ. ფილმი "ახლა კი ბატონებო და ქალბატონებო" 10.20 მულტფილმი 12.30 გადაცემა - მურადა (განმ.) 13.00 მუსიკალურ ტალღაზე 17.00 ოპერა 19.30 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი "ხელი" 22.00 ტელე-სინე-ვიდეო 23.00 მხ.ფ. "საშოვაო ლეგენდი" 01.00 ღამის ფილმი

11.00, 00.20 ახალი ამბების დაიჯესტი 11.05, 01.20 იმედის მელოდიები 12.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა 12.10 ანიმაციური ფილმი "ფანტომეტა" 12.30 ახალგაზრდული სერიალი "უკიდურესი ზღვარი" 13.30 "არტ-ბულვარი" შოუ-ბიზნესი 13.45 თოქ-შოუ "არჩევანი თქვენ" 15.15 სპორტ. პროგრამა "ასი" 15.35 ქართ. ფილმი "სამანიშვილის დედინაცვალი" 17.05 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" 18.00 სერიალი "იუდას ქალი" 19.30 სერიალი "შტოკინგერი" 20.30 თამაში "ლარის მახე" 21.00 ქართ. სერიალი "ცხელი ქალი" 22.40 "წარსულის ერთი კვირა" მე-8 ს. 23.05 "მულამები" 23.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. "ინტერი"-"ლაციო" 1-ლი ტ. 00.30 ფეხბურთი. მე-2 ტაიმი.

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ტიტანიკი" 15.00 მხ. ფილმი "უფსკრული" 16.10 მხ. ფილმი "დიდი კუში" 19.00 ინდ. მხ. ფილმი "პროფესიონალი მოთამაშე" 22.00 მხ. ფილმი "საეჭვო პირები" 00.10 მხ. ფილმი "ღრუბლებს მიღმა"

11.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 12.00 თეატრალური შეხვედრები 13.35 თბილისური ოჯახები 14.00 მუსიკალური პაუზა 14.25 მხ. ფილმი "ჩვილის გასეირნება" 16.00 - 18.00 რელიგიის საათი 18.00 დოკ. ფილმი 19.00 კითხვების კორიანტელი 19.20 ცეროდენა ვარსკვლავები 20.00 შეხვედრა ვარსვლავთან 20.20 მოგზაურობა ბავშვობაში 20.40 თავისუფალი მიკროფონი 20.50 თქვენი აზრით 21.00 "კვირის ვესტი" 22.00 "იდენ-ტვ" 22.30 საოცარი პირამიდა 23.30 ტელესერიალი "ყავახანა" 23.45 მხ. ფილმი "ნათლია 3".

IST

10.00 ტოროლა 13.00 გან. ათეული 13.45 ფილმი 15.45 სოლო 16.00 ფილმი "საბრინა" მთ.რ-ში ჰარისონ ფორდი, ჯულია ორმონდი. 19.15 ქართული მუსიკა 19.50, 20.15 უცნობი 21.15 რუსული მუსათეული 22.30 პროფათეული 23.00 აბა გამოიცანი მელოდია 00.00 ფილმი ბრავო "შიშის ოთახი" მთ.რ-ში ჯოდი ფოსტერი. 01.40 ფილმი ღამურა "ურტყი ქვალში" მთ. რ-ში ანტონიო ბანდერასი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.40, 18.25, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა 10.00 სერიალი "ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" 10.25 მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" 11.00 "საუბრები სტუდიაში" 12.00 მხ. ფილმი "შვიდი ძმის შვიდი საცოლე" 15.15 მხ. ფილმი "მგზნებარე გონება" 17.20 მულტფილმი "ათი მცნება" 18.00 დოკ. ფილმი "ექსტრემალური სპორტი" მე-3ს. 19.00 "ბელისიმო". 19.30 "მსოფლიო ფეხბურთი" 20.00 "ოსტატები". მფრინავი. 20.40 მხ. სერიალი "რაც გინდა აკეთე" მე-2 ს. 22.00 მარიონეტების ფილმი "ყოჩაღები". "ტრუბა" 22.15 "ლეო და გეო" 22.30 მხ. ფილმი "ცივი გული" 00.20 მხ. ფილმი "მწვანე მონაკვეთი".

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.25 კომედია "საუკეთესო მეგობრის ქორწილი" 11.30 «Ñëî âî » (ავტორი თ.დუმბაძე) 12.10 "სამყარო მშვენიერია" 12.15 სათავგადასავლო ფილმი "ალმასის კუნძული" 13.50 მელოდრამა "წყნარი ოკეანის ისტორია" 16.10 "სამყარო მშვენიერია" 16.15 მულტფილმი "ნიღაბი" 16.55 ფილმი-კატასტროფა "იდეალური შტორმი" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20 "სამყარო მშვენიერია" 19.25 დოკუმენტური ფილმი 20.15 თრილერი "ბედნიერი ბილეთი" 22.20, 00.20 "Í î âî ñòè â âî ñêðåñåí üå" 22.40 "Âåëè÷åñòâåí í î å í àñëåäèå" 23.10 დოკუმენტური ფილმი 00.40 მხატვრული ფილმი "აფიორა" 03.20 მუსიკა 03.40 მელოდრამა "ქალბატონის პორტრეტი"

## □ □ □□ □□ □□

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის საქ. თეატრი**

30.04 (18.00) ნეოკლასიკური ბალეტის საღამო. **გიორგი ალექსიძის** ქორეოგრაფია. დირიჟორი – **თამაზ ჯაფარიძე**.

*ფასი 2-5 ლარი.*

**□ □□□□□ □□ □ □□□□ □□**
□□□□□ "□□□□□□□□ □□□□ □□□□□□□" □□□□.
□□□: 93-11-06

30.04, 04.05 (19.00) პრემიერა. "**ზაფხულის დღე**". დამდგმელი რეჟისორი - გაგა გოშაძე.
29.04, 01.05 (19.00) დათო ტურაშვილი "**ჯინსების თაობა**". დამდგმელი რეჟისორი - დათო დოიაშვილი.
02.05 (19.00) ჯონ ოზბორნი "**კომედიანტები**". დამდგმელი რეჟისორი - ავთო ვარსიმაშვილი.
03.05 (19.00) "**სამი პიესა**". დამდგმელი რეჟისორი - ლელა ჭინჭარაული.

*ფასი 5 ლარი.*

**□□□□□□ □□□□□ □□□□ □□**
□. □□□□□□□□□ □. 10

04.05 (20.00) ლაშა ბუღაძე "**ის სკამი და აი ეს საწოლი**". დამდგმელი რეჟისორი - დავით საყვარელიძე.
03.05 (20.00),04.05 (14.00) პრემიერა "**შიპი**". ზღაპარი ბავშვებისა და მოზარდებისათვის. დამდგმელი რეჟისორი - დავით საყვარელიძე.

*ფასი 4-7 ლარი.*

**ერთი მსახიობის თეატრი "ვერიკო"**
*ვ. ანჯაფარიძის ქ. 16 ტ. 22-13-38*

29.04 (18.00) პატრიკ ზიუსკინდი "**კონტრაბასი**". გია გოგიშვილის მონაწილეობით. გოეთეს ინსტიტუტის სპექტაკლი თეატრ "**ვერიკოს**" სცენაზე.
02.05 (18.00) კოტე მახარაძის სპექტაკლი "**აკაკი**". ვიდეოჩვენება. სპექტაკლს წარუძღვება ჯანსუღ ჩარკვიანი.

*□□□□ 3 □□□□.*

**ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო თეატრი**
aRmaSeneblis 99/1 t. 96-09-03

29.04, 30.04, 01.05 (15.00) ოთარ ბაღათურია "**ამიკო**". დამდგმელი რეჟისორი - ოთარ ბაღათურია.

*ფასი 2 ლარი.*

**ალ.გრიბოედოვის სახელობის საქ. რუსული დრამატული თეატრი**
რუსთაველის გამზ. 2 ტ: 93-11-06

03.05 (18.00) პრემიერა. ანტონ ჩეხოვი "**ცხოვრება მშვენიერია**". დამდგმელი რეჟისორი - ავთო ვარსიმაშვილი.
04.05 (18.00) ემილ ზოლა "**ტერეზა რაკენი**". დამდგმელი რეჟისორი - ავთო ვარსიმაშვილი.

*ფასი 2-3 ლარი.*

**პანტომიმის თეატრი**
რუსთაველის გამზ. 37. ტ. 98-25-

29.04 (18.00) გურამ დოჩანაშვილი "**ფიროსმანი**". დამდგმელი რეჟისორი - ამირან შალიკაშვილი (უმცროსი).

*□□□□ 3 □□□□.*

**თეატრალური სარდაფი**
რუსთაველის გამზ. 42. ტ. 99-95-00

29.04, 30.04 (20.00) სენაკის აკ. ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლი. "**გთხოვთ ბილეთი იყიდეთ**". მიხეილ ჯავახიშვილის "ჯაყოს ხიზნების" მიხედვით. დამდგმელი რეჟისორი - მზია ქირია.
01.05 (20.00) ალექსეი ოსტროვსკი "**ბალზამინოვის ქორწინება**". დამდგმელი რეჟისორი - ნინო ლიპარტიანი.
02.05, 03.05, 04.05 (20.00) პრემიერა. "**თავისუფალი სიყვარული**". დარიო ფოს "თავისუფალი წყვილის" მიხედვით. დამდგმელი რეჟისორი - ციცინო კობიშვილი.

*□□□□ 5 □□□□.*

**ზღაპრის თეატრი**
□ლმაშენებლის 136 ტ. 95-01-23

03.05,04.05(12.00) "□□ □□□ □□□□□", "□□□□ □□", "□□□ - □ □□", "□□□□□ □", "□□□□ □□ □ □ □□□□□□ □", "□□□-□□□□□□□ □□□ □", "□□ □ □□ □ □□ □□□□□ □ □ □□", "□ □□ □ □□ □ □□ □□□□ □, □□ □□□ □□ □□□□ □□".

*□□□□ 2 □□□□.*

**ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
მის: ქუთაისი. ალმაშენებლის მოედანი 1. ტ: 4-56-41

29.04 (17.00) რაფიელ ერისთავი "**ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს**". დამდგმელი რეჟისორი - ნუგზარ ლორთქიფანიძე.
30.04 (17.00) ირაკლი ჯავახაძე "**შავი სიის კავალრები**". დამდგმელი რეჟისორი - ნუგზარ ლორთქიფანიძე.

*ფასი 3 ლარი.*

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## გამოსათხოვარი



### დავით გეგეშიძე

ქართულმა სწავლულმა ინტელიგენციამ მძიმე დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა ეროვნული ფილოსოფიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს ფილოსოფიურ და სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებათმცოდნეობის კათედრის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დავით გეგეშიძე**.

ბატონი დავითის სიკვდილი დიდი დანაკლისია საზოგადოებრივი მეცნიერებისათვის და მძიმე განცდაა ყველა იმათთვის, ვინც კი იცნობდა მას და ადამიანური ურთიერთობებით იყო დაკავშირებული მის ყოველდღიურ ცხოვრებასთან, სულიერ სამყაროსთან, მეცნიერულ შემოქმედებასთან.

იმერეთის ულამაზეს მიწაზე, ბაღდათში დაბადებულსა და აღზრდილ ვაჟკაცს, მართლაც რომ, რაინდული სულით, ნატიფი ზნეობით აღსავსე ხასიათით გამორჩეულს – დარბაისლობა, სილამაზე და სიმშვიდე შეჰქონდა ადამიანებთან ურთიერთობაში. მაღალი ინტელექტი, აზრთა სისადავე და ლოგიკურობა იყო ის ფაქტორი, რომელიც მის გარშემო იზიდავდა ყველას. საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმულს ხშირად უხდებოდა ჩვენი ყოველდღიური ყოფით პრობლემებზე სჯა-ბაასი. სტუდენტური, მეცნიერული თუ სხვა სახის აუდიტორია დიდი დაინტერესებით ისმენდა და იზიარებდა მის ნაფიქრ-ნააზრევს. მის ყოველ წერილს, პუბლიცისტურ თუ მეცნიერულ პუბლიკაციას დიდი ინტერესით ეცნობოდა ფართო საზოგადოებრიობა.

თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებულს მოვლილი ჰქონდა მთელი საქართველო, ზედმიწევნით კარგად იცნობდა ისტორიულ ძეგლებს, ამა თუ იმ მხარის მცხოვრებთა ადათ-წესებს, რელიგიურ რიტუალებს. ყველგან პოულობდა ახლო მეგობარს, თანამოაზრეს, თაყვანისმცემელს. იყო მასპინძელიც, სტუმარიც და მოჭირნახულე მშობლიური ქვეყნის.

არცთუ ხანგრძლივი ცხოვრებით იცხოვრა ბატონმა დავითმა, მაგრამ იცხოვრა ნამუსიანად, უშურველად, ლაღად, იცხოვრა სხვაზე ზრუნვითა და სხვათა მიმართ თანადგომით, ქვეყნის, ხალხისადმი ერთგული სამსახურით.

ახალგაზრდობა იყო მისი, როგორც პედაგოგის, აღმზრდელის ყოველდღიური ფიქრის საგანი, ბევრ მათგანს გაუკვალა გზა ცხოვრებაში, აზიარა განათლებას, მეცნიერებას.

ბატონი დავითის მეცნიერული მემკვიდრეობა მრავალ ასპექტს მოიცავს: წარსული და დღევანდელობა, ფილოსოფია და ისტორია, ეთიკა და თეოლოგია მისი მუდმივი კვლევა-ძიების საგანს წარმოადგენდა. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ახალი ნაშრომების გამოცემით გაამდიდრა საზოგადოებრივი მეცნიერება.

სამომავლო გეგმებზე საუბრისას ბატონ დავითს უმთავრეს და უმაღლეს მიზნად ქვეყნის ხვალინდელ დღეზე ფიქრი და ზრუნვა მიაჩნდა. იზიდავდა და ხიბლავდა ყოველივე ახალი, პროგრესული ჩვენს ცხოვრებაში. მძიმედ განიცდიდა ყოველივე ნეგატიურს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უდარდელობას მინდობილი საქმისადმი, პროფესიულ არაკომპეტენტურობას, სიყალბეს. მასში გაღიზიანებას იწვევდა ზოგიერთი ხელმძღვანელის გულგრილობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი, ხშირად იმეორებდა დიდი ვაჟას სიტყვებს – „ღმერთო შეაყვარე ქართველს საქართველო“.

თანამოაზრეებთან ერთად ითავა ჟურნალის დაარსება და გამოცემა, რომელიც ჰუმანურ იდეალებს, მომავლის რწმენას უნერგავდა მსჯავრდადებულთ. ასევე ერთ-ერთმა პირველთაგანმა ითავა საქართველოში ბიოეთიკური სწავლებისა და სამედიცინო ქცევაში ეთიკურ-ზნეობრივი ნორმების დამკვიდრებისა და პოპულარიზაციის საკითხთა მოგვარება, რაც შემდგომში საფუძველი გახდა ჯანდაცვის სისტემაში მუდმივმოქმედი ბიოეთიკური კომისიის ჩამოყალიბებისა.

შემოქმედებითი თანამშრომლობა საქართველოს სამოციქულო ეკლესიასთან დიდ სულიერ კმაყოფილებასა და ბედნიერებას ჰგვრიდა, რაც არაერთგზის განუცხადებია საჯაროდ.

ვალმოხდილი წავიდა ბატონი დავითი ამ ქვეყნიდან. დაგვიტოვა ბრწყინვალე ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს ქვეყანა, ხალხი, მოყვასი შენი, როგორი სიწმინდითა და ერთგულებით უნდა ემსახურო საზოგადოებას, პროფესიას. დაგვიტოვა მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო ამ ქვეყანაზე ისე, რომ მომავალმა თაობამ მადლიერებითა და სიყვარულით მოიხსენიოს შენი ამქვეყნიური ნაღვაწი.

**ავთანდილ ჯორბენაძე, ამირან გამყრელიძე, ზიზი წერეთელი, თამარ დეკანოსიძე, გულიკო ჩაფიძე, მარინა ღუღუშაური, ზეზვა ღუღუნიშვილი, ვალერი ჩხეიძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, რამაზ ხეცურიანი, რომან შაქარიშვილი, ნუგზარ წერეთელი, მამია დარჩია, ვახტანგ ქარუმიძე, დავით კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ბაქრაძე, იოსებ კაპანაძე, რომან მახარაძე, ვახტანგ ყიფიანი, ნოდარ ემუხვარი, გია ავალიშვილი, კოკი კეკელიძე, ზურაბ სეხნიაშვილი, გელა ლეჟავა, აბელ მამარდაშვილი, თეიმურაზ კვარაცხელია, გია კერესელიძე, ნატო ონიანი, სერგი ავალიანი, რეზო ჩხეიძე, არჩილ ასათიანი, ზურამ ქამაკაშვილი, ზურამ თევზაძე, რამაზ კუტუზიძე, რეზო თაბუკაშვილი, ზურამ თავართქილაძე, დავით იაკობიძე, მამუკა კაჭკაჭიშვილი, მარინა გელაშვილი, ხათუნა დიდებელი, გოჩა სანდუხაძე, ვლადიმერ სანიკიძე, ჯანგირ მამალაძე.**

## სანთელი

### დავით გეგეშიძე



საქართველოს საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ცნობილი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი და საზოგადოებათმეცნიერების კათედრის გამგე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატის წევრი და კომისიის თავმჯდომარე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დავით გეგეშიძე**.

ბატონი დავითის გარდაცვალება მძიმე დანაკლისია ფილოსოფიური მეცნიერებისათვის და დიდი განცდაა მისი მეგობრებისა და ყველა იმათთვის, ვინც იცნობდა მას, ადამიანური ურთიერთობით იყო დაკავშირებული მის პიროვნებასთან, სულიერ სამყაროსთან, მეცნიერულ საქმიანობასთან.

დავით გეგეშიძემ 1957 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. უნივერსიტეტში მისი მასწავლებლები იყვნენ და დიდად აფასებდნენ მას გამოჩენილი ქართველი მეცნიერები შალვა ნუცუბიძე, სერგი დანელია, კოტე ბაქრაძე, სავლე წერეთელი, რევაზ ნათაძე და სხვები.

დავით გეგეშიძე იყო სტუდენტთა და ასპირანტთა ღირსეული აღმზრდელი და პედაგოგი. მისი ლექციები გამოირჩეოდა მეცნიერული სიღრმით, აკადემიზმით, ენით, ემოციურობით და სარგებლობდა დიდი პოპულარობით.

ბატონ დავით გეგეშიძის ყოველ წიგნს, კრებულს, წერილს, პუბლიცისტურ თუ მეცნიერულ პუბლიკაციას ყოველთვის დიდი ინტერესით ეცნობოდა ფართო საზოგადოებრიობა. სტუდენტებს, ასპირანტებს თუ მოსწავლე ახალგაზრდობას გულწრფელად უყვარდათ თავიანთი ღირსეული მასწავლებელი, რადგან ისინი მისგან არა მხოლოდ მეცნიერებას სწავლობდნენ, არამედ უანგარობის, ზნეობრიობის, მეგობრობისა და სამშობლოს სიყვარულის მადლსაც.

დავით გეგეშიძის სამეცნიერო მოღვაწეობა მრავალ მიმართულებას მოიცავდა. წარსული და თანამედროვეობა, პოლიტიკა და თეოლოგია, ლიტერატურა და ხელოვნება, ფილოსოფია და ისტორია, ეთიკა და მედიცინა, ნარკომანია და ალკოჰოლიზმი – მისი მუდმივი კვლევის საგანს წარმოადგენდა. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოიცა შესანიშნავი წიგნი „დიალოგი სიკვდილთან“.

დავით გეგეშიძის მაღალნიჭიერება და ერუდიცია შერწყმული იყო მის მაღალ ზნეობრივ თვისებებთან, მაღალკეთილშობილებასა და ინტელექტუალობასთან. აღსანიშნავია დავით გეგეშიძის დამსახურება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მისი საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წინაშე. იგი სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებთან შეთანხმებით, მეცნიერულ საწყისებზე დაყრდნობით, აქტიურად მონაწილეობდა ისეთ საშიშ სენთან ბრძოლაში, როგორიცაა ნარკომანია.

დავით გეგეშიძის გარდაცვალებით განუზომელი ტკივილი მიადგა მის ოჯახს, სტუდენტ ახალგაზრდობას, სამეგობროსა და კოლეგებს.

სიკეთისა და სიყვარულის მადლით მოსილი დაგვშორდა, მაგრამ მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება აღზრდილთა და კოლეგა-მეგობართა გულში.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატი: ოლეგ ალავიძე, შალვა ამონაშვილი, გიორგი ბაბუნაშვილი, ედუარდ გენძეხაძე, ემა დარგალი, მამია დარჩია, ზურამ თავართქილაძე, ოლეგ კიკოშვილი, ზურამ ლორთქიფანიძე, ჯანგირ მამალაძე, როინ მეტრეველი, ბონდო მძინარაშვილი, სოლომონ პავლიაშვილი, თემურ ძლენტი, ზაზა სიორიძე, ზურაბ ფორაქიშვილი, ვახტანგ ქარუმიძე, რომან შენგელია, ოთარ შონია, თამაზ ყანდარელი, ნიკოლოზ ხატიაშვილი, რამაზ ხუროძე, ოთარ ჯაფარიძე.**

## ეს საინტერესოა

### კარტი

1892 წელს იტალიელებმა იზეიმეს კარტის (ბანქოს) გამოგონების 500 წლისთავი. მართალია, იგი აქ 1392 წელს გამოჩნდა ჯვაროსანთა ლაშქრობის შედეგად და მაშინ დახატულ-დაჩითულ კარტს „ნაიბს“ ეძახდნენ, მაგრამ მისი სამშობლო იტალია როდია, იგი ინდოეთში გამოიგონეს. 1120 წელს ბანქო აქედან ჩინელებს გადაუღიათ. მას აქ იმპერატორ სინან-ხოს ცოლების გასართობად თამაშობდნენ. კარტის ფურცლები სპილოს ძვლისგან მზადდებოდა. დასტაში შედიოდა 30 ფურცელი, ზურგი წითლად იყო შეღებილი. წინა გვერდზე გამოსახული იყო ნიღბები, ურჩხულები, ფრინველები და გეომეტრიული ფიგურები.

XV საუკუნეში კარტის თამაში იტალიიდან ევროპის სხვა ქვეყნებში გავრცელდა. ახლა დასტაში უკვე 78 ფურცელი იყო, გვიან კი 52 გახდა. კარტებს ტყავისგან ამზადებდნენ.

1886 წელს ალტენბერგში (გერმანია) მოეწყო ბანქოს მოყვარულთა პირველი კონფერენცია, მეორე – 1887 წელს ლაიფციგში და მესამე – 1888 წელს კვლავ გერმანიაში. დაარსდა ბანქოს მოთამაშეთა საზოგადო კავშირი.

რატომ არის ბანქოს დასტაში 52 ფურცელი, თანაც ოთხი ფერის და თითოეულ ფერში 13-13 ფურცელი?

ამ კითხვას პასუხი გასცა გერმანელმა დოქტორმა შრადერმა, რომლის ვარაუდი დღესდღეობით ყველაზე უფრო მიღებულია.

შრადერის აზრით, 52 ფურცელი ესადაგება კვირათა რიცხვს წელიწადში. ოთხი ფერი წლის ოთხ დროს ანსახიერებს. თითოეულ ფერში 13 ფურცელია. ე. ი. წლის ყოველი დრო შეიცავს 13 კვირას (სულ ოთხივე დრო – 52). თითოეული ფერი, როგორც ცნობილია, შეიცავს რიცხვს 1-დან 10-მდე, შემდეგ კი არის გამოსახულება ვალეტის, ქალისა და მეფის. თუ მათ მაგიერ ავიღებთ 11,12 და 13 რიცხვებს და შევკრებთ მთლიანად, მივიღებთ 91 რიცხვს, რაც შეესაბამება წლის დღეთა ერთ მეოთხედს. ოთხივე ფერის რიცხვითი ჯამი შეადგენს 364-ს ე. ი. მივიღებთ დღეთა რიცხვს წელიწადში (ერთის გამოკლებით).

**სულიკო ნუცუბიძე.**

## საგზაო პოლიცია

# ავტომანქანა მოგტაცეს? თქვენ 8002 გიშველით!

ემზარ ბიჩნიკაური რესტორან „იმერეთში“ სადილობდა. საკუთარი ავტომანქანა „გაზ-31“ იქვე, ავტოსადგომზე ეყენა. რამდენიმე წუთში უკან მობრუნებულს ავტომანქანა ადგილზე აღარ დახვდა. დახანების დრო აღარ იყო და მობილური ტელეფონით **საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს საინფორმაციო ცენტრ 8002-ს დაუკავშირდა.** თავის მხრივ, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს მორიგე-თანამშრომელი ოპერატიულად დაუკავშირდა საგზაო პოლიციის სტაციონარულ თუ საპატრულო საგუშაგოებს და გატაცებული ავტომანქანის მონაცემები ამცნო.

ინფორმაციამ გატაცებული ავტომანქანის შესახებ, ერთ-ერთ საპატრულო ჯგუფს მცხეთის ტერიტორიაზე მოუსწრო და ბედად, ორიოდე წუთის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს მიმართულებით სწრაფად მოძრავი საეჭვო ავტომანქანაც შეამჩნია... საპატრულო ჯგუფმა ნატახტრის საგუშაგო გააფრთხილა, რომ მათი მიმართულებით გატაცებული ავტომანქანა მოძრაობს და ტექნიკური საშუალებები გამოიყენეთ მის დასაკავებლადო. ნატახტრის საგუშაგო სრულ მზადყოფნაში დახვდა გამტაცებლებს: ჩაიკეტა შლაგბაუმი და გაიშალა ეგრეთ წოდებული დაბრკოლება – „ზღარბი“. ეს არის სპეციალური სამსჭვალავებით შემოსილი ძლიერი ლენტა, რომელიც საბურავს ფუშავს. როგორც ჩანს, გამტაცებლები პოლიციელების მხრიდან ასეთ ოპერატიულობას არ მოელოდნენ და ავტომანქანა მკვეთრად დაამუხრუჭეს და დუშეთის მიმართულებით შეუხვიეს. საგზაო პოლიციელებს არც ეს გზა დავიწყნიათ და გამტაცებლები ხაფანგში მოამწყვდიეს.

დამნაშავეებს გადარჩენის დიდი ინსტინქტი აღმოაჩნდათ და ახლა სირბილით სცადეს თავის გადარჩენა, მაგრამ აქაც უმუხთლათ ბედმა (თუკი ამას ბედი ჰქვია)... ხნულებში ბევრი ვერ ირბინეს და პოლიციელები დაეწივნენ...

ავტომანქანის გამტაცებლები აღმოჩნდნენ 1983 წელს დაბადებული, გორის მკვიდრი, 20 წლის ბექა რუსიშვილი და მისი თანამზრახველი გოგონა ნინო ალავერდიშვილი.

საქმე ძიებას გადაეცა.

ძვირფასო ავტომფლობელებო, თუ მსგავსი რამ შეგემთხვათ, სასწრაფოდ დაუკავშირდით 8002-ს!..

**საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესცენტრი.**



**სურათზე: ნატახტრის საგზაო საგუშაგოსთან.**

---

ალეკო ასლანიშვილი, რუსლან რუსია, ბონდო გულიაშვილი თანაუგრძნობენ ბატონ თამაზ კოღუას დის

აზა კოღუას

გარდაცვალების გამო.

---

ვენედი ბენიძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ბატონ თამაზ კოღუას დის

აზა კოღუას

გარდაცვალების გამო.

---

მამია დარჩია, ვახტანგ ქარუმიძე, ბონდო მძინარაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრისა და ღირსეული მამულიშვილის

დავით გეგეშიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ საქართველოს პრეზიდენტის – სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურის განყოფილების უფროსს ლევან შარმაზანაშვილს დედის

მაყვალა არჩილის ასულ კასრაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



მეგობრები. წინა პლანზე – ასტამურ აჩბა, ლადო ქოქიაშვილი, ნუგზარ გურგულია, მელორ თოფურიძე.
გაგრა. 1954 წელი.

ფოტო მოგვაწოდა მელორ თოფურიძემ.

მოდა

# უცნაური დიზაინერი, რომელსაც სტალინს ამსგავსებდნენ

**პაკო რაბანს მოდის სამყაროს ცოცხალ ლეგენდას უწოდებენ. პირველად სწორედ მან გამოიყვანა პოდიუმზე შავკანიანი მოდელები, მანვე აკრძალა ცალკეული კაბის სახელწოდება და მოდაში ტერმინი „კოლექცია“ დაამკვიდრა. იგი არ უარყოფს, რომ „პუბლიკაზე თამაშობს“ და თავისი შემოქმედებით მოდის მოყვარულებს მუდმივად აოცებს.**

— ვარ ბასკი, ბასკები კი თავისებური ხალხია, ისინი ძალიან გვანან ქართველებს. 30 წლის ასაკში შავ წვერ-ულვაშს ვატარებდი და მაშინ სტალინს მამსგავსებდნენ... სიამაყით განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში უცნაურმა დიზაინერმა.

თავდაპირველად პაკო რაბანი ლითონზე ყავის მარცვლებს ამაგრებდა და ღილების ნაირსახეობას ქმნიდა, რომლებსაც ცნობილი დიზაინერები ნინა რიჩი, ჟივენში და ბალენსია თავიანთი მოდელების დასამშვენებლად იყენებდნენ. პირველად ფირმა „პაკო რაბანი“ 60-იან წლებში გამობრწყინდა და მალევე განუმეორებელი კოლექციების წყალობით, მოდის კანონმდებელ დიზაინერად აღიარეს...

„მხოლოდ მამაკაცს შეუძლია ქალის ლამაზად შემოსვა, ქალი კი ქალისათვის რაიმე ორიგინალურსა და განსაკუთრებულს ვერასოდეს შექმნის, იგი მხოლოდ საკუთარი გემოვნებით იფარგლება... კოკო შანელიც საკუთარ თავს აცმევდა და ამიტომ მის მოდელებში ყველა მას ემსგავსებოდა... მხოლოდ მამაკაცს შეუძლია ქალი არაჩვეულებრივად და ამასთანავე, მიმზიდველად გამოაწყოს, — აღნიშნავს მოდელიერი.





პაკო რაბანის კოლექციები, ძირითადად, მაღალ მოდას განეკუთვნება, განსაკუთრებით ძვირადღირებულია მისი სუნამოები. იგი სკანდალური, განუმეორებელი და არაამქვეყნიური ლითონის ელემენტებიანი კაბის ავტორია. კოლექციების შექმნისას ხშირად იყენებს რკინის დეტალებს, ქაღალდებს, სხვადასხვა უცნაურ, ორიგინალურ აქსესუარს.

ცნობილია, პაკო რაბანის დიდი საქველმოქმედო მოღვაწეობაც, მაგრამ დღემდე ყველასთვის უცნობია მისი პირადი ცხოვრება...

**ლელა დონაძე.**

**სურათებზე:** პაკო რაბანის უახლესი მოდელები.

ღიმილის დოზა



**ერთმა** მეორეს შესჩივლა:
— სიდედრი ყელში ამომივიდა!
— შენც აიღე და რამე უხიმანჯე.
— ვუხიმანჯე, აბა რა... გაზეთში გამოვაქვეყნე განცხადება მისი ტელეფონით: „ინტიმური მომსახურება“.
— მერე?
— ემსახურება...



— რატომ ჩამოიხრჩო თავი ამ უბედურმა?
— ბრეგაძეს უთქვამს, „აღორძინება“ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებსო და ვერ გადაიტანა.
— ვინ არის ბრეგაძე?!

* * *

**ოფისის** უფროსს თანამშრომელი ურეკავს:
— დღეს დამაგვიანდება, ოჯახში უბედურება ტრიალებს.
— შენ არ გამოგელევა მიზეზი!
— მართალს გეუბნებით! ჩემმა ცოლმა ორასი დოლარი დაკარგა, ეძებს და ვერ პოულობს.
— შენ რა შუაში ხარ?!
— საქმეც ის არის, რომ იმ 200 დოლარზე ვდგავარ და ჩემი დაძვრა ადგილიდან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

* * *

— **ვის** უნდა ესესხოთ ფული?
— პესიმისტს. მას პერსპექტივის იმედი საერთოდ არა აქვს.

* * *

— **ქალიშვილო**, გნებავთ, ბიზნესს მოჰკიდოთ ხელი?
— მინდა, მაგრამ ისე, რომ დედამ არ გაიგოს.

* * *

**დედა** პატარა ბიჭს უჯავრდება:
— შეხედე, რას გიგავს თითები! საშინელებაა! ახლავე გაილოკე!

* * *

**ბიჭი** მამას ეკითხება:
— რას ნიშნავს მასაჟისტი?
— მასაჟისტი არის კაცი, რომელსაც ქალი უხდის ფულს იმისთვის, რის გამოც სხვას სილას გააწნის.

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 30 აპრილს.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

სიახლე

# დედა, მე სკოლაში მივდივარ!



**ბოლო წლებში** ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნებისა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში ცვლილებების ზეგავლენით ახალი სოციალური მოთხოვნა წარმოიქმნა — განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ჩვეულებრივ ბავშვებთან ერთად სტანდარტული განათლების მიღების, ხოლო მათ მშობლებს თავისუფალი არჩევანის უფლება, თუ რომელ სასწავლო დაწესებულებაში ისწავლოს მათმა შვილმა. საქართველო ამ მიმართულებით პირველ ნაბიჯებს დგამს. არსებობს პრობლემაც, სკოლამდელი ასაკის ბავშვების 30 პროცენტი სახლში იზრდება. სოციალური იზოლაცია, ოჯახზე ან მომვლელზე მიჯაჭვულობა ხელს უშლის მათ განვითარებას, ამას ემატება ოჯახური კონფლიქტები, საკუთარი თავის ან მეუღლის დადანაშაულება, შეფერხებული ბავშვის არსებობის დამალვა, სასოწარკვეთა და ა. შ. ასეთ ბავშვებს აუცილებლად სჭირდებათ დამოუკიდებლობა. ვინ არიან ისინი, ვინც ადრეული ასაკიდანვე დაიწყო მათზე ზრუნვა? ესენი არიან: ნანა იაშვილი (არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“, პრეზიდენტი), თადული კეკენაძე (საკორექციო ცენტრ „იმედის“ ხელმძღვანელი), ნანა ცარციძე (სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი). ამ ადამიანებმა გაეროს ბავშვთა ფონდის „იუნისეფის“ ფინანსური დახმარებით, რკინიგზის იაკობ გოგებაშვილის სახელობის მე-16 ბაგა-ბაღის ბაზაზე (გამგე ქუქუნა ნიჟარაძე) უნარშეზღუდულ ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროექტი განახორციელეს.

იგი ბავშვთა ადრეული ასაკიდანვე პედაგოგიური დახმარების აღმოჩენასა და ამ პროცესში მშობლებისა და ოჯახის სხვა წევრების ჩართვას გულისხმობდა. სპეციალისტები უნარშეზღუდულებთან გონებრივ და მეტყველების განვითარებაზე მუშაობდნენ, სხვადასხვა კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს ატარებდნენ.

— პროექტმა გვიჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანია ჯანმრთელი ბავშვების უნარშეზღუდულებთან ურთიერთობა. სწავლების შედეგად 2 უნარშეზღუდული ბავშვი მომზადდა საბავშვო ბაღში შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში ჩასართავად, ხუთი კი სწავლას უკვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში გააგრძელებს, — აღნიშნა თადული კეკენაძემ.

უახლოეს მომავალში კიდევ ორი საბავშვო ბაღისა და სკოლის ჩართვაა ნავარაუდევი. მუშავდება მეთოდური სახელმძღვანელოები მასწავლებლებისთვის სასწავლო პროცესში უნარშეზღუდული ბავშვების ჩაბმის შესახებ, რომლებიც საფუძვლად დაედება ინტეგრირებული სასწავლო პროგრამის შემუშავებას. სახელმძღვანელოს შექმნაზე მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი მუშაობს. გათვალისწინებულია პედაგოგიური კადრების გადამზადების საკითხიც.

პროგრამის ფარგლებში 300 პროფესიონალი მომზადდა, მათ სოციალური მუშაკისთვის საჭირო უნარჩვევები შეიძინეს. „იუნისეფმა“ საბავშვო ბაღს აუცილებელი საგანმანათლებლო აღჭურვილობა და სათამაშოები გადასცა.

**მაია ასაკაშვილი.**

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ ბელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge